

ადამიითონის აუგისტი

არაშესი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:
http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე
2016, №12

Decisions of the Supreme Court of Georgia
on **Administrative Cases**
(in Georgian)
2016, №12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)
2016, №12

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)
2016, №12

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298-21-03; www.supremecourt.ge

შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

1. სარჩელისა და საჩივრის დასაშვებობა

სარჩელის მატერიალური დასაშვებობა

განხილვა

№ბს-586-576(2კ-12)

6 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი: 2008 წლის 1 აგვისტოს ნ. ნ-მა სა-
სარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხების –
ქ. თბილისის საკრებულოსა და ა. ნ-ის მიმართ, ქ. თბილისის საკ-
რებულოს 2008 წლის 18 მარტის №293 საკუთრების უფლების
მოწმობის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2008 წლის 24 ოქტომბრის საოქმო განჩინებით,
საქმეში მოპასუხედ ჩაება ფიზიკური პირებისა და კერძო სა-
მართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობა-
ში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღია-
რების კომისია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2009 წლის 24 მარტის საოქმო განჩინებით სა-
ქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16
მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად
ჩაება გ. ბ-ი.

2009 წლის 23 აპრილს ნ. ნ-მა დააზუსტა სარჩელი და საბო-
ლოოდ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების
მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე
საკუთრების უფლების აღიარების კომისის 2008 წლის 21 მარ-
ტის №13 ოქმის ნაწილობრივ, კერძოდ, მოპასუხის – ა. ნ-ის 2008
წლის 5 მარტის განცხადების განხილვისა და დაკმაყოფილების
ნაწილში ბათილად ცნობა და ქ. თბილისის საკრებულოს მიერ
2008 წლის 18 მარტს გაცემული №293 საკუთრების უფლების

მოწმობის ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2009 წლის 22 ივლისის საოქმო განჩინებით სა-
ქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16
მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაე-
ბა ც. წ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2009 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით 6.
ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ძალაში შესვლის დღიდან ბათი-
ლად იქნა ცნობილი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიუ-
ლი პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის
ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008
წლის 21 მარტის №13 ოქმი ნაწილობრივ, კერძოდ, ა. ნ-ის 2008
წლის 5 მარტის განცხადების განხილვისა და დაკმაყოფილების
ნაწილში; ამავე გადაწყვეტილებით ძალაში შესვლის დღიდან ბა-
თილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის საკრებულოს მიერ 2008 წლის
18 მარტს გაცემული №293 საკუთრების უფლების მოწმობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2009 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება საა-
პელაციო წესით ცალ-ცალკე გაასაჩივრეს ფიზიკურ და კერძო
სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლო-
ბაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღია-
რების კომისიამ და ა. ნ-მა. აპელანტებმა გასაჩივრებული გა-
დაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარ-
ჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2009 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება საა-
პელაციო წესით ასევე გაასაჩივრა ქ. თბილისის საკრებულომ,
რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო
ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტების გაუქმება და ამ ნაწილში ახა-
ლი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2010 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით ფი-
ზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობე-
ლობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრე-
ბის უფლების აღიარების კომისიის, ქ. თბილისის საკრებულოსა
და ა. ნ-ის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;
მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმი-
ნისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 აგვისტოს გა-
დაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტი-
ლება; 6. ნ-ის სასარჩელო მოთხოვნა 162 კვ.მ. არასასოფლო-სა-

მეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მდებარე ქ. თბილის-ში, ... გამზ. №6-ში) ა. ნ-ის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 21 მარტის №13 ოქმის და თბილისის საკურებულოს 2008 წლის 18 მარტის №293 საკუთრების უფლების მოწმობის ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა; ნ. ნ-ის სარჩელი 90 კვ.მ. არასა-სოფლო-სამურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მდებარე ქ. თბილისში, ... გამზ. №6-ში) ა. ნ-ის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 21 მარტის №13 ოქმის და ქ. თბილისის საკურებულოს 2008 წლის 18 მარტის №293 საკუთრების უფლების მოწმობის ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საკა-საციო წესით გაასაჩივრა ნ. ნ-მა. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საკა-საციო წესით გაასაჩივრა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია-მაც, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 18 ივნისისა და 8 ივლისის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად ნარმოებაში იქნა მიღებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა და ნ. ნ-ის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 სექტემბრის განჩინებით ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელო-

ბაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა და ნ. ნ-ის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით გ. ნ-ის განცხადება საქმის ნარმობების შეჩერების შესახებ დაკმაყოფილდა; შეჩერდა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა და ნ. ნ-ის საკასაციო საჩივრებზე ნარმობება მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხის) – ა. ნ-ის უფლებამონაცვლის დადგენამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 22 დეკემბრის საოქმო განჩინებით ა. ნ-ის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა მისი მეუღლე – გ. ნ-ი; ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა და ნ. ნ-ის საკასაციო საჩივრებზე განახლდა საქმის ნარმოება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 26 იანვრის განჩინებით ნ. ნ-ის საკასაციო საჩივარი 162 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მდებარე ქ. თბილისში, ... გამზ. №6-ში) ა. ნ-ის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 21 მარტის №13 ოქმის და ქ. თბილისის საკრებულოს 2008 წლის 18 მარტის №293 საკუთრების უფლების მოწმობის ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში არ დაკმაყოფილდა; აღნიშნულ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება; ნ. ნ-ისა და ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საკასაციო საჩივრები სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება 90 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მდებარე ქ. თბილისში,

... გამზ. №6-ში) ა. ნ-ის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 21 მარტის №13 ოქმის და ქ. თბილისის საკრებულოს 2008 წლის 18 მარტის №293 საკუთრების უფლების მოწმობის ბათილად ცნობის თაობაზე საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის დაბრუნების ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში საქმე არსებითად განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაეტა შპს „“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მაისის განჩინებით ქ. თბილისის საკრებულოს, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა და გ. ნ-ის (ა. ნ-ის უფლებამონაცვლე) სააპელაციო საჩივრები არ დაკაყაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება 90 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მდებარე ქ. თბილისში, ... გამზ. №6-ში) ა. ნ-ის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 21 მარტის №13 ოქმის და ქ. თბილისის საკრებულოს 2008 წლის 18 მარტის №293 საკუთრების უფლების მოწმობის ბათილად ცნობის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც 90 კვ.მ. არა-სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე, (ქ. თბილისი, ... გამზ. №6) სახლთმფლობელობის ის ნაწილი, რომელსაც იკავებდა ც. ნ-ი თავის ოჯახთან ერთად და რომელიც ნ. ნ-ისა და ც. ნ-ის მიერ გადაკეთებულ იქნა კომერციულ (სავაჭრო) ობიექტად, არასდროს ყოფილა მოპასუხე ა. ნ-ის ფლობისა და სარგებლობის საგანი, ფართის ამ ნაწილით ა. ნ-ს არასდროს უსარგებლია.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაცი-

ული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად განმარტა, რომ თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან, ასევე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში – უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლობის გამო ვერ გაიზიარა აპელანტების მსჯელობა მოსარჩელის მიერ სასამართლოსთვის მიმართვის ვადის დარღვევის თაობაზე და დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას მასზედ, რომ ნ. ნ-ის მიერ ქ. თბილისის მერიისადმი 2008 წლის 8 მაისს წარდგენილი განცხადების არც შინაარსი და არც ამ განცხადების ბოლოს გაკეთებული წარწერა 44 ფურცლის ჩაბარების თაობაზე არ ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ მოსარჩელე სადაც ადმინისტრაციულ აქტს გაეცნო კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლით დადგენილი წესის დაცვით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტების მსჯელობა მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულ აქტებთან მიმართებაში პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანის არ არსებობის თაობაზე და დადგენილი გარემოებების ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ მოსარჩელე – ნ. ნ-ი, რომელიც ფაქტიურად ფლობდა და სარგებლობდა სადაც 90 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის წაკვეთზე მდებარეულავი ნივთით, მოცემულ დავაში წარმოადგენდა დაინტერესებულ პირს, სადაც ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის წაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით (რაც ასახულია №13 სხდომის ოქმში) წამდგვილად და დაგებოდა პირდაპირი და უშუალო ზიანი, რაც დავის არსებითად განხილვისა და სარჩელის დაკმაყოფილების ერთერთი უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის I ნაწილზე, რომლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ენინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს პრეზიდენტის

2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-5-მე-10 მუხლების, მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის, აგრეთვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, განმარტა, რომ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია წარმოადგენს კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას (ადმინისტრაციულ ორგანოს). ამავე წესის მე-11 მუხლის I პუნქტის შესაბამისად, კომისია თავის ფუნქციებს ახორციელებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VIII თავით განსაზღვრული ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებით, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ ბრძანებულებით განსაზღვრული წესით. სააპელაციო სასამართლო მიიჩნია, რომ სადაცო ადმინისტრაციული აქტი გამოცემული იყო ასეთი სახის ადმინისტრაციული აქტის გამოცემისთვის კანონით დადგენილი პროცედურის დაუცველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 96-ე, 97-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტები – ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 21 მარტის №13 და თბილისის საკრებულოს 2008 წლის 18 მარტის №293 საკუთრების უფლების მოწმობა სადაცო 90 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილში ენინააღმდეგებოდნენ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მოთხოვნებს. შესაბამისად, სახეზე იყო სადაცო ნაწილში (90 კვ.მ.) გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათოლად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ნ-მა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმდა და საქმის ნარმოების შეწყვეტა მოითხოვა.

კასატორის – გ. ნ-ის მოსაზრებით, არსებობს მოცემული საქმის ნარმოების შეწყვეტის საფუძველი, ვინაიდან, დღეის მდგომარეობით დაგვა მიმდინარეობს მხოლოდ 90 კვ. მ მინის ნაკვეთზე, რომლის მთლიანი ღირებულების თანხის (200 000 აშშ დოლარის და პირგასამტებლოს სახით 20 000 აშშ დოლარის) გადახდა ნ. ნ-ის სასარჩევლო მოთხოვნის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით დაეკისრა გ. ბ-ს და აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არის შესული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მაისის განჩინება საკასაციო წესით ასევე გაასაჩივრა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის – კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მოსაზრებით, ნ. ნ-ი მოცემულ სადაცვო საკითხთან მიმართებაში არ არის დაინტერესებული მხარე და შესაბამისად არც სათანადო მოსარჩელე.

ამასთან, კასატორის მოსაზრებით, ნ. ნ-ის მიერ ვერ დადასტურდა სადაცვო მინის ნაკვეთის ფლობისა და სარგებლობის ფაქტი. მოცემულ შემთხვევაში ნ. ნ-ი მოთხოვნილ მინის ნაკვეთთან მიმართებაში არ იყო ის დაინტერესებული პირი, რომელიც შეძლებდა კომისიისათვის წარედგინა ყველა ის საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც კანონმდებლობით იყო განსაზღვრული. კასატორის მითითებით, აღნიშნული მსჯელობის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ ამგვარი დოკუმენტაცია არც საქმეში არის წარმოდგენილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 18 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული გ. ნ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2012 წლის 3 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად ნარმოებაში იქნა მიღებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 27 სექტემბრის განჩინებით გ. ნ-ის და ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საკასაციო საჩივარები მიწებულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, გამომდინარე იქიდან, რომ 162 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მდებარე ქ. თბილისი, ... გამზ. №6) ა. ნ-ის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 21 მარტის №13 ოქმის და ქ. თბილისის საკურებულოს 2008 წლის 18 მარტის №293 საკუთრების უფლების მოწმობის ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არის შესული, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს, მხოლოდ 90 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მდებარე ქ. თბილისი, ... გამზ. №6) ა. ნ-ის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 21 მარტის №13 ოქმის და ქ. თბილისის საკურებულოს 2008 წლის 18 მარტის №293 საკუთრების უფლების მოწმობის ბათილად ცნობის კანონიერების შეფასება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სა-სამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, თუმცა ამასთან, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, კასატორის – გ. ნ-ის მიერ წარმოდგენილ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2012 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმადაც, გ. ნ-ის სარჩელი დაკამაყოფილდა ნაწილობრივ და გ. ბ-ს გ. ნ-ის სასარგებლოდ გადასახდელად 200 000 აშშ დოლარი და პირგასამტებლოს სახით – 20 000 აშშ დოლარი დაკისრა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის სწირად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ერთეულის დადგენის დადგენის, წარმოადგენს თუ არა სასამართლო გადაწყვეტილებით გ. ბ-ისათვის გ. ნ-ის სასარგებლოდ დაკისრებული თანხა, სწორედ სადავო 90 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ ასანაზღაურებულ თანხას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გ. ბ-სა და ა. ნ-ს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების 2.2 პუნქტის შესაბამისად, გ. ბ-ს გ. ნ-ის სასარგებლოდ, 90 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მდებარე ქ. თბილისი, ... გამზ. №6) სანაცვლოდ 270 000 აშშ დოლარის ანაზღაურება (ან შესაბამისი კომერციული ფართით უზრუნველყოფა) დაევალა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ საქმეში წარმოდგენილი გ. ნ-ის ნოტარიულად დამონმებული 2008 წლის 3 დეკემბრის ხელნერილის თანახმად, გ. ნ-მა დაადასტურა გ. ბ-ის მიერ მისთვის 30 000 აშშ დოლარის ანაზღაურების ფაქტი. ამასთან, ამავე დღეს გ. ნ-სა და გ. ბ-ს შორის ნოტარიიალურად გაფორმებული ფულადი ვალდებულების აღიარების შესახებ ხელშეკრულების თანახმად, გ. ბ-მა გ. ნ-ის მიმართ 240 000 აშშ დოლარის ვალის არსებობა აღიარა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2012 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების თანახმად, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია გ. ბ-ის მიერ გ. ნ-ისათვის 40 000 აშშ დოლარის ანაზღაურების ფაქტი და გ. ბ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დარჩენილი თანხის – 200 000 აშშ დოლარის (ასევე პირგასამტებლოს თანხის – 20 000 აშშ დოლარის) ანაზღაურება დაკისრა.

საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ გ. ბ-ის მიერ გ. ნ-ისათვის ანაზღაუ-

რებული (30 000 აშშ დოლარი და 40 000 აშშ დოლარი) და სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის (200 000 აშშ დოლარი) ოდენობა, საერთო ჯამში – 270 000 აშშ დოლარს შეადგენს და ა. ნ-სა და გ. ბ-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების 2.2 პუნქტით განსაზღვრული, სადაც 90 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიზის ნაკვეთის სანაცვლოდ ასანაზღაურებული თანხის – 270 000 აშშ დოლარის შესაბამისია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავად დაადგინოს ახალი ფაქტობრივი გარემოებები და შეაფასოს ახალი მტკიცებულებები, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში ნარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე ხელახლა უნდა დაადგინოს და შეაფასოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს შესულია თუ არა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში და წარმოადგენს თუ არა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით გ. ბ-ისათვის ნ. ნ-ის სასარგებლოდ დაკისრებული თანხა, სწორედ ა. ნ-სა და გ. ბ-ს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების 2.2 პუნქტით განსაზღვრულ, სადაც 90 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიზის ნაკვეთის სანაცვლოდ ასანაზღაურებულ თანხას. აღნიშნული გარემოების დადგენის შემთხვევაში, საპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს მოსარჩევის კანონიერი ინტერესის არსებობის საკითხზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26^ე-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლო სარჩელის ნარმოებაში მიღების ეტაპზე ამ კოდექსის 22-ე-25-ე მუხლების საფუძველზე წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურება არის ის, რომ სარჩელი უნდა აქმაყოფილებდეს როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-179-ე მუხლების მოთხოვნებს, ისე სარჩელის დასაშვებობის მოთხოვნებს,

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26²-ე მუხლის მიხედვით (მატერიალური დასაშვებობა).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის მატერიალური დასაშვებობის საკითხს სასამართლო ამონმებს განმწერიგებელ სხდომაზე (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26²-ე მუხლი), თუმცა საგულისხმოა ის გარემოება, რომ საქმის განმხილველი მოსამართლე არ არის შეზღუდული ამ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით და იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე გამოვლინდება სარჩელის დაუშვებლობს საფუძვლები, სასამართლო უფლებამოსილია განჩინებით შეწყვიტოს საქმის წარმოება. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26²-ე მუხლის მე-5 ნანილის თანახმად, საქმის სააპელაციო წესით განხილვისას დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენისას სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინება. სარჩელის დასაშვებობის შემოწმება ხდება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს 90 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მდებარე ქ. თბილისი, ... გამზ. №6) ა. 6-ის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 21 მარტის №13 ოქმის და ქ. თბილისის საკურებულოს 2008 წლის 18 მარტის №293 საკუთრების უფლების მოწმობის ბათილად ცნობა წარმოადგენს, სახეზე გვაქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით განსაზღვრული შეცილებითი სარჩელი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შეცილებითი სარჩელის შემთხვევაში მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უმუალო ზიანს აყენებს მის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას. ამასთან, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს ის გარემოება, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მისთვის სასარგებლო შედეგი დადგება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ გ. ბ-ის მიერ უკვე ანაზღაურებული და სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა, სწორედ, 90 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სანაც-

ვლოდ ანაზღაურებულ თანხას წარმოადგენს, მაშინ, მოსარჩეულის კანონიერი ინტერესი სადაცო აქტების ბათილად ცნობის მიმართ აღარ იკვეთება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იგი თავად ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. ნ-ის და ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირებს მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ნ-ის და ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აქტის ქალადაკარგულად ცნობის თაობაზე სარჩევის დასაშვებობა

განხილვა

№პს-563-553(ქ-12)

30 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება; ინდივიდუ-
ალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად
ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 16 აგვისტოს ნ. ს-მა სასარჩელო განცხადებით
მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას, მოპასუხების – ქ. თბილისის მერიისა და
საიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სსიპ თბილისის არქიტექტურის
სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანებით შეთან-
ხმდა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ... ქ. №8-ში ინ-
დივიდუალური მენაშენეთა ამხანაგობა „...“ თანასაკუთრებაში
არსებულ მინის ნაკვეთზე მშენებარე მრავალფუნქციური (საც-
ხოვრებელი, საოფისე, სავაჭრო) შენობის კორექტირებული არ-
ქიტექტურული პროექტი. მშენებლობის ვადად განისაზღვრა
2010 წლის 17 მაისიდან 2012 წლის 17 იანვრამდე პერიოდი, საიპ
თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 21 სექტემ-
ბრის №6/1389 ბრძანების მე-4 და მე-6 პუნქტები და 2009 წლის
29 დეკემბრის №4563 ბრძანების მე-2 პუნქტი კორექტირებუ-
ლი არქიტექტურული პროექტის ამხანაგობის საერთო კრებაზე
დამატებით განხილვისა და ამხანაგობის მიერ მხოლოდ ერ-
თხმად მიღებული გადაწყვეტილების სხდომის ოქმის 2011 წლის
1 იანვრამდე ნარდგენის ნაწილში დარჩა ძალაში. ბრძანების მე-
5 პუნქტით განისაზღვრა, რომ ამ ბრძანების მე-4 პუნქტით გათ-
ვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის ან ვადის გა-
დაცილების შემთხვევაში ამავე ბრძანებით ძალადაკარგულად
ჩაითვლებოდა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწ-

მობა. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე გაიცა №6/1040 სამ-შენებლო ნებართვა.

მოსარჩელის განმარტებით, 2011 წლის 2 მარტს მან განცხა-დებით მიმართა ქ. თბილისის მერიას და სსიპ თბილისის არქი-ტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანე-ბის ძალადაკარგულად გამოცხადება მოთხოვა, იმ საფუძვლით, რომ დაინტერესებული მხარის მიერ ინდივიდუალურ-ადმინის-ტრაციულ სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირობები (ამხანაგობის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების სხდომის ოქტომბერი 2011 წლის 1 იანვრამდე არ წარდგენილა) დადგე-ნილ ვადაში არ შესრულებულა, რაც აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველს წარმოადგენდა. აღნიშნული გარე-მოების მიუხედავად, სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 7 აპრილის №1279 ბრძანებით 6. ს-ს უკანონოდ ეთქვა უა-რი სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების და შესაბამისი მშენებლობის ნებარ-თვის ძალადაკარგულად ცნობაზე, ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 1 ივლისის №1422 განკარგულებით კი მისი ადმინისტრა-ციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძა-ნების და შესაბამისი მშენებლობის ნებართვის ძალადაკარგუ-ლად ცნობა, ხოლო სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 7 აპრილის №1279 ბრძანების და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 1 ივლისის №1422 განკარგულების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიის 2011 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით ადმი-ნისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწი-ლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ შპს „...“ და ამხანაგობა „...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიის 2011 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით 6. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოე-ბა, რომ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ... ქ. №8-ში ინდივიდუალური მენაშენე-თა ამხანაგობა „...“ თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთ-ზე მშენებარე მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, საოფისე, სავაჭრო) შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექ-

ტი. მშენებლობის ვადად განისაზღვრა 2010 წლის 17 მაისიდან 2012 წლის 17 იანვრამდე პერიოდი, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 21 სექტემბრის №6/1389 ბრძანების მე-4 და მე-6 პუნქტები და 2009 წლის 29 დეკემბრის №4563 ბრძანების მე-2 პუნქტი კორექტირებული არქიტექტურული პროექტის ამსანაგობის საერთო კრებაზე დამატებით განხილვისა და ამხანაგობის მიერ მხოლოდ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების სხდომის ოქმის 2011 წლის 1 იანვრამდე წარდგენის ნაწილში დარჩა ძალაში. ბრძანების მე-5 პუნქტით განისაზღვრა, რომ ამ ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის ან ვადის გადაცილების შემთხვევაში ამავე ბრძანებით ძალადაკარგულად ჩაითვლებოდა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე გაიცა №6/1040 სამშენებლო ნებართვა.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ 2011 წლის 2 მარტს 6. ს-მს განცხადებით მიმართა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება მოითხოვა, იმ საფუძვლით, რომ დაინტერესებული მხარის მიერ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირობები (ამხანაგობის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების სხდომის ოქმი 2011 წლის 1 იანვრამდე არ წარდგენილი) დადგენილ ვადაში არ შესრულებული, რაც აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველს წარმოადგენდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 7 აპრილის №1279 ბრძანებით 6. ს-ის განცხადება სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, იმ საფუძვლით, რომ ამხანაგობა „...“ მიერ ვალდებულების შესრულების ვადა არ დასრულებულა, რადგან სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 31 დეკემბრის №6423 ბრძანებით დაცმაყოფილდა ინდივიდუალურ ბინათმენაშენეთა ამხანაგობა „...“ და შპს „...“ განცხადება და ცვლილება შევიდა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების მე-4 პუნქტში, კერძოდ, ამხანაგობის წევრთა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების ამსახველი კრების ოქმის წარდგენის ბოლო თარიღად მიეთითა 2011 წლის 20 დეკემბერი, დანარჩენ ნაწილში ბრძანება დარჩა უცვლელად.

სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 7 აპრილის №1279 ბრძანება ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდა 6. ს-ის მიერ. ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 1 ივლისის №1422 განკარგულებით 6. ს-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 7 აპრილის №1279 ბრძანება.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება წარმოადგენდა. დავის საგანი არ იყო ხსენებული ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა. მართალია, სარჩელი აღძრული იყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე წარდგენილ სარჩელს, თუმცა სასარჩელო მოთხოვნის განხილვის სამართლებრივი ფარგლები არსებითად განსხვავდებოდა იმავე მუხლის შესაბამისად აღძრული სარჩელისაგან, რომლის მოთხოვნაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას წარმოადგენდა. აღნიშნულს განაპირობებდა მოთხოვნის განსხვავებული მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი. კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ბათილად ცნობისა და ძალადაკარგულად გამოცხადების სამართლებრივი შესაძლებლობა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოს მიერ მოსარჩელისათვის სარჩელის ტრანსფორმირების შეთავაზების მიუხედავად, სარჩელის ტრანსფორმირება არ განხორციელებულა, რადგან 2011 წლის 28 ნოემბრის სასამართლო სხდომზე მოსარჩელის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მარნეულებელთან შეთანხმებული პოზიციის შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნად რჩებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე აღნიშნა, რომ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანება აღმჯურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი

არ იყო ძალადაკარგულად გამოცხადებინა კანონის შესაბამისად გამოცემული აღმტურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ: ა) ეს პირდაპირ იყო მითითებული კანონში ან მის საფუძველზე გამოცემული ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტში; ბ) კანონმდებლობის შესაბამისად ეს პირდაპირ იყო მითითებული აღმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში; გ) დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება გამზდარიყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი; დ) გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი წორმატიული აქტი, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევდა შესაძლებლობას გამოცა ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებას შეეძლო მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენებინა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებისათვის; ე) არსებობდა ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევდა შესაძლებლობას გამოცა ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებას შეეძლო მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენებინა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებისათვის; ვ) არსებობდა ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევდა შესაძლებლობას გამოცა ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებას შეეძლო მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენებინა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებისათვის.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში სადაცვო არ იყო ის გარემოება, რომ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 31 დეკემბრის №6423 ბრძანებით დაკმაყოფილდა ინდივიდუალურ ბინათმენაშენეთა ამსანაგობა „....“ და შეს „....“ განცხადება და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „კორექტირებული არქიტექტურული პროექტის თაობაზე ბინათმენაშენეთა ამსანაგობის წევრთა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების ამსახველი კრების ოქმი წარმოდგენილ იქნეს 2011 წლის 20 დეკემბრამდე“. დანარჩენ ნაწილში ბრძანება დარჩა უცვლელი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანებოდა ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილ წესით. საქალაქო სასამართლოს განმარტებით ცვლილების შეტანის გადაწყვეტი-

ლებით ცვლილება იქცეოდა იმ აქტის შემადგენელ ნაწილად, რომელშიც ის იქნა შეტანილი. ამდენად, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების მე-4 პუნქტით განისაზღვრა, რომ კორექტირებული არქიტექტურული პროექტის თაობაზე ბინამდებარებული ამხანაგობის წევრთა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების ამსახველი კრების ოქმის ნარდგენის ბოლო ვადას 2011 წლის 20 დეკემბერი წარმოადგენდა. შესაბამისად, საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, დაინტერესებულ მხარეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულების შესასრულებლად მიცემული ჰქონდა ვადა, რომელიც არ იყო ამონურული და ამ საფუძვლით ბრძანების ძალადაკარგულად ცნობა არ შეესაბამებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60^ს მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იყო ბათილი, თუ იგი ენინაალმდეგებოდა კანონს ან არსებითად დარღვეული იყო მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. განსახილველ შემთხვევაში საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების და მის საფუძველზე გაცემული სანებართვო მოწმობის ძალადაკარგულად ცნობის საფუძველი არ არსებობდა. აღნიშნულის გარდა, სასამართლოს მსჯელობით სადაცო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის დამოუკიდებელი საფუძველი მოსარჩელის მიერ არ მითითებულა და საქმის არსებითი განხილვის შედეგადაც არ გამოვლენილა. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 7 აპრილის №1279 ბრძანება და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 1 ივლისის №1422 განკარგულება იყო კანონშესაბამისი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ს-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 22 მაისის განჩინებით ნ. ს-ის საპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-

ლეგის 2011 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სა-სამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სა-მართლებრივი შეფასებები და დამატებით განმარტა, რომ მო-ცემულ შემთხვევაში ნ. ს-ის თვის სარჩელის დაკმაყოფილების იურიდიულ ინტერესს სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახუ-რის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების (რომლითაც შე-თანხმდა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ... ქ. №8-ში ინდივიდუალური მენაშენეთა ამხანაგობა „...“ თანასაკუთრება-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, საოფისე, საცაჭრო) შენობის კორექტირებუ-ლი არქიტექტურული პროექტი) ძალადაკარგულად ცნობა წარ-მოადგენდა.

მოსარჩელე მხარე როგორც სარჩელში ასევე, სააპელაციო საჩივარში სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების ძალადაკარგულად გამოც-ხადების მართებულობას უკავშირებდა იმ გარემოებებს, რომ ბრძანება გამოიცა შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევით, გასაჩივრებული 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების გა-მოცემას საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლთან ერთად საფუძვლად ედო ძალა-დაკარგული საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 მაისის №140 დადგენილება და უფრო მეტიც, „ლიცენზიებისა და ნე-ბართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ნებართვის გაუქმება ნიშნავდა ნებართვის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების საქართველოს ზოგადი ად-მინისტრაციული კოდექსის შესაბამისად ძალადაკარგულად გა-მოცხადებას, რომლის საფუძველი სზა-ის 61-ე მუხლით გათ-ვალისწინებულის გარდა იყო კანონით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა („ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 ნაწილის „გ“ პუნქტი).

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციუ-ლი სამართლის ზოგადი მატერიალური ნორმები ერმანეთისა-გან აცალევებდნენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტების გაუქმების ფორმას თავისი იურიდიული შე-დეგების და გამომწვევი პირობების მიხედვით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი იცნობდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გაუქმებას, რაც გამოიხატებოდა ასეთი აქტების ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობაში. იგივე საკანონმდებლო აქტით იყო განსაზღვრული, რომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის

ბათილად ცნობის ძირითად პირობებს წარმოადგენდა ასეთი აქტის საფუძვლების კანონინააღმდეგობრიობა მისი ფორმალური და მატერიალური გაგებით. შედეგად ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა შესაძლებელი იყო მაშინ, როცა ასეთი აქტი ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას, ანუ აქტი იყო უკანონო.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ იყო ძალადაკარგულად გამოცხადებინა კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ: ა) ეს პირდაპირ იყო მითითებული კანონში ან მის საფუძველზე გამოცემული ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტში; ბ) კანონმდებლობის შესაბამისად ეს პირდაპირ იყო მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში; გ) დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება გამხდარიყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი; დ) გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევდა შესაძლებლობას გამოეცა ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებას შეეძლო მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენებინა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებისათვის; ე) არსებობდა ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევდა შესაძლებლობას გამოეცა ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული შენიშვნების შეეძლო მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენებინა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებისათვის. აღნიშნული მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან. ამ მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში შესაძლებელი იყო განსაზღვრულიყო მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმება. მე-7 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად

გამოცხადება არ იწვევდა ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

აღნიშნული დანაწესებიდან გამომდინარე, საპელაციო სა-სამართლომ განმარტა, რომ განსხვავებული იყო ადმინისტრა-ციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად (პნობის პირო-ბები, სადაც ასეთის გამოყენება შესაძლებელი იყო, მხოლოდ კანონიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებზე შესაბა-მისი პირობების დადგომის შემთხვევაში).

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის არგუ-მენტები გასაჩივრებული სსიპ თბილისის არქიტექტურის სამ-სახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების ძალადაკარ-გულად გამოცხადების მართებულობაზე. ის არგუმენტი, რომ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაი-სის №01/930 ბრძანება დაეყრდნო ძალადაკარგულ ნორმატი-ულ აქტს, არ ქმნიდა გასაჩივრებული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების პირობას. სააპელაციო სასამართლოს განმარტე-ბით, თუნდაც, რომ კანონით განსაზღვრულიყო ასეთი შემთხვე-ვა, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც დადგენილე-ბის ძალაში შესვლამდე დაწყებული იყო მშენებლობის ნებარ-თვის გაცემის პროცედურა ან გაცემული იყო მშენებლობის ნე-ბართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ იყო ვარგისად აღიარებუ-ლი გავრცელდებოდა განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. ამდენად, მშენებლობის გამცემი ად-მინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო ემოქმედა სწორედ, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პი-რობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგ-ვისტოს №140 დადგენილებით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მიერ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-6 ნაწილზე მითითება, ვინაიდან, სამ-შენებლო საქმიანობაზე ნებართვის გაცემის წესს და პირობებს ადგენდა და არეგულირებდა 2010 წლის 8 აპრილს მიღებული საქართველოს კანონი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შე-სახებ“, რომლის ამოქმედებამ ძალადაკარგულად გამოაცხადა „საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის ლიცენზირების შესა-ხებ“ 1999 წლის 9 სექტემბრის საქართველოს კანონი, ამასთან, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესს და პირობებს ასევე არე-გულირებდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის და სანე-

ბართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №57 დადგენილება (მანამდე – „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილება). შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის სპეციალური მარეგულირებელი ნორმების არსებობის პირობებში, დაუშვებელი იყო უპირატესობა მინიჭებოდა ზოგად სამართლებრივ ნორმებს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გარდა, გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტი, რომ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 31 დეკემბრის №6423 ბრძანებით დაქმაყოფილდა ინდივიდუალურ ბინათმენაშენეთა ამხანაგობა „...“ და შპს „...“ განცხადება და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „კორექტირებული არქიტექტურული პროექტის თაობაზე ბინათმენაშენეთა ამხანაგობის წევრთა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების ამსახველი კრების ოქმი წარმოდგენილ იქნას 2011 წლის 20 დეკემბრამდე“. დანარჩენ ნაწილში ბრძანება დარჩა უცვლელი.

შესაბამისად, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების მე-4 პუნქტით, რითაც დადგინდა, რომ კორექტირებული არქიტექტურული პროექტის თაობაზე ბინათმენაშენეთა ამხანაგობის წევრთა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების ამსახველი კრების ოქმი 2011 წლის 20 დეკემბრამდე უნდა წარდგენილიყო, ნიშნავდა, რომ თვით ამ აქტით დადგენილი პირობა აქტის ძალადაკარგულად ცნობისათვის არ დამდგარა. ამდენად, ბრძანების ძალადაკარგულად ცნობა არ შესაბამებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნას.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან, არ არსებობდა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების და მის საფუძველზე გაცემული სანებართვო მოწმობის ძალადაკარგულად ცნობის საფუძველი, შესაბამისად, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 7 აპრილის №1279 ბრძანება და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 1 ივლისის №1422 განკარგულება იყო კანონშესაბამისი და არ არსებობდა მათი ბათილად ცნობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით დადგენილი პირობები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 22 მაისის განჩინება საკასაციო

წესით გაასაჩივრა ნ. ს-მა.

კასატორის განმარტებით, მოცემულ საქმეზე დაფის საგანს წარმოადგენს სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების ძალადაკარგულად ცნობა, ხოლო ამავე ბრძანების ძალადაკარგულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 1 ივლის №1422 განკარგულების ბათილად ცნობა. სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანებით განხორციელდა ქ. თბილისში, ... ქ. №8-ში, ი.მ.ა „...“-ის თანასაკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე მშენებარე მრავალ-ფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და ახალი მშენებლობის ნებართვის – მშენებლობის სანებართვო მოწმობა №6/1040-1-ს გაცემა; აღნიშნული ბრძანებით ი.მ.ა „...“-ის მიერ დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში უნდა მომხდარიყო არქიტექტურის სამსახურის მიერ ბრძანების ძალადაკარგულად ცნობა, რაზედაც ნ. ს-მა წარადგინა მოთხოვნა, ხოლო მოთხოვნის დაუკამაყოფილებლობის გამო, მის მიერ წარდგენილ იქნა საჩივარი ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში – ქ. თბილისის მერიაში, რომელმაც 2011 წლის 1 ივლისს მიღებული №1422 განკარგულებით არ დააკამაყოფილა მოთხოვნა – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

კასატორი სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებს შემდეგ გარემოებებზე: 1) გასაჩივრებული ბრძანების სათაურის მიხედვით ქ. თბილისში, ... ქ. №8-ში არსებულ მინის ნაკვეთზე მშენებარე მრავალფუნქციური შენობა წარმოადგენდა ი.მ.ა „...“-ის თანასაკუთრებას. აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი იყო გასაჩივრებული ბრძანების სამართლებრივი საფუძველი – ამონანერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის №...; საკადასტრო №...). აღნიშნულის შესაბამისად, კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება საჭიროებდა ამხანაგობის ყველა წევრის – როგორც მესაკუთრების თანხმობის წარდგენას არქიტექტურის სამსახურში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე; 2) შენობის სართულიანობისა და საერთო ფართობის გაზრდით პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით საკითხის ამხანაგობის საერთო კრებაზე განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებაზე შედგა სხდომის ოქ-

მი, აგრეთვე საჯარო რეესტრის ამონაწერში, ნაკვეთის საკუთრების გრაფაში მითითებული, „თანასაკუთრებად“ განსაზღვრული შესაბამისი პირის თანხმობა სართულიანობის გაზრდით კორექტირებაზე წარმოადგენდა არქიტექტურის სამსახურის სავალდებული მოთხოვნას, რომლის წარდგენაზე სამსახურის 2010 წლის 17 მარტის №12/26013 პასუხით დადგინდა 15 სამუშაო დღე. დადგენილ ვადაში დამკვეთის მიერ ხარვეზების გამოყსნორებლობის და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, სამსახურის 2010 წლის 17 მარტის პასუხის მიხედვით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, განცხადება კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების და ახალი მშენებლობის ნებართვის მოთხოვნით უნდა დარჩენილიყო განუხილველი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არქიტექტურის სამსახურის სადავო №930 ბრძანებაშიც ასეთივე პოზიცია იყო დაფიქსირებული. ბრძანების თანახმად, სამსახურმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და დაადგინა, რომ პროექტის კორექტირების თაობაზე საჭირო იყო ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება; 3) სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურიდან 2011 წლის 10 თებერვლის (12/11644-13) და 2011 წლის 18 თებერვლის (12/15204-13) განცხადებებით მოსარჩელემ გამოითხოვა სამშენებლო დოკუმენტაცია, სადაც არ იყო კორექტირებული არქიტექტურული პროექტის და მშენებლობის ნებართვის გასაცემად სავალდებულო დადებითი საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა. თუმცა აღსანიშნავი იყო ის გარემოება, რომ 2009 წლის და 2010 წლის კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო დასკვნებში მითითებული იყო შემდეგი, „ექსპერტიზაზე წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილის დამუშავებას წინ უძლოდა შპს „ხ...“ მიერ ჩატარებული ფუძე-გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები“. საგულისხმო იყო ის გარემოება, რომ დადებითი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა წარმოადგენდა კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების და ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემის სამართლებრივ საფუძველს. ანალოგიურად, მეორედ, სადავო – არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების გაცემის სავალდებულო პირობას წარმოადგენდა პროექტის კორექტირებით (სართულიანობის გაზრდით) გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის შესახებ საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა; 4) სამშენებლო დოკუმენტში დამკვეთის მიერ წარდგენილი იყო 2009 წლის და 2010 წლის საექ-

სპერტო დასკვნები. ორივე დასკვნას ხელს აწერდა ექსპერტი, მეცნიერებათა დოქტორი ზ.პ-შვილი. 2009 წლის საექსპერტო დასკვნა დათარიღებული იყო 2009 წლის 17 სექტემბრით. შესაბამისად, აღნიშნული დასკვნა დადებითიც რომ ყოფილიყო, კორექტიორებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების სამართლებრივი საფუძველი ვერ გახდებოდა, რადგან პროექტი აღნიშნულ თარიღამდე – 2009 წლის 4 სექტემბერს შეთანხმდა. ამასთან, კასატორის მოსაზრებით, ექპერტიზის დასკვნები დადებითი არ ყოფილა.

კასატორის მითითებით, სრულ სამშენებლო დოკუმენტაციაში არ მოიპოვებოდა დამკვეთების 2010 წლის 11 მაისის განცხადება; განმცხადებლების მიერ არ იყო განმარტებული და არგუმენტიორებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2-6,2-ით განსაზღვრის აუცილებლობა; კ2 კოეფიციენტის გაზრდის მოთხოვნის გარდა, არ იყო მითითებული მშენებარეობიექტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და არქიტექტურული, აგრეთვე ტერიტორიის განვითარებასთან დაკავშირებული, რომელი განსაკუთრებული მიზეზებით იყო განპირობებული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების აუცილებლობა; ამხანაგობა „...“ რა ინტერესის გამო იღებდა გადაწყვეტილებას, შეეთანხმებნა არქიტექტურის სამსახურთან მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება, მაშინ, როცა თავდაპირველი შეთანხმებული პროექტით შენობის მშენებლობა 2008 წლის 1 ივლისამდე უნდა დასრულებულიყო და რატომ იღებდა სპეციალური შეთანხმების მოსაკრებლის – 131 308.80 ლარის გადახდის ვალდებულებას; რომელი ღონისძიებებით კომპენსირდებოდა არქიტექტურული პროექტის კორექტიორებით განსაზღვრული ისეთი ცვლილებები, რომლებიც უპირისპირდებოდა საზოგადოებრივ ინტერესებს. სამშენებლო დოკუმენტის და მისი სავალდებულო ნაწილის, კორექტიორებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე ზ.პ-შვილის მიერ 2010 წლის აპრილში ხელმოწერილი საექსპერტო დასკვნის და ამ დასკვნის წინამორბედი ამავე ექსპერტის მიერ დასამტკიცებლად რეკომენდიორებული 2009 წლის 17 სექტემბრის დასკვნის, აგრეთვე, შპს „ნ...“ 22.02.106. №117 და №118 ოქმების გაანალიზების შედეგად იყო საფუძვლიანი ეჭვი, რომ ქ. თბილისში, ... ქ. №8-ში მშენებარე ნაგებობა დღეის მდგომარეობით იყო უკვე ავარიული, შეუძლებელი იყო ადამიანებისთვის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოს შექმნა.

ამასთან, კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული №01/930 ბრძანების საფუძველი – 2006 წლის 13 სექტემბრის ქალაქ-

თმშენებლობითი პირობები №კოლ-70 იყო ძალადაკარგული, რადგან აღნიშნული აქტი ძალაში იყო მისი გაცემიდან ორი წლის განმავლობაში – 2008 წლის 13 სექტემბრამდე, მითუმეტეს, რომ ორჯერ, ქ. თბილისის მერის 2009 წლის 1 მაისის №379 და შემდგომში 2010 წლის 15 თებერვლის №453 განკარგულებებით განაშენიანების ინტენსიურობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით გაიცა აღნიშნული შენობისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმება, რაც სამშენებლო კოდექსის მოთხოვნების მიხედვით, მშენებლობის ნებართვის მისაღებად, სავალდებულოს ხდიდა I სტადიის გავლას – ქალაქთმშენებლობითი პირობების თავიდან განსაზღვრას.

კასატორის მოსაზრებით, საგულისხმო იყო ის გარემოება, რომ ქ. თბილისის მერის 2010 წლის 15 თებერვლის №453 განკარგულება გამოცემული იყო საქართველოს კონსტიტუციის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს დედაქალაქ – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის, 2003 წლის 5 ივნისის №6-17 საკრებულოს გადაწყვეტილების – დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის; „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების და განაშენიანების ძირითადი წესების“ მოთხოვნების დარღვევით. ასევე არასწორი იყო არქიტექტურის სამსახურის მითითება ამხანაგობის კრების ოქმზე, რომლის საფუძველზეც დადგენილად იქნა მიჩნეული პროექტის კორექტირებაზე თანხმობის მისაცემად ამხანაგობის წევრთა 4/5-ის გადაწყვეტილება. აღნიშნული კრების ოქმი ენინა-აღმდეგებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-172-ე და 630-640-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც არამართებული იყო ამხანაგობა „...“-ის 2010 წლის 15 აპრილის წევრთა კრების №17 ოქმის სამართლებრივ საფუძვლად მითითება. ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულების 6.7 მუხლის თანახმად, კრება უფლებამოსილი იყო, თუ მას ესწრებოდა დამტუძნებელთა 4/5. №17 კრების ოქმის მიხედვით კრება იყო არაუფლებამოსილი, რადგან მას ესწრებოდა 14 წევრი. მით უფრო, რომ ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად – კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შესათანხმებლად სავალდებულო იყო ყველა მესაკუთრის თანხმობა. ქვედა ინსტანციის სასამართლოების მტკიცებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ აქტში 2010 წლის 31 დეკემბრის №6423 ბრძანებით ცვლილება განხორციელდა უკვე გაცემულ მშენებლო-

ბის ნებართვაში, რის შედეგადაც სადავო ბრძანების მეოთხე პუნქტი ჩამოყალიბდა ახლებური რედაქციით. ცვლილების შედეგად ამხანაგობას მიეცა დამატებითი ვადა 2011 წლის 20 დეკემბრამდე კრების ოქმის წარსადგენად. კასატორის განმარტებით, მენაშენე თრგანიზაციას 6. ს-ისათვის არ მიუმართავს თხოვნით პროექტის კორექტირებაზე თანხმობის მისაცემად, ასეთი წინადადება მათგან არ გამუღავნებულა არც სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს, რადგან ისინი დემონსტრაციულად არ ესწრებოდნენ საქმის განხილვებს. გაუგებარი იყო, რა მიზნით თხოვა ვადის გადაწევა მენაშენემ ან რა მოტივზე დაყრდნობით დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა არქტიქტურის სამსახურმა, თუ ვადის გადაწევის წანამძღვრები არცერთი გარემოებით ან მტკიცებულებით არ დასტურდებოდა.

კასატორმა მიუთითა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონზე და განმარტა, რომ გასაჩივრებული 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების გამოცემას საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლთან ერთად საფუძვლად ედო ძალადაკარგული საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილება. ამდენად, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის დანაწესის თანახმად, ძალადაკარგულად უნდა გამოცხადებულიყო საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140-ე დადგენილების საფუძველზე გამოცემული არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანება.

კასატორმა მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტა, რომ სასამართლოს მტკიცებით აქტში განხორციელებული ცვლილება განაპირობებდა გასაჩივრებული აქტის ძალადაკარგულად ცნობაზე უარს, რა დროსაც მხედველობაში არ მიიღებოდა თუ რა ფორმით განხორციელდა ცვლილება გასაჩივრებულ აქტში, დაცული იყო თუ არა იმ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის მოთხოვნები, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს როგორც გასაჩივრებული აქტი, ასევე მასში განხორციელებული ცვლილება. კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლოს მსჯელობით აქტში ცვლილების განხორციელებისას არ გამოიყენებოდა სპეციალური სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები, როგორიც იყო საქართველოს მთავრობის №57 დადგენილება.

კასატორის მსჯელობით უსაფუძვლო იყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ მშენებლობის დამკვეთს მშენებლობის ნებართვა

არა თუ უნდა გაუქმებოდა არქიტექტურის სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის გა- მო, არამედ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო დამკვეთისათვის ვალდებულების შესასრულებლად განესაზ- ღვრა დამატებითი ვადა.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კა- ნონის 34-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ნებართვის გაუქ- მება ნიშნავდა ნებართვის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილე- ბის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესა- ბამისად ძალადაკარგულად გამოცხადებას, რომლის საფუძვე- ლი სზაკ-ის 61-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების გარდა იყო: კანონით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა (ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანო- ნის 34-ე მუხლის მე-7 ნაწილის „გ პუნქტი).“

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კა- ნონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ნებართვის გაცე- მის, მის გაცემაზე უარის თქმის ან მისი გაუქმების შესახებ გა- დაწყვეტილება იყო ადმინისტრაციული აქტი. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 39-ე მუხ- ლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, თუ ობიექტის მშენებლობა და- კავშირებული იყო დასამუშავებელი საპროექტო დოკუმენტა- ციის დიდ მოცულობასთან და შემჭიდროებულ ვადებში შესას- რულებელ მაშტაბურ სამუშაოებთან, აგრეთვე გართულებული იყო დაპროექტებისათვის საჭირო გარემოებათა ან/და საპრო- ექტო დოკუმენტაციის ცალკეული ნაწილების დაზუსტება-შე- თანხმება, რის გამოც ნებართვის მაძიებელი ვერ წარადგენდა სრულყოფილ დოკუმენტაციას, ნებართვის მაძიებლის დასაბუ- თებული შუამდგომლობის საფუძველზე, ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილი იყო გაეცა მშენებლობის ნებართვა წარსადგენი დოკუმენტაციის პირობებისა და ვადების გათვა- ლისწინებით. ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ დადგენილი პი- რობებით და განსაზღვრულ ვადაში წარმოდგენილი დოკუმენ- ტაცია იყო საპროექტო დოკუმენტაციის განუყოფელი ნაწილი და დაემატებოდა მას. ნებართვის გამცემის მიერ განსაზღვრულ ვადაში დადგენილი დოკუმენტაციის წარუდგენლობა მშენებ- ლობის ნებართვის ძალადაკარგულად ცნობის საფუძველს წარ- მოადგენდა.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ სარჩელის დაკმა- ყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა ის გარემოე- ბა, რომ გასაჩივრებულ 2010 წლის 13 მაისის №930 ბრძანებაში შევიდა ცვლილება. გაუგებარი იყო რა შეიცვალა ამ ცვლილე-

ბით, ასეთი თანხმობა მშენებლობის დამკვეთს ხომ მაინც არ წარუდგენია, გარდა ამისა გაუგებარი იყო, რომელი ნორმატი-ულ-სამართლებრივი აქტის ან კანონის საფუძველზე ხდებოდა ჯერ მშენებლობის ხებართვის და პროექტის შეთანხმება ან/და მათში ცვლილების შეტანა, ხოლო ერთი-ორი წლის შემდეგ შე-თანხმებულ პროექტზე საცხოვრებელი ბინის მესაკუთრეთა თანხმობების წარდგენა.

ამდენად, ყოველივე ზემოალნიშნულიდან გამომდინარე, კა-სატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გა-დაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ საქართველოს ადმინისტრაციული საპ-როცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, და-საშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული 6. ს-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 იანვრის განჩინებით საქართვე-ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა ცნო-ბილი 6. ს-ის საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2013 წლის 28 თებერვალს 12:30 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხა-რეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის სა-ფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანო-ნიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ 6. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწი-ლობრივ; სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანებისა და მშენებლობის №6/1040-1 სა-ნებართვო მოწმობის ძალადაკარგულად გამოცხადების მოთ-ხოვნის ნაწილში უნდა შეწყდეს საქმის წარმოება, ამ ნაწილში სარჩელის დაუშვებლობის გამო და აღნიშნულ ნაწილში უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 22 მაისის განჩინება და თბი-ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-ლეგიის 2011 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება; დანარჩენ ნაწილში, კერძოდ, სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 7 აპრილის №1279 ბრძანების და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 1 ივლისის №1422 განკარგულების ბათილად ცნობაზე უარის

თქმის ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული გან-
ჩინება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არ-
სებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: სსიპ თბილისის არ-
ქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძა-
ნებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ...
ქ. №8-ში ინდივიდუალური მენაშენეთა ამხანაგობა „...“ თანასა-
კუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე მშენებარე მრავალფუნ-
ქციური (საცხოვრებელი, საოცისე, სავაჭრო) შენობის კორექ-
ტირებული არქიტექტურული პროექტი. მშენებლობის ვადად
განისაზღვრა 2010 წლის 17 მაისიდან 2012 წლის 17 იანვრამდე
პერიოდი, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009
წლის 21 სექტემბრის №6/1389 ბრძანების მე-4 და მე-6 პუნ-
ქტები და 2009 წლის 29 დეკემბრის №4563 ბრძანების მე-2 პუნ-
ქტი კორექტირებული არქიტექტურული პროექტის ამხანაგო-
ბის საერთო კრებაზე დამატებით განხილვისა და ამხანაგობის
მიერ მხოლოდ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების სხდო-
მის ოქმის 2011 წლის 1 იანვრამდე წარდგენის ნაწილში დარჩა
ძალაში. ბრძანების მე-5 პუნქტით განისაზღვრა, რომ ამ ბრძა-
ნების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრუ-
ლებლობის ან ვადის გადაცილების შემთხვევაში ამავე ბრძანე-
ბით ძალადაკარგულად ჩაითვლებოდა მშენებლობის ნებართვა
და სანებართვო მოწმობა. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე
გაიცა №6/1040 სამშენებლო ნებართვა.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემო-
ებას, რომ 2011 წლის 2 მარტს ნ. ს-მა განცხადებით მიმართა ქ.
თბილისის მერიას (ქ. თბილისის მერიის იურიდიული სამსახუ-
რის მიერ განცხადება განსახილველად გადაეგზავნა უფლება-
მოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს – სსიპ თბილისის არქიტექ-
ტურის სამსახურს) და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსა-
ხურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების ძალადაკარგუ-
ლად გამოცხადება მოითხოვა, იმ საფუძვლით, რომ დაიხტერე-
სებული მხარის მიერ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამარ-
თლებრივი აქტით განსაზღვრული ვალდებულებები (ამხანაგო-
ბის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების სხდომის ოქ-
მი 2011 წლის 1 იანვრამდე არ წარდგენილა) დადგენილ ვადაში
არ შესრულებულა, რაც აქტის ძალადაკარგულად გამოცხადე-
ბის საფუძველს წარმოადგენდა.

სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 7 აპ-
რილის №1279 ბრძანებით ნ. ს-ის განცხადება სსიპ თბილისის
არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძა-

ნების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, იმ საფუძვლით, რომ ამხანაგობა „...“ მიერ ვალდებულების შესრულების ვადა არ დასრულებულა, რადგან სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 31 დეკემბრის №6423 ბრძანებით დაქმაყოფილდა ინდივიდუალურ ბინათმენაშენთა ამხანაგობა „... და შპს „...“ განცხადება და ცვლილება შევიდა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების მე-4 პუნქტში, კერძოდ, ამხანაგობის წევრთა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების ამსახველი კრების ოქმის წარდგენის ბოლო თარიღად მიეთითა 2011 წლის 20 დეკემბერი, დანარჩენ ნანილში ბრძანება დარჩა უცვლელად. ამასთან, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 10 თებერვლის №433 ბრძანებით მიზანშეწონილად ჩაითვალა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების მე-4 პუნქტში ცვლილების შეტანა, კერძოდ, ი.მ.ა. „...“ 2011 წლის 20 დეკემბრამდე – ამხანაგობის წევრთა მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების ამსახველი კრების ოქმის ნაცვლად, ამხანაგობის წევრთა 4/5 თანხმობისა და 6. ს-ის თანხმობის წარდგენა დაევალა. 2011 წლის 1 აპრილს ამხანაგობა „...“ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს წარუდგინა ამხანაგობის 2011 წლის 18 თებერვლის №01-2011 სხდომის ოქმი, რომლის თანახმადაც ამხანაგობის წევრთა ნახევარზე მეტი თანხმობას აცხადებდა პროექტის კორექტირებაზე, რაც შეეხება 6. ს-ს, იგი აღნიშნულ სხდომას არ ესრულდა. ამხანაგობას 6. ს-ის თანხმობის წარდგენის ვადა 2011 წლის 20 დეკემბრამდე ჰქონდა მინიჭებული.

სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 7 აპრილის №1279 ბრძანება აღმინისტრაციული წესით გასაჩივრდა 6. ს-ის მიერ. ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 1 ივლისის №1422 განკარგულებით 6. ს-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 7 აპრილის №1279 ბრძანება.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად განმარტავს, რომ მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირების და იმ გარემოების ზუსტ დადგენას, კონკრეტულად აღმინისტრაციული საპროცესო კოდექსის რომელი მუხლის საფუძველზე არის 6. ს-ის მიერ სარჩელი აღძრული.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამხვილებს იმ გარემოებაზე, რომ 6. ს-ის როგორც სასარჩელო, ისე საკასაციო საჩივრის მოთხოვნას (კასატორის მიერ აღნიშნული საკითხი სა-

სამართლო პროცესზე არაერთხელ იქნა დადასტურებული) სასიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანებისა და მშენებლობის №6/1040-1 სანებართვო მოწმობის ძალადაკარგულად გამოცხადება, ხოლო სადავო აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებაზე უარის თქმის შესახებ სასიპ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 7 აპრილის №1279 ბრძანების და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 1 ივნისის №1422 განკარგულების ბათილად ცნობა წარმოადგენს და მოსარჩელის მიერ სარჩელი აღძრული არის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რა ფორმის სარჩელი უნდა იქნას აღძრული, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზნის მიღწევა სურს მოსარჩელეს. პირმა, რომელიც საჭიროებს სამართლებრივ დაცვას, პირველ რიგში, თვითონ უნდა შეარჩიოს იმ ფორმის სარჩელი, რომელიც ესაჭიროება მიზნის მისაღწევად. მართალია, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია პირს გაუწიოს სათანადო დახმარება (დაეხმაროს სარჩელის ტრანსფორმირებაში), მაგრამ დავის საგნის განსაზღვრა მთლიანად მოსარჩელის კომპეტენციას მიეკუთვნება. მოსარჩელე თავად განსაზღვრავს სარჩელის შინაარსსა და მოცულობას, სასამართლო კი შეზღუდულია მოცემული სარჩელით და საქმეს იხილავს ამ სარჩელის ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა ძირითადად განასხვავებს შეცილებით, მავალდებულებელ და აღიარებით სარჩელებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში 6. ს-ის მიერ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად, აღძრული არის შეცილებითი სარჩელი. ეს არის სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლზე და განმარტავს, რომ აღნიშნულ მუხლში მოცემულია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძვლები და ამავე მუხლით დადგენილია, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს მხოლოდ აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაცი-

ული სამართალწარმოების მიზანი არის სასამართლო კონტროლის განხორციელება ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კანონიერებაზე, რაც გამორიცხავს მართლზომიერი (კანონიერი) აქტის სასამართლოს მიერ ძალადაკარგულად გამოცხადებას, რადგან მისი ძალადაკარგულად გამოცხადება დაკავშირებულია მხოლოდ ისეთ გარემოებებთან, რაც მოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლში და არ უკავშირდება ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას, ანუ აღნიშნული აქტი არამართლზომიერი (უკანონო) არ არის. ამდენად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას მიეკუთვნება და ეს მოთხოვნა არ შეიძლება წარმოადგენდეს სასარჩელო დავის საგანს სასამართლოში.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თუ მხარეს აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ინტერესი, მან ამის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების წესით უნდა მიმართოს აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს და მისგან უარის მიღების შემთხვევაში შეუძლია, მიმართოს სასამართლოს არა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე – აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით, არამედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის საფუძველზე – აქტის გამოცემის მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში მართალია მოსარჩელე ითხოვს, იმ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობასაც (ასკ-ის 22-ე მუხლის საფუძველზე), რომლითაც უარი ეთქვა აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებაზე, მაგრამ რეალურად დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა (აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე), კერძოდ, თუ სახეზეა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვლისწინებული საფუძვლები და ადმინისტრაციული ორგანო არ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, სარჩელის საფუძველზე სასამართლო უფლებამოსილია დაავალოს მას ასეთი აქტის გამოცემა, ხოლო უარი – ცნოს ბათილად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავად გამოაცხადოს ძალადაკარგულად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მოსარჩელე (კასატორი) კი სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძა-

ნებისა და მშენებლობის №6/1040-1 სანეპართვო მოწმობის ძალადაკარგულად გამოცხადებას ითხოვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე და სახეზე არ გვაქვს ამავე კოდექსის 23-ე მუხლით დადგენილი მავალდებულებელი სარჩელი (ადმინისტრაციული ორგანოსათვის შესაბამისი (აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულების თაობაზე), აღნიშნულ ნაწილში ცალსახად არსებობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26²-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი, ამ ნაწილში სარჩელის დაუშვებლობის გამო.

ამასთან, რაც შეეხება 6. ს-ის სასარჩელო მოთხოვნას (საკასაციო საჩივრის მოთხოვნას) სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 7 აპრილის №1279 ბრძანების და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 1 ივლისის №1422 განკარგულების ბათილად ცნობის ნაწილში, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადაც აქტების კანონიერების სათანადოდ შეფასებისათვის საჭიროა იმ გარემოების დადგენა, 6. ს-ის მიერ შესაბამისი განცხადების (საჩივრის) წარდგენის ეტაპზე, არსებობდა თუ არა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებებს და აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ზოგადი მატერიალური ნორმები ერთმანეთისაგან განასხვავებენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გაუქმების ფორმას მისი იურიდიული შედეგების და გამომწვევი პირობების მიხედვით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი იცნობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გაუქმებას, რაც გამოიხატება ასეთი აქტების ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობაში. ამავე საკანონმდებლო აქტით არის განსაზღვრული, რომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ძირითად პირობებს წარმოადგენს ასეთი აქტის საფუძვლების კანონწინააღმდეგობრიობა მისი ფორმალური და მატერიალური გაგებით. შედეგად ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა შესაძლებელი არის მაშინ, როცა ასეთი აქტი ენინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ანუ აქტი უკანონია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ: а) ეს პირდაპირ არის მითო-თებული კანონში ან მის საფუძველზე გამოცემული ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტში; б) კანონმდებლობის შესა-ბამისად ეს პირდაპირ არის მითოთებული ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივ აქტში; გ) დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალ-დებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შე-საბამისად, შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებ-რივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი; დ) გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც ად-მინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინის-ტრაციული აქტის მოქმედებას შეუძლია მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს; ე) არ-სებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრი-ვი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებას შეუძლია მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებ-რივ ინტერესებს. აღნიშნული მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარ-გულად გამოცხადების დღიდან. ამ მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით ადმინისტრაცი-ულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში შესაძლებელი არის განისაზღვროს მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმება. მე-7 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრი-ვი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადა-კარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, სა-კასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსხვავებული არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად ცნობის პირობები, რადგან მისი გამოყენება შესაძლებელი არის, მხოლოდ კანონიერ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებ-

ზე შესაბამისი პირობების დადგომის შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ 6. ს-ი – სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას ითხოვს, იმ საფუძვლით, რომ დაინტერესებული მხარის მიერ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ვალდებულებები (ამხანაგობის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების სხდომის ოქმი 2011 წლის 1 იანვრამდე არ ნარდგენილ) დადგენილ ვადაში არ შესრულებულა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 31 დეკემბრის №6423 ბრძანებით დაკმაყოფილდა ინდივიდუალურ ბინათმენაშენეთა ამხანაგობა „...“ და შპს „...“ განცხადება და ცვლილება შევიდა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების მე-4 პუნქტში, კერძოდ, ამხანაგობის წევრთა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების ამსახველი კრების ოქმის ნარდგენის ბოლო თარიღად მიეთითა 2011 წლის 20 დეკემბერი, დანარჩენ ნაწილში ბრძანება დარჩა უცვლელად. ამასთან, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 10 თებერვლის №433 ბრძანებით მიზანშეწონილად ჩაითვალა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების მე-4 პუნქტში ცვლილების შეტანა, კერძოდ, ი.მ.ა. „...“ 2011 წლის 20 დეკემბრამდე – ამხანაგობის წევრთა მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების ამსახველი კრების ოქმის ნაცვლად, ამხანაგობის წევრთა 4/5 თანხმობისა და 6. ს-ის თანხმობის წარდგენა დაევალა. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების პოზიციას და განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით. ცვლილების შეტანის გადაწყვეტილებით ცვლილება იქცევა იმ აქტის შემადგენელ ნაწილად, რომელშიც ის იქნა შეტანილი.

საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 31 დეკემბრის №6423 ბრძანება ამხანაგობის მიერ გაღმდებულების შესრულების თარიღის გაგრძელების თაობაზე კანონიერ ძალაში არის შესული (თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის

22 ნოემბრის გადაწყვეტილებით 6. ს-ის სარჩელი – სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 31 დეკემბრის №6423 ბრძანების, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 თებერვლის №12/11659-13 გადაწყვეტილების დაქ. თბილისის მერიის 2011 წლის 21 მარტის №489 განკარგულების ბათოლად ცნობის, ასევე მოპასუხებისათვის ამხანაგობის კრების ოქმის წარდგენის ვადის შემცირების თაობაზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულების შესახებ არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 10 თებერვლის და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 14 ივნისის განჩინებით.

ამდენად, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების მე-4 პუნქტში 2010 წლის 31 დეკემბრის №6423 ბრძანებით შეტანილი ცვლილება მის განუყოფელ წარმოადგენს. მე-4 პუნქტით ცალსახად განისაზღვრა, რომ კორექტირებული არქიტექტურული პროექტის თაობაზე ბინათმენაშენეთა ამხანაგობის წევრთა 4/5-ის თანხმობის (რომელიც ამხანაგობის მიერ უკვე წარდგენილი იყო) და 6. ს-ის თანხმობის წარმოადგენდა. შესაბამისად, 6. ს-ის მიერ განცხადების (საჩივრის) წარდგენის ეტაპზე, თვით სადაცო აქტით დადგენილი პირობა აქტის ძალადაკარგულად ცნობისათვის არ იყო დამდგარი. დაინტერესებულ მხარეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულების შესასრულებლად მიცემული ჰქონდა ვადა, რომელიც არ იყო ამონურული და ამ საფუძვლით ბრძანების ძალადაკარგულად ცნობა არ შეესაბამებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების შეფასებას და მიიჩნევს, რომ ვინაიდან, 6. ს-ის მიერ შესაბამისი განცხადების (საჩივრის) წარდგენის ეტაპზე არ არსებობდა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების და მის საფუძველზე გაცემული სანებართვო მოწმობის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 7 პრილის №1279 ბრძანება დაქ. თბილისის მერიის 2011 წლის 1 ივნის №1422 განკარგულება კანონშესაბამისია და არ არსებობს

მათი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი. საგულისხმოა ასევე ის გარემოებაც, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე – 2013 წლის მაისში 6. სმა განცხადებით მიმართა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს და კვლავ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანების და მის საფუძველზე გაცემული სანებართვი მოწმობის ძალადაკარგულად ცნობა მოითხოვა. სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 10 მაისის ბრძანებით 6. ს-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლად მითითებულ იქნა ის გარემოება, რომ 6. ს-ი ამხანაგობა „...“ წევრი აღარ არის (აღნიშნულ გარემოებას არ ეთანხმება კასატორი – 6. ს-ი).

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის ნარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ საქმეზე ერთი სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში (აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნის ნაწილში) შეწყდა საქმის ნარმოება, ხოლო მეორე სასარჩელო მოთხოვნა (აქტების ბათილად ცნობის თაობაზე) სასამართლოს მიერ არსებითად იქნა განხილული, კასატორს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ნახევრის ნახევარი – 137.5 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, ამავე კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილით, 22-ე, 23-ე, 26²-ე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ და 61-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

6. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
- სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 13 მაისის №01/930 ბრძანებისა და მშენებლობის №6/1040-1 სანებართვი მოწმობის ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნის ნაწილში შეწყდეს საქმის ნარმოება, ამ ნაწილში სარჩელის

დაუშვებლობის გამო და აღნიშნულ ნაწილში გაუქმდეს თბილი-სის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პა-ლატის 2012 წლის 22 მაისის განჩინება და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება;

3. დანარჩენ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალა-ტის 2012 წლის 22 მაისის განჩინება;

4. 6. ს-ს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა – 137.5 ლარის ოდე-ნობით;

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

განხილვა

№პს-443-436(კ-15) 15 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. ქათამაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის და საქართვე-ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნა-წილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საკასაციო საჩივრის და-საშვებობის საფუძვლებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.05.2015წ. განჩინებაზე.

აღნერილობითი ნაწილი:

ი. კ-ემ 14.11.14წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუ-ხე სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიმართ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბ-ჭოს 07.10.2014წ. №143 ოქმით მიღებული გადაწყვეტილების ი.კ-

ის განვითარების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ბათილად ცნობის და მოპასუხისათვის ი.კ-ის ადვოკატთა ასოციაციაში განვითარების შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 23.12.2014ნ. გადაწყვეტილებით ი.კ-ის სარჩევლი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 07.10.2014ნ. №143 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება ი.კ-ის განვითარებაზე უარის თქმის ნაწილში და მოპასუხე სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას დავალა სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესულიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ი.კ-ის ადვოკატთა ასოციაციაში განვითარების აღმართების თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩინორა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.05.2015ნ. განჩინებით სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც საკასაციო წესით გასაჩივრდა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ, რომელმაც ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლოს არგუმენტაცია ენინააღმდეგება „ადვოკატთა შესახებ“ კანონს, არის დისკრიმინაციული, ტენდენციური და ცდება სასამართლოს უფლებამოსილებას. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში ასახული დასაბუთება და ყურადღება გაამახვილა ი.კ-ის იურისტების მუშაობის სტაჟზე, თუმცა არ გაითვალისწინა, რომ დავა ეხება პირის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში განვითარებას და ასოციაციაში განვითარების წესი რეგულირდება „ადვოკატთა შესახებ“ კანონით. ყველა თანასწორია კანონის წინაშე, შესაბამისად ნებისმიერი ადვოკატობის მსურველი პირი, მისი წარსული საქმიანობის მიუხედავად (პროკურორი, მოსამართლე), უნდა დაემორჩილოს „ადვოკატთა შესახებ“ კანონით დადგენილ მოთხოვნებს და გამოცდის ჩაბარებიდან 7 წლის ვადაში უნდა დაიწყოს საადვოკატო საქმიანობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ადვოკატთა კორპუსი აღმოჩნდება დისკრიმინაციულ მდგომარეობაში. კასატორმა მიუთითა, რომ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალი-

პეტისას, სასამართლო მართალია იღებდა შედეგობრივად მსგავს გადაწყვეტილებებს, თუმცა სხვადასხვა მოტივაციით, ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადვოკატთა ტესტირების ჩაბარების დამადასტურებელ მოწმობაზე დადგენილი ვადა არ შეიძლება უპირობოდ გავრცელდეს პროცურატურის მუშავთა საკალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელ სერტიფიკატზეც, ხოლო სხვა საქმეზე უთითებს, რომ პროცურატურის გამოცდა უვადოა. კასატორი თვლის, რომ დადგენილი სასამართლო პრაქტიკა კანონსაწინააღმდეგო და დისკრიმინაციულია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების და საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საკასაციო საჩივრი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების განმარტებისა და სამართლის განვითარების მიზნით საკასაციო სასამართლოს მიერ ზოგადი მნიშვნელობის მქონე სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გამოტანის საჭიროება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნულ საქმეს არ გააჩნია პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკი-სათვის, ხოლო საკასაციო საჩივრს – წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემული საკითხის მიმართ ჩამოყალიბებულია ერთიანი სასამართლო პრაქტიკა. საკასაციო სასამართლო არაერთი განჩინებით (მაგ. სუს 16.05.2013წ. №ბს-211-203(კ-13), 16.05.2013წ. №ბს-199-191(კ-13), 16.05.2013წ. №ბს-251-243(კ-13), 16.05.2013წ. №ბს-174-167(კ-13), 27.05.2013წ. №ბს-198-190(კ-13), 16.05.2013წ. №ბს-189-182(კ-13), 27.06.2013წ. №ბს-225-217(კ-13) განჩინებები) დაეთანხმა სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლითაც უქმდებოდა გაწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ ადვოკატთა ასოციაციის გადაწყვეტილებები, ამ საკითხის ირგვლივ არ არსებობს სასამართლოს ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები, კოლოზიები გადაწყვეტილებებს შორის, დავები ერთგვაროვნად არის გადაწყვეტილი, არ არის დივერგენციის, ამ კატე-

გორიის საქმეებზე ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკი-საგან განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღების შემთხვე-ვები (ასეთად არ მიიჩნევა ცალკეული სხვაობა სასამართლო გა-დაწყვეტილებებში მოყვანილ არგუმენტაციაში). შესაბამისად, საქმე არ არის მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისთვის, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაშვების, სასამართლო პრაქ-ტიკის კორექტირების საფუძველი. არსებული სასამართლო პრაქტიკით კასატორის უკმაყოფილება თავისთავად არ ქმნის საკასაციო საჩივრის დაშვების საფუძველს. ახლებური განმარტების მიცემის, სასამართლო პრაქტიკის შეცვლის საჭიროებას არ ქმნის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ 02.05.14ნ. კანონი, რომლის მიღება არანაირად არ ადასტურებს მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკის უსწორობას, სასამართლო ორგანოების მხრიდან დისკრიმინაციულ, ტენდენციურ დამოკიდებულებას. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის 2.8 მუხლის თანახმად, დისკრიმინაციად არ მიიჩნევა ნებისმიერი განსხვავება განსაზღვრულ საქმიანობასთან ან სუეროსთან დაკავშირებით, რომელიც სპეციფიკურ მოთხოვნებს ემყარება.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 07.10.14ნ. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომელიც ადგენს ადვოკატთა ასოციაციაში განხევრიანებისათვის აუცილებელ წინაპირობებს და ამავე კანონის მე-11 მუხლის მე-11 პუნქტი, რომლითაც დადგენილია ადვოკატთა სერტიფიკატის მოქმედების ვადა. ხსენებულ ნორმებზე დაყრდნობით საპქომ მიუთითა, რომ ადვოკატთა ტესტირების გავლის დამადასტურებელი მოწმობა ძალას კარგავს, თუ პირი ტესტირების გავლიდან 7 წლის განმავლობაში არ დაიწყებს სადაცვოკატო საქმიანობას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატი შეიძლება გახდეს არა მხოლოდ ადვოკატთა ტესტირებაგავლილი პირი, არამედ აგრეთვე მოსამართლეთა, პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდაჩარებული პირი. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, თუ პირის ტესტირების გავლიდან 7 წლის განმავლობაში საადვოკატო საქმიანობის დაწყების შესახებ დებულება არ გავრცელდება პროკურატურის მუშაკებზე და მოსამართლეებზე, ადვოკატები აღმოჩნდებიან დისკრიმინაციულ მდგომარეობა-

ში. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადგილი აქვს არა დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას, არამედ საადვოკატო, საპროკურორო, სამოსამართლო საქმიანობის სფეროს თავისებურებების გათვალისწინებას საკანონმდებლო მოწესრიგებაში, რომელიც სავალდებულოა სასამართლოსათვის დავის გადაწყვეტილების კანონიერება ფასდება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისობის და არა მიზანშეწონილობის, საადვოკატო საქმიანობის დაწყების მსურველის მენტალობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-11 პუნქტი უნდა განიმარტოს ამავე კანონის სხვა ნორმებთან და უპირველეს ყოვლისა მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან სისტემურ კავშირში, რომლის თანახმად საპროკურორო და სასამართლო საქმიანობის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია დაიწყოს საადვოკატო საქმიანობა. ამდენად, კანონმდებლი სამიერი იურიდიულ ფაქტს – ადვოკატთა ტესტირების გავლას, მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის ან პროკურორის მუშავთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას უკავშირებს საადვოკატო საქმიანობის დაწყების შესაძლებლობას, რაც განპირობებულია ადვოკატის, პროკურორის, მოსამართლის მაღალი ფუნქციური დანიშნულებით მართლმასულების განხორციელების პროცესში. პროკურატურის მუშავთა, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების გავრცელების შესაძლებლობა საადვოკატო საქმიანობის დაწყებაზე თავისთავად ადასტურებს საპროკურორო, სამოსამართლო პრაქტიკის მნიშვნელობას საადვოკატო საქმიანობის დაწყების მაკვალიფიცირებელი მოთხოვნებისათვის, კერძოდ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი საადვოკატო საქმიანობის დაწყების 7-წლიანი ვადისათვის. ამ ვადაში მოსარჩელებ დაიწყო საპროკურორო საქმიანობა, რომლის განხორციელების უფლებაც მას მიენიჭა პროკურატურის მუშავთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებამ. პროკურატურის ორგანოებში საქმიანობის შეწყვეტიდან 7 წლის განმავლობაში ი. კ-ემ მიმართა ასოციაციას განცხადებით ასოციაციაში განევრიანების მოთხოვნით, რაც გამორიცხავს ხსენებული ვადის გასვლის გამო ადვოკატთა ასოციაციაში განევრიანებაზე უარის თქმას „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მე-11 პუნქტის, აგრეთვე 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ხსენებულ ნორმებში მითითებული 7-წლიანი ვადა ასეთ შემთხვევაში აითვლება არა გამოც

დის ჩაბარებიდან, არამედ პროკურატურის ორგანოებში საქმიანობის შეწყვეტილდან. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ სახეზე არ არის მოსარჩელის მხრიდან საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან შვიდი წლის განმავლობაში პროფესიული საქმიანობის განუხორციელებლობა. პრაქტიკის დაწყება არა ადვოკატთა ასოციაციაში, არამედ პროკურატურის ორგანოებში არ ადასტურებს საადვოკატო საქმიანობის დაწყებაზე პრეტენდენტის არასათანადო კვალიფიკაციას, ვინაიდან პროკურატურის ორგანოებში სამსახური უკავშირდება პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის დროს გამოვლენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ინტენსიურ გამოყენებას, შესაბამისად ადგილი არ აქვს კვალიფიკაციის არაადეკვატურობას.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია პირთა წევრობაზე დაფუძნებული კანონით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც ატარებს ტესტირებას. საადვოკატო საქმიანობა საჯარო საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოვლინებად მიიჩნევა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30.11.05წ. №1/5/323 გადაწყვეტილება). საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი გულისხმობს ადამიანის არა მხოლოდ ადვოკატით უზრუნველყოფას, არამედ კვალიფიციური და ეფექტური დაცვის განხორციელებას. ადვოკატთა ტესტირების და ადვოკატთა ასოციაციაში განვითარიანების ვადის სავალდებულობის დადგენა ემსახურება ერთ კონკრეტულ მიზანს – საადვოკატო საქმიანობის განხორციელებას შესაბამისი ცოდნის და კვალიფიკაციის მქონე იურისტების მიერ. ამასთანავე, უკეთუ ტესტირების შემდეგ 7 წლის განმავლობაში საადვოკატო საქმიანობის დაწყებით უზრუნველყოფილია საადვოკატო საქმიანობის კვალიფიციური პირის მიერ განხორციელების კანონიერი მიზნის მიღწევა, მართლმსაჯულების განხორციელებაში ადვოკატის მსგავსად პროკურორის, მოსამართლის მაღალი ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინებით, თავის მხრივ დისკრიმინაციული იქნებოდა იმის მტკიცება, რომ იგივე მიზანი არ მიიღწევა შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შემდეგ საპროკურორო ან სამოსამართლო საქმიანობის დაწყების შემთხვევაში, მით უფრო, რომ ადვოკატის ტესტირებაგავლილი პირი თავისუფლდება პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისგან („პროკურატურის შესახებ“ კანონის 31.2 მუხლი). პროკურატურის მუშაკის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ, რომელიც ასევე ტესტური მეთოდით ტარდება და მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური იურისტების

შერჩევას (საქართველოს პრეზიდენტის 01.10.026. №422 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს პროკურატურის მუმაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი და საკვალიფიკაციო გამოცდის პროგრამის“ 1-ლი, მე-6 მუხ.), პროკურატურის ორგანოთა სისტემაში საქმიანობის დაწყება ადასტურებს, რომ სპეციალისტი პრაქტიკულ საქმიანობაში აქტიურად იყენებს გამოცდის წარმატებით ჩაბარებისათვის გამოვლენილ საჭირო ცოდნას, სისტემატიურად იმაღლებს კვალიფიკაციას, იძენს გამოცდილებას, სრულყოფს პროფესიულ უნარ-ჩვევებს, პერიოდულად გადის საგალდებულო საატესტატო პროცედურებს („პროკურატურის შესახებ“ კანონის 31.7 მუხ.). ამდენად, პრაქტიკული საქმიანობის კვალდაკვალ უზრუნველყოფილია პროფესიული ცოდნის და კვალიფიკაციის სტანდარტული დონის შენარჩუნება. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ი. კ-ის შემთხვევაში აღნიშნული მიზანი მიღწეულია. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ი. კ-ეს, როგორც პროკურატურის გამოცდაჩაბარებულ და ადვოკატთა ტესტირებაგავლილ, პროკურატურის ორგანოებში 5-წლიანი გამოცდილების მქონე პირს, ასევე იურიდიული დახმარების სამსახურში ანუ იურისტად მუშაობის სამ წელზე მეტი სტაჟის მქონე პირს აქეს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება. აღნიშნულს არ ცვლის „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტში ადვოკატთა ასოციაციაში განევრიანებაზე პირისათვის უარის თქმის პირობად ტესტირების ჩაბარებიდან 7-წლიანი ვადის გავლის მითითება. აღნიშნული ნორმა არ ადასტურებს განევრიანებაზე უარის თქმის შესახებ ასოციაციის სადაცო აქტის კანონიერებას.

კასაციის დაკმაყოფილების პერსპექტივას არ ქმნის აგრეთვე სადაცო აქტში მითითებული „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 21² მუხლი, რადგან „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი და სხვა პირი, რომელსაც საადვოკატო საქმიანობის განხორციელება ეკრძალება, კოლიზიური საქმიანობის განხორციელების პერიოდში უფლებამოსილია და არა ვალდებული მიმართოს ადვოკატთა ასოციაციას განევრიანების მოთხოვნით (21².4 მუხლი). აღნიშნული ნორმა არ გამორიცხავს უფლებამოსილების დასრულების შემდეგ კანონით განსაზღვრულ 7-წლიან ვადაში ასოციაციაში განევრიანების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო განმარტე-

ბას აქვს არა აპსტრაქტული, არამედ კაზუალური ხასიათი, იგი გაიცემა კონკრეტულ დავასთან დაკავშირებით. ამდენად, განსახილველი დავის ფარგლებს ცდება კასატორის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში ასოციაციის საჩივრის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიეთითა პროკურატურის მუშავთა საკალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის უვადობა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მოცემულ საქმეში ხსენებული ვადა საპროკურორო საქმიანობის დასრულებიდან ი. კ-ის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების დაწყების შესახებ განცხადების შეტანამდე დაცულია (საქმის მასალების მიხედვით ი. კ-ემ 2002 წელს დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკულტეტის სრული კურსი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით, სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 28.05.02წ. გადაწყვეტილებით ი. კ-ეს მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია, 2003 წელს ი. კ-ემ ჩაბარა პროკურატურის მუშავთა საკალიფიკაციო გამოცდა, 18.09.04წ. ჩაბარა ადვოკატთა ტესტირება საერთო სპეციალობით, 18.09.04წ. – 25.05.09წ. მუშაობდა პროკურატურის ორგანოებში სხვადასხვა თანამდებობებზე, 25.05.09წ.–08.11.12წ. მუშაობდა საქართველოს საჯარისარულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე, 17.12.12წ.–11.01.13წ. მუშაობდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის იურიდიული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლად). ამდენად, პროკურატურის მუშავთა საკალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის უვადობის საკითხი ცდება მოცემული საქმის ფარგლებს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი პროცესუალური დარღვევების გარეშე და საქმეზე არსებითად სწორი გადაწყვეტილებაა მიღებული. მოცემული საქმე არ არის მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული არც ერთი საფუძველი, რის გამოც სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საკასაციო საჩივრი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ საქართველოს ადგომატთა ასოციაციის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. უცვლელად დარჩეს თბილისს სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.05.2015წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პერძო საჩივარი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე

განრიცხვა

№ბს-683-669(ქს-14)

16 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 19 ნოემბერს სს „ი-მა“ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხე – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭოს მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭოს 2013 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

2014 წლის 8 იანვარს სს „ი-მა“ დაზუსტებული სარჩელი წარადგინა საქალაქო სასამართლოში, მოპასუხებად მიუთითა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო და სახელმწიფო

შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭო და მოითხოვა სს „ი-ის“ დისკვალიფიკაციის შესახებ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატენდერო კომისიის 2013 წლის 1 ოქტომბრის №962 გადაწყვეტილებისა და სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს დავების განხილვის საბჭოს 2013 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 9 იანვრის განჩინებით სს „ი-ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით სს „ი-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „ი-მა“, რომელმაც ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 მაისის განჩინებით სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ივნისის განჩინებით სს „ი-ის“ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სს „ი-მა“, რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ივნისის განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიდან განსახილველად საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სს „ი-ა“ მოკლებული იყო შესაძლებლობას შეევსო ხარვეზი, რამდენადაც საწარმოში შემოწმებაზე იმყოფებოდა შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის სარევიზო ჯგუფი, რომელმაც 2008 წლიდან დღემდე პერიოდის საბუღალტრო მასალებთან ერთად ამოიღო ხელშეკრულებები, საზოგადოებაში შესული წერილები და სხვა დოკუმენტები, მათ შორის, სააპელაციო სასამართლოსაგან მიღებული ხარვეზის შესახებ განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 6 ნოემბრის განჩინებით სს „ი-ის“ კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ სს „ი-ის“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-ნარმობაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებმი წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიზნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის სწორად გამოიყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, კერძო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამისი შესახებ, რის გამოც არ არსებობს სსსკ-ის 393-394-ე მუხლების შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „ი-ა“. აპელანტმა წარდგენილი სააპელაციო საჩივრით ასევე იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ იმ საფუძვლით, რომ საწარმო იმყოფებოდა მიზიუ ეკონომიკურ მდგომარეობაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 მაისის განჩინებით სს „ი-ის“ შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ არ დაკმაყოფილდა გადახდის უზუნარობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარუდგენლობის გამო, აპელანტს სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი, განესაზღვრა 10-დღიანი საპროცესო ვადა მის შესავსებად და სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარსადგენად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო აქტების ჩაბარების წესის მარეგულირებელი ნორმები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VIII თავში, რომელიც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2

ნაწილის დანაწესის შესაბამისად, ასევე გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალნარმოების დროს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილი განსაზღვრავს, რომ ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩატბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩატბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტულურ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. მოქალაქეს ან ორგანიზაციას სასამართლო უწყება შესაძლოა ასევე გადაეცეს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება მის მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ, საჩივარი (განცხადება) რომელიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 მაისის განჩინება 2014 წლის 6 ივნისს ჩაბარდა სს „ი-ის“ ოფისის მენეჯერს, რაც დასტურდება გზავნილზე პირის ხელმოწერით. შესაბამისად, ხარვეზის შევსების 10-დღიანი ვადა 2014 წლის 16 ივნისს 24 საათზე იწურებოდა. აპელანტმა ხარვეზი არ შეგასო, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ივნისის განჩინებით სს „ი-ის“ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები კერძო საჩივრის ავტორს სადაც არ გაუხდია. ხარვეზის შეუვსებლობის მიზეზად იგი უთითებს იმ გარემოებაზე, რომ სანარმოში ტარდებოდა საგადასახადო შემოწმება, რა მიზნითად შესაბამისი ორგანოს მიერ ამოღებულ იქნა დოკუმენტები, რომელთა შორისაც იყო ხარვეზის დადგენის შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 27 მაისის განჩინებაც. შესაბამისად, აპელანტმა ვერ შეძლო ხარვეზის შევსება. აღნიშნულის დასადასტურებლად, კერძო საჩივრის ავტორმა წარმოადგინა მხოლოდ სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 28 აპრილის საგადასახადო

შეტყობინება, რომლის თანახმად, სს „ი-ს“ ეცნობა, რომ იგეგ-მებოდა საწარმოს საქმიანობის საგადასახადო შემოწმება, კერ-ძოდ, შემოწმება დაიწყებოდა მინიმუმ 10 სამუშაო დღეში, მაგ-რამ არა უგვიანეს აღნიშნული შეტყობინების გაცემიდან 30 დღისა. ამავე შეტყობინებით საზოგადოებას ეთხოვა საგადა-სახადო შემოწმებლებისათვის ელექტრონული ფორმით ინ-ფორმაციისა და ბულალტრული აღრიცხვის მასალების მიწოდე-ბა.

წარმოდგენილი დოკუმენტით არ დგინდება ის ფაქტობრივი გარემოება, რაზეც აპელირებს კერძო საჩივრის ავტორი, ანუ რეალურად როდის დაიწყო საგადასახადო შემოწმება, მოხდა თუ არა დოკუმენტების ამოღება და მათ შორის ამოღებულ იქნა თუ არა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 მაისის განჩინება, ან ასეთ ვი-თარებაშიც, თუ საგადასახადო შემოწმება მიმდინარეობდა სა-სამართლოს განჩინების მხარისათვის ჩაბარების დროს, აღნიშ-ნული გამორიცხავდა თუ არა სს „ი-ს“ მიერ მისი გაცნობის შე-საძლებლობას. საქმის მასალებით დგინდება, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ სასამართლოს განჩინება უფლებამოსილ პირს – სს „ი-ს“ ოფისის მენეჯერს ჩაბარდა. შესაბამისად, მხა-რეს შესაძლებლობა ჰქონდა გასცნობოდა მას, ხოლო ხარვეზის შექსების დამაბრკოლებელი სხვა რაიმე გარემოების არსებო-ბის პირობებში, მხარეს შეეძლო ესარგებლა სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 64-ე მუხლით მინიჭებული უფლებით და ეშუ-ამდგომლა სასამართლოს წინაშე ხარვეზის შევსების საპროცე-სო ვადის გაგრძელების შესახებ, რაც მას არ განუხორციელე-ბია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო სა-ჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრე-ბული განჩინების კანონშეუსაბამობის შესახებ, კერძო საჩივ-რის ავტორმა ვერ მიუთითა ისეთ ობიექტურ გარემოებაზე, რო-მელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდიდა ხარვეზის შევსებას ან შესაბამისი შუამდგომლობით სასამარ-თლოსათვის მიმართვას.

შესაბამისად, სს „ი-ს“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყო-ფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ივნისის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ი-ის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ივნისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

განვითარება

№ბს-565-558(კ-15)

28 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: 6. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლები თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.07.2015 განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს 24.03.2015 გადაწყვეტილებით რ. გ-ის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ არ დაკმაყოფილდა. აღმასრულებელმა საბჭომ მიიჩნია, რომ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნა (ადვოკატის

ტესტირების გავლის დამადასტურებელი მოწმობა ძალას კარგავს, თუ პირი ტესტირების გავლიდან 7 წლის განმავლობაში არ დაიწყებს საადვოკატო (საქმიანობას) უნდა გავრცელდეს იმ პირებზეც, რომლებიც პროკურატურის მუშაკთა ან მოსამართლეთა გამოცდის საფუძველზე აპირებს ადვოკატთა ასოციაციაში განევრიანებას. საბჭომ მიუთითა, რომ მნიშვნელობა არა აქვს რა ვადაში კარგავს სერთიფიკატი ძალას ანდა საერთოდ ვადიანია თუ უვადოა იგი, კანონი არა სერთიფიკატის ვადის გასვლაზე უთითებს, არამედ მოთხოვნაზე, რომ პირს საადვოკატო საქმიანობა უნდა დაეწყო ტესტირების ჩაბარებიდან 7 წლის განმავლობაში. რ.გ.-ის მიერ პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან (07.12.036.) საადვოკატო საქმიანობის დაწყების 7-წლიანი ვადა 07.12.106. დასრულდა. რ.გ.-ის მიერ მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან (07.10.066.) 7 წელი 07.10.136. გავიდა. ის გარემოება, რომ რ.გ.-ს აქვს საქართველოს პროკურატურაში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილება (08.11.056. – 09.01.156.ნ.), მინიჭებული აქვს იუსტიციის უმცროსი მრჩევლის (30.12.056.) და იუსტიციის მრჩევლის (25.12.096.) სპეციალური წოდებები, საბჭოს აზრით არ არის „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლით დაწესებული პირობების დაკმაყოფილების საფუძველი, რადგანაც კანონის 11.11 მუხლის თანახმად ადვოკატთა ტესტირების (ან მასთან გათანაბრებული გამოცდის) ჩაბარებიდან პირი ადვოკატთა ასოციაციაში 7 წლის განმავლობაში უნდა განევრიანებულიყო. თუ კანონის ეს მოთხოვნა არ გავრცელდება პროკურორებზე და მოსამართლებზე, ადვოკატები აღმიჩნდებიან აშკარა დისკრიმინაციულ მდგომარეობაში და ადვოკატთა მიმართ დაირღვევა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-14 მუხლი, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის და „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები. საბჭომ აღნიშნა, რომ რ.გ.-ს შეეძლო მიემართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოსთვის განევრიანების მოთხოვნით გამოცდის ჩაბარებიდან 7 წლის ვადაში და ამავდროულად უნდა მიეთითებინა, რომ ის არის საჯარო მოხელე და, ასეთ შემთხვევაში განევრიანებასთან ერთად მას შეუჩერდებოდა ასოციაციის წევრობა. განმცხადებელს ასეთი მოთხოვნით ასოციაციისათვის არ მიუმართავს. ვინაიდან აღნიშნული მოთხოვნები არ იქნა დაცული, რ.გ.-ს შეუძლია ხელახლა ჩაბაროს გამოცდა, რის შემდეგ მიმართოს ასოციაციას განევრიანების მიზნით.

03.04.15წ. №5938 წერილით რ. გ-ს ეცნობა, რომ 24.03.15 წ. გადაწყვეტილებით მისი განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ არ დაკმაყოფილდა. წერილში მოყვანილ იქნა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს სხდომის ოქმის ამონანერის ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა რ. გ-ის გაწევრიანებაზე უარის თქმას.

რ. გ-მა 03.04.2015წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სისპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მიმართ რ. გ-ის გაწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ სისპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს 03.04.2015წ. №5938 ოქმით მიღებული გადაწყვეტილების (რ. გ-ის გაწევრიანებაზე უარის თქმის ნაწილში) ბათილად ცნობის და მოპასუხისათვის რ. გ-ის ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ ინდივიდუალური აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ აგმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს, აღმასრულებელ საბჭოს თავისი გადაწყვეტილება არ უნდა დაეფუძნებინა „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მე-11 პუნქტზე, რომელშიც საუბარია მხოლოდ ადვოკატთა ტესტირებაზე. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში კანონის ანალოგიის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. ანალოგიის გამოყენების შემთხვევაშიც კი, ადვოკატურის ტესტირების დამადასტურებელი სერთიფიკატის მსგავსად, პროკურატურის მუშაქთა საკვალიფიკაციო გამოცდის სერთიფიკატის ძალის 7-წლიანი ვადა არ ვრცელდება იმ პერიოდზე, როდესაც პირი სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.04.2015წ. გადაწყვეტილებით რ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სისპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს 24.03.2015წ. საოქმო გადაწყვეტილება. რ. გ-ის ასოციაციაში გაწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ და მოპასუხე სისპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას“ დაევალა ახალი ინდივიდუალური აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა რ. გ-ის ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ რ. გ-ი გამოცდის ჩაბარებიდან 7 წლის განმავლობაში უნდა გაწევრიანე-

ბულიყო ასოციაციაში. სასამართლომ მიუთითა, რომ რ.გ-ი 2005 წლის ნოემბრიდან 2015 წლის იანვრამდე უწყვეტად მუშაობდა პროკურატურის სისტემაში სპეციალობით, სხვადასხვა თანამდებობებზე. „ადვოკატთა შესახებ“ კანონით ტესტირებისა და ადვოკატთა ასოციაციაში განევრიანების სავალდებულობის დადგენა ემსახურება საადვოკატო საქმიანობის კვალიფიციური, შესაბამისი ცოდნის და კვალიფიკაციის მქონე იურისტის მიერ განხორციელების მიზანს. სასამართლომ აღნიშნა, რომ თუკი პირის მიერ ადვოკატის ტესტირების გავლით (ან გამოცდის ჩაბარებით) და ადვოკატთა ასოციაციაში განევრიანებით უზრუნველყოფილია ხსენებული მიზნის მიღწევა, დაუშვებელი და დისკრიმინაციულია იმის მტკიცება, რომ იგივე მიზანი ვერ მიიღწევა იმ შემთხვევაში, როდესაც პირი საკვალიფიკიო გამოცდის ჩაბარების შემდეგ ხდება არა ადვოკატთა ასოციაციის, არამედ პროკურატურის მუშავი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 28.04.15წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩიტრდა სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ. აპელანტმა აღნიშნა, რომ რ. გ-ი სარჩელით ითხოვდა 03.04.15წ. №5938 ოქმით მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობას. სასამართლომ არ დააზუსტებინა მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნა, სასამართლო გასცდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, ვინაიდან მოსარჩელე ითხოვდა 03.04.15წ. №5938 ოქმით მღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობას. გადაწყვეტილება გამოტანილია სსკ-ის 248-ე და 249.3 მუხლების მოთხოვნების დარღვევით. აღნიშნულის საფუძველზე აპელანტმა მოითხოვა საქალაქო სასამართლოს 28.04.15წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.07.2015წ. განჩინებით სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.04.15წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ გაანალიზა რა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მთლიანობაში და მისი შემადგენელი ნანილები ცალ-ცალკე, მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაუშვა ტექნიკური ხასიათის უსწორობები, რაც არ შეიძლება გახდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა ასოციაციის 03.04.15წ. №5938 წერილზე, რომელიც შეიცავს ამონანერს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 24.03.15წ. სხდომის ოქმიდან, თავად ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს

24.03.156. საოქმო გადაწყვეტილებაზე და მიუთითა, რომ აღნიშნული დოკუმენტები შინაარსობრივად იდენტურია. „ადგო-კატთა შესახებ“ კანონის 23.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 26.7 მუხ-ლის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ დაასკვნა, რომ პირის განცვრიანების შესახებ გადაწყვეტილე-ბის მიღების კანონისმიერი ვალდებულება გააჩნია მხოლოდ ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს. სამართლებრივი შედეგი დადგა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 24.03.156. საოქმო გადაწყვეტილებით, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა ასოციაციაში განცვრიანებაზე. პალატის მოსაზრებით, მოცე-მულ დავაში ცხადი და ნათელია მოთხოვნის შინაარსი, რის გა-მოც უსაფუძვლოა აპელანტის მოსაზრება სსკ-ის 248-ე მუხლის დარღვევის შესახებ. მხარისათვის დადგა ზუსტად ის შედეგი, რასაც ის მოითხოვდა. პალატამ მიიჩნია, რომ მიუხედავად ტექ-ნიკური ხარვეზით ფორმულირებული სასარჩელო მოთხოვნი-სა, გონივრული დაკვირვების და შეფასების გზით მოსარჩელის მოთხოვნის დადგენა სასამართლოს მიერ სრულიად შესაძლე-ბელი იყო, ხოლო ის გარემოება, რომ პირველი ინსტანციის სა-სამართლომ საქმის ზეპირ მოსმენის ფარგლებში არ გამოიყე-ნა სსკ-ის 83-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება და არ დააზუსტებინა მოსარჩელეს ადმინისტრაციულ-სამართლებრი-ვი აქტის რეკვიზიტები, არ არის სააპელაციო საჩივრის დაკმა-ყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. პალატამ მიუთითა, რომ ტექნიკური ხასიათის შე-უსაბამობა დაფიქსირებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების ეტაპზე, უკავშირდება ტექნიკური ხარ-ვეზით ფორმულირებულ სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო გადაწ-ყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებულ იქნა გასა-ჩივრებული აქტის სწორი რეკვიზიტები. მითითებული უსწორო-ბანი წარმოადგენდა სსკ-ის 260-ე მუხლის მოთხოვნათა შესა-ბამისად განჩინების გამოტანის გზით გადაწყვეტილებაში შეს-წორების შეტანის საფუძველს. თუმცა აღნიშნული პალატის აზ-რით არ ქმნის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს.

უსაფუძვლობის გამო არ იქნა გაზიარებული აგრეთვე აპე-ლანტის მოსაზრება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაარღვია თანასწორობის პრინციპი, გამოავლინა მიკერძოებუ-ლი და დისკრიმინაციული მიდგომა ასოციაციის მიმართ. პალა-ტამ აღნიშნა, რომ ადგილი არ ჰქონდა სასარჩელო მოთხოვნის შინაარსისა და დავის საგნის ფაქტობრივი საფუძვლების შეც-ვლას, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის დადგა ზუსტად ის შედეგი, რასაც ის მოითხოვდა. პალატამ აპე-

ლანგის ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასკვნა გასაჩივრებული აქტის უკანონობაზე, მას სადაცოდ არ გაუხდია და ობიექტური შეფასებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამართლებრივად დასაბუთებული და საფუძვლიანია, რაც კიდევ უფრო აზრს მოკლებულს ხდის მის კრიტიკას ფორმალური უსწორობის მიზეზით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 08.07.2015ნ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განმარტებით მხოლოდ აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ასოციაციაში განევრიანებაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში დადგენილ ვადაში. აღნიშნულის მიუხედავად სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საკითხი ეხება ტექნიკური ხარვეზით ფორმულირებულ სასარჩელო მოთხოვნას. პალატამ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ტექნიკური ხასიათის შეუსაბამობაა დაიფიქსირებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების ეტაპზე, რაც უკავშირდება ტექნიკური ხარვეზით ფორმულირებულ სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებულ იქნა გასაჩივრებული აქტის სწორი რეკვიზიტები. კასატორი თვლის, რომ სააპელაციო პალატამ ვერ მოახდინა გადაწყვეტილების შემონმება, მხედველობაში არ მიიღო საქმის როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი გარემოებები. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში მიეთითა, რომ რ. გ.-ის მიერ გასაჩივრდა ასოციაციის 03.04.2015ნ. №5938 წერილი, რომელიც პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას ბათილად იქნა ცნობილი. სააპელაციო სასამართლოს ლოგიკის მიხედვით 03.04.15ნ. №5938 წერილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, ისევე როგორც ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 24.03.15ნ. საოქმო გადაწყვეტილება. კასატორი აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს ე.ნ. ტექნიკური შეცდომა არ შემოიფარგლება მხოლოდ სხვადასხვა რეკვიზიტების მითითებით. საინფორმაციო წერილის ბათილად ცნობასა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას შორის არსებითი სხვაობაა, ვინაიდან ერთ-ერთის ბათილად ცნობის შემთხვევაში სულ სხვა სამართლებრივი შედეგი დგება. ამ გარემოების გათვალისწინებით კასატორი თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო უგულებელყო საკუთარი გამოცხადებული გადაწყვეტილება და

დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში სულ სხვა რამ მიუთითა, ხოლ სააპელაციო სასამართლომ ეს კანონსაწინააღმდეგო ქმედება სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცია. კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო თანასწორობის უმნიშნელოვანესი პრინციპი. რ. გ-ი ითხოვდა 03.04.156. წერილის ბათილად ცნობას, მოთხოვნა არ იქნა დაზუსტებული არც მოსამართლისა და არც სასამართლოს მიერ, სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას სასამართლომ ბათილად ცნო 03.04.156. გადაწყვეტილება, ამის საწინააღმდეგოდ მხარისათვის ჩაბარებულ დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში ბათილად იქნა ცნობილი სრულიად სხვა გადაწყვეტილება, რომელზეც დავა საერთოდ არ მიმდინარეობდა. სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლომ მიკერძოებული და დისკრიმინაციული გადაწყვეტილების გამოტანით დაარღვია სსკ-ის 248-ე და 249-ე მუხლების მოთხოვნები. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილებაში დაშვებული ფორმალური, ტექნიკური ხასიათის უსწორობები არ წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ საფუძველს, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის ფარგლებში არ გამოიყენა სსკ-ის 83-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება. კასატორი აღნიშნავს, რომ საქალაქო სასამართლოს 28.04.156. გადაწყვეტილებაში შეტანილი ცვლილება არ არის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების ეტაპზე ტექნიკური ხასიათის უსწორობა, სასამართლოს მიერ დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში შეტანილი ცვლილება სცილდება სსკ-ის 260-ე მუხლის მოთხოვნებს, ვინაიდან გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორება ნიშნავს სასამართლოს მიერ დაშვებული მექანიკური შეცდომის გასწორებას და არა გადაწყვეტილებაში არსებითი სახის ცვლილების შეტანას (სუს განჩინება №ას-636-597-2011, 24.06.115.). მოცემულ შემთხვევაში სახეზე გადაწყვეტილებაში არსებითი სახის ცვლილების შეტანა, ვინაიდან დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში იმავე გადაწყვეტილების ასახვის შემთხვევაში, რაც სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას დაფიქსირდა, მხარეებისათვის დადგებოდა სხვაგვარი სამართლებრივი შედეგი, რაც ადასტურებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უფლებამოსილების ფარგლების გაცდენას. მოსამართლე ვალდებული იყო დასაბუთებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოეყალიბებინა მანამდე გამოცხადებული გადაწყვეტილების სარეზოლუ-

ციონ ნაწილის შეუცვლელად. ორ განსხვავებულ სარეზოლუციო ნაწილებთან დაკავშირებით სააპელაციო პალატის განმარტება, რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ შეცდომას არასწორია, სასამართლო ვალდებული იყო ემსჯელა მოსარჩელის მოთხოვნის ირგვლივ. საქმის მასალების მიხედვით დღის წესრიგში არ დამდგარა უსწორობათა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორების ან დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი. სასამართლომ თვითნებურად შეცვალა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ისე, რომ არ მიიღო განჩინება უსწორობის გასწორების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მოითხოვს სააპელაციო სასამართლოს 08.07.15ნ. განჩინების გაუქმებას და რ. გ-ის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

20.11.15ნ. განცხადებით კასატორმა სსიპ „საქართველოს ადგომატთა ასოციაციამ“ მოითხოვა საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ „საქართველოს ადგომატთა ასოციაციის“ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების მიხედვით რ. გ-ი სასარჩელო განცხადებაში, ასევე სასამართლო სხდომებზე ასაბუთებდა მის ასოციაციაში განევრიანებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების უკანონობას და მოითხოვდა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმებას და ასოციაციაში განევრიანების შესახებ ახალი ინდივიდუალური აღმინისტრუციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. მოსარჩელის მიერ არასწორად იქნა მითითებული გასაჩივრებული აქტის რეკვიზიტები, საჩივრები აღინიშნა, რომ რ. გ-ი ითხოვს ასოციაციაში განევრიანებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ „საქართველოს ადგომატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს 03.04.2015ნ. №5938 საოქმო გადაწყვეტილების (რ.გ-ის განევრიანებაზე უარის თქმის ნაწილში) ბათილად ცნობას მაშინ, როდესაც გადაწყვეტილება აღმასრულებელი საბჭოს მიერ 24.03.2015ნ. იქნა მიღებული, 03.04.2015ნ. №5938 წერილით რ. გ-ს ეცნობა 24.03.2015 წ. გადაწყვეტილების შესახებ. 03.04.2015ნ. წერილი იყო საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტი, კოლეგიური ორგანოს – ასო-

ციაციის აღმასრულებელი საბჭოს საოქმო გადაწყვეტილება რ.გ-ს ცალკე დოკუმენტის სახით არ ჩაბარებია, რ. გ-ის სახელზე გაგზავნილ 03.04.156. წერილში სრულად იყო გადატანილი რ. გ-ის ასოციაციაში განევრიანებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს 24.03.20156. საოქმო გადაწყვეტილება.

საქალაქო სასამართლოს 28.04.156. სხდომაზე სსკ-ის 257.1 მუხლით დადგენილი წესით რ.გ-ის სარჩელთან დაკავშირებით გადაწყვეტილება გამოცხადდა სათათბირო ოთახში გაუსვლელად, გამოცხადებული გადაწყვეტილებით რ.გ-ის სარჩელი დაკამაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ 03.04.156. №5938 საოქმო გადაწყვეტილება რ.გ-ის ადვოკატთა ასოციაციაში განევრიანებაზე უარის თქმის შესახებ და სსიპ ადვოკატთა ასოციაციის დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა რ.გ-ის ასოციაციაში განევრიანების შესახებ. ამდენად, მოსარჩელემაც და სასამართლომაც არასწორად მიუთითეს სადაც აქტის რეკვიზიტები (24.03.156. გადაწყვეტილების ნაცვლად გამოცხადდა 03.04.156. №5938 გადაწყვეტილება). ვინაიდან რ. გ-ისათვის სამართლებრივი შედეგი დადგა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 24.03.20156. საოქმო გადაწყვეტილებით და არა წერილით, საჭირო იყო დავის საგნის დაზუსტება (სსკ-ის 83-ე მუხ.). გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შემდეგ, ვინაიდან ტექნიკური ხასიათის შეუსაბამობა დაფიქსირებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების ეტაპზე, სასამართლოს უნდა მოეხდინა სარეზოლუციო ნაწილში დამვებული მექანიკური შეცდომის გასწორების თაობაზე განჩინების მიღება (სსკ-ის 260-ე მუხ.), რადგან სახეზე იყო ხარვეზი, რომლის უსწორობის გასწორება შესაძლებელი იყო გადაწყვეტილების შინაარსის შეუცვლელად. ამასთანავე, ადგილი არა აქვს სსკ-ის 248-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევას, რომლის მიხედვით სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. სასკ-ის 28¹ მუხლის თანახმად სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე შინაარსობრივად მოითხოვდა სახელდობრ აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, რომლითაც მას უარი ეთქვა ასოციაციაში განევრიანებაზე, გადაწყვეტილებით დადგა ის შედეგი,

რომელსაც მოსარჩელე ითხოვდა, კერძოდ, ადმინისტრაციულ ორგანოს ერთი თვის ვადაში დაევალა მოსარჩელის ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

სასამართლოს მიერ გამოცხადებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით სარჩელი დაქმაყოფილდა, ბათილად გამოცხადდა მოსარჩელის ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, ასოციაციას დაევალა ახალი აქტის გამოცემა. ამდენად, აქტის რეკვიზიტის არასწორი დასახელების მიუხედავად, დავის საგანს შეადგენდა გაწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, გაწევრიანების შესახებ აქტის გამოცემის დავალება და შესაბამისად სახეზეა მექანიკური, რედაქციული და არა არსებითი უსწორობა. სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“ პირის გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს, მხოლოდ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ასოციაციაში გაწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონით განსაზღვრულ ერთთვიან ვადაში („ადვოკატთა შესახებ“ კანონის 21-ე მუხ.). რ. გ-ის ასოციაციაში გაწევრიანების საკითხზე არსებობს მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება – ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 24.03.15ნ. გადაწყვეტილება, შესაბამისად, სხვა აქტი ვერ გასაჩივრდებოდა მოსარჩელის მიერ. დაუსაბუთებელია კასაატორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოს მიერ ბათილად იქნა ცნობილი სრულიად სხვა გადაწყვეტილება, რომელზეც დავა საერთოდ არ მიმდინარეობდა. ის გარემოება, რომ სარჩელი სასკ-ის 26-ე მუხლის საფუძველზე ცნობილ იქნა დასაშვებად და არსებოთად იქნა განხილული, თავისთავად ადასტურებს იმას, რომ დავის საგანი იყო ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება და არა წერილი, რომლითაც რ.გ-ს ეცნობა ამ გადაწყვეტილების შესახებ. საფუძველს არის მოკლებული კასაატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ წერილის ბათილად ცნობის შემთხვევაში დადგებოდა სხვა სამართლებრივი შედეგი. წერილი ინფორმაციული ხასიათის დოკუმენტია, ის არ იწვევს რაიმე სამართლებრივ შედეგს, არ იკვეთება რაიმე უფლებული კანონიერი ინტერესი, რომლის შეღასასაც იწვევდა წერილი, შესაბამისად, წერილი ვერ იქნებოდა სასამართლო განხილვის საგანი, არ არსებობს მისი სასამართლოში გასაჩივრების რაიმე ინტერესი, წერილის სასამართლოში გასაჩივრება გამოიწვევდა არა მის ბათილად ცნობას, არამედ სარჩელის დაუშვებლად ცნობ-

ბას.

სასარჩელო განცხადების ტექსტით დასტურდება, რომ მოსარჩელემ სარჩელით მოითხოვა აღმასრულებელი საბჭოს საოქმო გადაწყვეტილების მის ნაწილში ბათილად ცნობა, რ. გ-ის მიმართ საბჭოს მიღებული აქვს მხოლოდ ერთი – 24.03.15ნ. გადაწყვეტილება, რომლითაც რ. გ-ის განცხადება ასოციაციაში განვითარების შესახებ არ დაკმაყოფილდა. აღმასრულებელი საბჭოს განვითარების შესახებ გადაწყვეტილების უფლებამოსილების გათვალისწინებით, არაზუსტი რეკვიზიტის მითითების მიუხედავად, სავსებით ნათელია, რომ მოსარჩელე მოითხოვდა განვითარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, ამასთანავე, მოსარჩელის მოთხოვნა ამით არ შემოიფარგლებოდა, ის მოითხოვდა აგრეთვე ასოციაციაში განვითარების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას, რაც დაკმაყოფილდა. მოსარჩელის განვითარების თაობაზე ახალი აქტის გამოცემის დავალება თავისთვავად გულისხმობდა განვითარებაზე უარის თქმის შესახებ აქტის და არა წერილის ბათილად ცნობას. ის, რომ დავის საგანს შეადგენდა სახელდობრ განვითარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება და არა ინფორმაციული წერილი ცხადად დასტურება სასარჩელო განცხადების შინაარსით. სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელე მართალია არასწორად აღნიშნავს გადაწყვეტილების რეკვიზიტს, მაგრამ ცხადად უთითებს, რომ დავის საგანი არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, მოსარჩელე აზუსტებს აგრეთვე, რომ ასაჩივრებს ოქმის იმ ნაწილს, რომლითაც მას უარი უთხრეს ასოციაციაში განვითარებაზე. მოსარჩელე სარჩელში არ ეთანხმებოდა ასოციაციაში განვითარების შესახებ აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების დაფუძნებას „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მე-11 პუნქტზე და აღნიშნავდა, რომ მას წარდგენილი ჰქონდა ასოციაციაში განვითარებისთვის საჭირო ყველა საბუთი, რის გამოც აღმასრულებელი საბჭოს ოქმით მიღებული გადაწყვეტილება მოსარჩელის აზრით არ შეესაბამება „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის დანაწესს. საკასაციო პალატა თვლის, რომ სასარჩელო განცხადების ტექსტიდან სავსებით ნათელია, რომ მოსარჩელის სამართლებრივი მოთხოვნა ეხება განვითარებაზე უარის თქმას, მისი ასოციაციაში განვითარებაზე გადაწყვეტილების მიუღებლობას. იმ მოსაზრების გაზიარება, რომ მოსარჩელე გააზრებულად მოითხოვდა არა ასოციაციაში განვითარებაზე უარის თქმის შესახებ გა-

დაწყვეტილების ბათილად ცნობას, არამედ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შესახებ საინფორმაციო წერილის ბათილად ცნობას, გამოიწვევს სარჩელის შინაარსის, მასში მოყვანილი არგუმენტაციის სრულ იგნორირებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა მოსარჩელის უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით ითვალისწინებს სხვადასხვა პროცესუალურ საშუალებებს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი სარჩელის სახეების გამოყენება დამოკიდებულია იმ მიზანზე, რომელსაც ისახავს მოსარჩელე. სასკ-ის 23-ე მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაშვებობის, ხოლო 33-ე მუხლი მავალდებულებელი სარჩელის საფუძვლიანობის პირობებს. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების თაობაზე (შეცილებითი სარჩელი, სასკ-ის 22-ე მუხ.) და სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით (მაგალდებულებელი სარჩელი, სასკ-ის 23-ე მუხ.).) განსხვავებულ მიზანს ისახავენ. სარჩელის ეს ორი სახეობა არის უფლების დაცვის აღტერნატიული საშუალებები. სარჩელის სახეობის შერჩევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მიზანს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების მოთხოვნის მიზანია აღმოფხვრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით დამდგარი მდგომარეობა ანუ აღდგეს აქტის გამოცემამდე არსებული მდგომარეობა (სასკ-ის 22-ე მუხ.), მოსარჩელეს მოცემულ შემთხვევაში ასეთი მიზანი არ ჰქონდა. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელის მიზანია არსებული მდგომარეობის შეცვლა და მისთვის ხელსაყრელი მდგომარეობის მიღწევა სარჩელის დასაშვები სახეობაა – სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე (სასკ-ის 23-ე მუხ.).) ასეთი აღმტურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის შემთხვევაშიც სარჩელის მიზანი არის აქტის გამოცემაზე უარის გაუქმება, არამედ აქტის გამოცემა. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიზანს შეადგენდა სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“ განევრიანება, რაც მან არაერთგზის დაადასტურა საქმის განხილვის პროცესში. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ რ. გ-ი სასარჩელო განცხადებით მოითხოვდა არა მხოლოდ მის განევრიანებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, არამედ აგრეთვე რ. გ-ის

ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაცალებას. ამდენად, სახეზეა სასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის სახეობა (სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე). მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმისას, აქტის გამოცემის სასარჩელო მოთხოვნა უმეტესად იმავდროულად მოიცავს უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასაც, თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აღმტურველი აქტის გამოცემის დავალებას, ორგანოს მოვალეობის შესრულების დავალებას. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე უფრო მეტად დაკავშირებულია ნებართვის მოპოვებასთან, ამდენად აქტის გამოცემაზე უარის კანონიერების დასადგენად მოწმდება არა იმდენად უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი, არამედ აქტის გამოცემაზე მოსარჩელის უფლების სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან აქტის გამოცემაზე უარი არის უკანონო, როდესაც მოსარჩელეს აქვს აქტის გამოცემაზე კანონიერი უფლება. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე კანონიერი უფლების ან ინტერესის დადგენის შემთხვევაში ფაქტობრივად დგინდება მოსარჩელის უფლების ხელყოფის ფაქტი. აღნიშნულის მიუხედავად ასოციაცია არც სააპელაციო და არც საკასაციო საჩივრებში არ ეხება დავის მატერიალურ-სამართლებრივ ასპექტებს, მოსარჩელის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობების სამართლებრივი პირობების, ასოციაციაში მისი გაწევრიანების უფლების არსებობის საკითხებს. ამდენად, სასამართლოს მიერ ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს საოქმო გადაწყვეტილების რეკვიზიტების უსწორო მითითება არ ცვლის მიღებული გადაწყვეტილების არსს, სასამართლოს მიერ აქტის გამოცემის დავალებას. ამდენად, ადგილი არ აქვს გადაწყვეტილების გაყალბებას, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დამკებული ხარვეზი, მექანიკური შეცდომა აღმოფხვრილი იქნა არა ცალკე განჩინებით (სსკ-ის 260-ე მუხ.), არამედ მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანით. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის რეკვიზიტის არასწორი დასახელება არ ქმნის მოსარჩელის უფლების და კანონიერი ინტერესების დაცვაზე უარის თქმის საფუძველს.

სსკ-ის 393.3 მუხლის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გადაწ-

ყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედე-
გად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. გან-
სახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ-
სებული პროცესუალური დარღვევა არ ქმნიდა საქალაქო სასა-
მართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს, რადგან
პროცესუალურ დარღვევას შედეგად არ მოჰყოლია გადაწყვე-
ტილების უსწორობა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გა-
დაწყვეტილებაში ასახული იყო შინაარსობრივი მსჯელობა რ.გ-
ის ასოციაციაში განევრიანებაზე უარის თქმის შესახებ ასოცია-
ციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების კანონიერე-
ბასთან დაკავშირებით. გასაჩივრებული ინდივიდუალური ად-
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის რეკვიზიტის შესწორე-
ბა მოხდა საამისოდ დადგენილი პროცესუალური წესის დაუც-
ველად, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო
ნაწილში გამოცხადებული გადაწყვეტილების რეკვიზიტი შესა-
ბამისობაში იქნა მოყვანილი გადაწყვეტილების სამოტივაციო
ნაწილთან. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილე-
ბაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზი ვერ გახდება მოსარჩე-
ლის უფლების დაცვაზე უარის თქმის საფუძველი. საკასაციო
პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ადგი-
ლი აქვს სახელდობრ ტექნიკური და არა არსებითი ხსიათის შეც-
დომას, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმე განხილულია არ-
სებითი პროცესუალური დარღვევების გარეშე და საქმეზე არ-
სებითად სწორი გადაწყვეტილება მიღებული. საკასაციო სა-
სამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს
სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული საპროცესო და
მატერიალური სამართლის ნორმების განმარტებისა და სამარ-
თლის განვითარების მიზნით, საკასაციო სასამართლოს მიერ ზო-
გადი მნიშვნელობის მქონე სახელმძღვანელო და სარეკომენ-
დაციონ გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტობრივი საჭიროება.
საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნულ საქმეს არ
გააჩნია პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათ-
ვის, ხოლო საკასაციო საჩივარს – წარმატების პერსპექტივა.

რაც შეეხება საკითხის მატერიალურ-სამართლებრივ მხა-
რეს, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემული საკითხის მი-
მართ ჩამოყალიბებულია ერთიანი სასამართლო პრაქტიკა. სა-
კასაციო სასამართლო არაერთი განჩინებით (მაგ. სუს
16.05.2013წ. №ბს-211-203(კ-13), 16.05.2013წ. №ბს-199-191(კ-
13), 16.05.2013წ. №ბს-251-243(კ-13), 16.05.2013წ. №ბს-174-
167(კ-13), 27.05.2013წ. №ბს-198-190(კ-13), 16.05.2013წ. №ბს-
189-182(კ-13), 27.06.2013წ. №ბს-225-217(კ-13), 15.10.2015წ.

№ბს-443-436(კ-15) განჩინებები) დაეთანხმა სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლითაც უქმდებოდა განევრიანებაზე უარის თქმის შესახებ ადვოკატთა ასოციაციის გადაწყვეტილებები, ამ საკითხის ირგვლივ არ არსებობს სასამართლოს ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები, კოლიზიები გადაწყვეტილებებს შორის, დავები ერთგვაროვნად არის გადაწყვეტილი, არ არის დივერგენციის, ამ კატეგორიის საქმეებზე ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევები. შესაბამისად, საქმე არ არის მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისთვის, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაშვების, სასამართლო პრაქტიკის კორექტირების საფუძველი. აღსანიშნავია, რომ კასატორი ამ მიმართებით არ იყენებს რაიმე არგუმენტს, რაც დამატებით ადასტურებს საკასაციო საჩივრის დაშვების საფუძვლების არ არსებობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სასკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული არც ერთი საფუძველი, რის გამოც სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ საკასაციო საჩივრარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

რაც შეეხება საქმის განსახივლელად დიდი პალატისათვის გადაცემას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 391^{1.1} მუხლის თანახმად, საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ: საქმე თავისი შინარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პროცედურას, საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (წორმის განმარტებას), საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (წორმის განმარტებას), საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმისადმი დიდი ინტერესის, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების საჭიროების, იშვიათი სამართლებრივი პროცედურის არსებობის საფუძვლით საქმის დიდი პალატისათვის განხილვისათვის გადაცემის მიზანშეწონილობის საკითხის განხილვა განეკუთვნება საქმის განმხილველი საკასაციო სასამართლოს განსაკუთრებულ, დისკრეციულ უფლებამოსილებას, რომლის მიხედვით სასამართლო თავისი შეხედულებით განსაზღვრავს საქმის საქართველოს უზენაესი სა-

სამართლოს დიდი პალატისათვის გადაცემის საკითხს. საკასაციო პალატა დიდი პალატისათვის საქმის განსახილველად გადაცემის საჭიროებას წყვეტს არა მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, არამედ დამოუკიდებლად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ „საქართველოს ადგომატთა ასოციაციის“ შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391¹ მუხლის მოთხოვნებს და საქმე განსახილველად არ უნდა გადაცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სსკ-ის 391¹ მუხლით და

და ადგინდეთ:

1. სსიპ საქართველოს ადგომატთა ასოციაციის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. სსიპ საქართველოს ადგომატთა ასოციაციის შუამდგომლობა საქმის დიდი პალატისათვის გადაცემის შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
3. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.07.2015წ. განჩინება;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქმედების განხორციელების თაობაზე სარჩევის დასაშვებობა

განხილვა

№პს-338-334(ქს-16)

23 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: საქმის წარმოების შეწყვეტის კანონიერება

აღნერილობითი ნაწილი:

2014 წლის 12 სექტემბერს ი. ს-ამ სასარჩელო განცხადებით
მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – ბორ-
ჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ.

მოსარჩელემ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2014 წლის 25 აგვისტოს №1698 ნერილის ბათილად ცნობა და
მოპასუხისოფლის ახალი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 31 ოქტომ-
ბრის განჩინებით შეწყვდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება,
ი. ს-ას სარჩელზე მოპასუხე ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკ-
რებულოს მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის
ბათილად ცნობის შესახებ, სარჩელის დაუშვებლობის გამო.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 31 ოქტომ-
ბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ი. ს-ამ, რომელმაც
გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა გან-
სახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2014 წლის 27 თებერვლის განჩინებით ი. ს-ას
კერძო საჩივრი დაკამაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ახალ-
ციხის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 31 ოქტომბრის გან-
ჩინება და საქმე სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმების სტა-
დიდან განსახილველად დაუპრუნდა იმავე სასამართლოს.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 აპრილის
სხდომაზე ი. ს-ამ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და ბორჯო-
მის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მო-
ითხოვა, რომლითაც მოსარჩელეს საკუთრებაში გადაეცემოდა
ქ. ბორჯომი, ... ქ. №123-ში მდებარე უძრავი ქონება, არასაც-

ხოვრებელი ფართი 28 კვ.მ. ოდენობით.

მოსარჩელემ საბოლოოდ ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამ-
გეობისთვის თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 22 აპ-
რილის გადაწყვეტილების აღსრულების დავალება მოითხოვა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 1 მაისის გან-
ჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექ-
სის 16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება აღ-
სრულების ეროვნული ბიუროს სამცხე-ჯავახეთის სააღსრულე-
ბო ბიურო.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30 ივნისის
გადაწყვეტილებით ი. ს-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბორჯო-
მის მუნიციპალიტეტის გამგეობას თბილისის საოლქო სასამარ-
თლოს 2002 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილების აღსრულება
დაევალა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30 ივნისის
გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბორჯომის მუ-
ნიციპალიტეტის გამგეობაზ, რომელმაც გაასაჩივრებული გადაწ-
ყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის
დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განჩინებით ბორჯომის
მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყო-
ფილდა; გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015
წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება; შეწყდა საქმის წარმოება ი.
ს-ას სარჩელზე, მოპასუხე ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამ-
გეობის მიმართ, მესამე პირი – სსიპ აღსრულების ეროვნული
ბიუროს სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიურო, ბორჯომის
მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თბილისის საოლქო სასა-
მართლოს 2002 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილების აღსრუ-
ლების დავალების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ საქმე-
ზე სარჩელის საგანს წარმოადგენდა კანონიერ ძალაში შესული
გადაწყვეტილების აღსრულება; კერძოდ, მოსარჩელე ი. ს-ა ით-
ხოვდა მის სასარგებლოდ გამოტანილი თბილისის საოლქო სასა-
მართლოს 2002 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილების აღსრულე-
ბა დავალებოდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობას. ამას-
თან, ი. ს-ა წარმოადგენდა თბილისის საოლქო სასამართლოს 2002
წლის 22 აპრილის გადაწყვეტილების კრედიტორს, ხოლო ბორ-
ჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობა – მოვალეს. დადგინდა, რომ
თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის გადაწყვეტილებით
ი. ს-ას სარჩელი დაკმაყოფილდა: ქ. ბორჯომის გამგეობას დაევა-

ლა ქ. ბორჯომში, ... ქ. №123-ში მდებარე ფართის 28 კვ.მ-ს ოდენბით ი. ს-ასთვის გადაცემა; აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და მის აღსასრულებლად გაიცა სააღსრულებო ფურცელი; ასევე დადგინდა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილების აღსასრულებლად სააღსრულებო საქმე იმყოფებოდა სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში და საქმის განხილვის მოცემულ ეტაპზე საქმის წარმოება იყო შეჩერებული.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და მე-6 მუხლები იძლევა სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალს, რომელთა შორის არ არის გათვალისწინებული დავა გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე მხარეებს შორის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე; კერძოდ, დასახელებული ნორმების მიხედვით ადმინისტრაციული დავის საგანი შესაძლებელია ყოფილიყო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, რა დროსაც მხარეებად გვევლინებიან ერთ მხარეს აღსასრულებელი გადაწყვეტილების კრედიტორი ან მოვალე, ხოლო მეორე მხარეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებაზე უფლებამოსილი ორგანო – აღსრულების ეროვნული ბიურო; სააპელაციო სასამართლოს ამგვარი პოზიცია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „დ“ პუნქტთან ერთად ეფუძნება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-2 და მე-3 მუხლებს, რომელთა თანახმად, ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება და მათ იძულებით აღსრულებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ საქმეში კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების კრედიტორი ი. ს-ა სარჩელის საფუძველზე ითხოვდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოვალეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობას დავალებოდა აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება, რაც ნიშნავდა იმას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების მოვალესათვის ხელახლა უნდა დაევალებინა იმ ვალდებულების შესრულება, რაც მას უკვე ეყისრა კანონიერ ძალაში შესული და აღსასრულებლად მიქცეული სასამართლოს გადაწყვე-

ტილებით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ სარჩელს არ აქვს არათუ პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძველი, არამედ, არ აქვს არც მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი და შესაბამისად, არ არსებობს დავის (სარჩელის) საგანი, იმდენად, რამდენადც, სარჩელის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა ანუ ის მოთხოვნა, რომელიც ეფუძნება მატერიალურ-სამართლებრივ კანონმდებლობას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მიუხედავად ი. ს-ას სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებისა, შინაარსობრივად მოცემული დავა მიმდინარეობს იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, რაც კიდევ ერთ დაუშვებლობის წინაპირობას უქმნის მოცემულ სარჩელს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ი. ს-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უკანონო და დაუსაბუთებელია. მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მოცემული დავის კატეგორიას და შესაბამისად, შეუძლებელია ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობას გადაწყვეტილების აღსრულება დავალებოდა. კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ მოცემული მსჯელობა ემყარება კანონის არასწორ აღქმას, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლი ცალსახად განსაზღვრავს მოცემული კატეგორიის დავის საგნის არსებობას.

ამასთან, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სასამართლოს მიერ მითითებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლი განსაზღვრავს მაგისტრატი მოსამართლის მიერ განსჯად საქმეთა ჩამონათვალს, მაგრამ იმის გამო, რომ შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს ყველა შესაძლო დავის საგანი, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ჩადებულია 24-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ქმედების განხორციელების დავალდებულების სამართლებრივ წინაპირობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 მაისის განჩინებით ი. ს-ას კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და კერძო საჩივრის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიზნევს, რომ ი. ს-ას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პოზიციას გასაჩივრებული განჩინებით თბილისის საავტორაციო სასამართლოს მხრიდან კანონის არასწორი განმარტების თაობაზე. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და დამატებით აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და მე-6 მუხლებით განსაზღვრულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი. ამასთან, მე-6 მუხლის „დ“ პუნქტი ეხება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავას. თუმცა, აღსანიშვანია არსებითი სხვაობა აღნიშნული ნორმით განსაზღვრულ დავასა და განსახილველ დავას შორის. კერძოდ, მოსარჩევე ი. ს-ა თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, წარმოადგენს – კრედიტორს, ხოლო მოპასუხე ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობა – მოვალეს. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი კი არ ითვალისწინებს დავას სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებაში მონაბილე მხარეებს შორის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე. მე-6 მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, დავის ერთ მხარეს გვევლინება აღსარულებელი გადაწყვეტილების მოვალე ან კრედიტორი, ხოლო მეორე მხარეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებაზე უფლებამოსილი ორგანო – აღსრულების ეროვნული ბიურო.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების კრედიტორი ი. ს-

ა მოვალისაგან – ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობისაგან ითხოვს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობას აღნიშნული მოვალეობა უკვე აკისრია კანონიერ ძალაში შესული და აღსასრულებლად მიქცეული სასამართლოს გადაწყვეტილებით.

კერძო საჩივრის ავტორის მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლზე მითითება, რომელიც ითვალისწინებს საჩივრის დასაშვებობას ადმინისტრაციული ორგანოსათვის ისეთი ქმედების დავალების ან მისგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, არ წარმოადგენს შესაბამის სამართლებრივ დასაბუთებას, ვინაიდან, მოცემული ნორმა გულისხმობს ისეთ მოცემულობას, როდესაც დავის ერთ მხარეს წარმოადგენს აღსასრულებელი გადაწყვეტილების კრედიტორი ან მოვალე, ხოლო მეორე მხარეს – იძულებით აღსრულებაზე უფლებამოსილი ორგანო აღსრულების ეროვნული ბიურო. საკასაციო სასამართლოს მოსაზრება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 და 24-ე მუხლებთან ერთად ემყარება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და მე-3 მუხლებს, რომელთა თანახმადაც, ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება და მათ იძულებით აღსრულებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ი. ს-ას მოთხოვნას არ გააჩნია მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი და შესაბამისად, არ არსებობს დავის საგანი, რადგანაც სარჩელის საგანს წარმოადგენს მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა ანუ ის მოთხოვნა, რომელიც ეფუძნება მატერიალურ-სამართლებრივ კანონმდებლობას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ მოცემული დავა მიმდინარეობს იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, რაზეც სასამართლოს უკვე აქვს ნამსჯელი, გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და იმყოფება სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში. მოსარჩელის მიერ სარჩელის სხვაგვარი ფორმულირებითა და განსხვავებულ საკანონმდებლო ნორმებზე მითითებით კი საქმის არსი არ იცვლება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. ს-ას კერძო საჩივარი არ არის დასაბუთებული და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2, მე-6 და 24-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ს-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პენტენციურ დანესხულებაში დისციპლინურ ღონისძიებების გამოყენების თაობაზე სააკადამიურ საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

№ბს-278-276(ქს-16)

14 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება

აღწერილობითი ნაწილი:

13.05.2015 წ. დ. ხ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს სასჯელალსრულებისა და

პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მიმართ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის 04.05.2015წ. ... განკარგულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.12.2015წ. გადაწყვეტილებით დ. ხ-ის სარჩელი არ დაემაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა დ. ხ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.03.2016წ. განჩინებით დ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.12.2015წ. გადაწყვეტილებაზე, დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პატიმრობის კოდექსის 86.1 მუხლის ჩანაწერი ერთჯერადად გასაჩივრების უფლების შესახებ, როგორც სამართალწარმოების სპეციალური ნორმა, უშვებს დისციპლინური ლონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების კანონიერების მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შემოწმების შესაძლებლობას, იმავე ნორმიდან გამომდინარე, დაუშვებელია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა დ. ხ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოსთვის მისი სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის დავალება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული და საპროცესო კოდექსები მხარეს უფლებამოსილებას ანიჭებს გასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები ზემდგომ ინსტანციებში, მით უმეტეს მაშინ, როდესაც დავა ეხება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობას. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლზე და თვლის, რომ მხარეს უნდა მიეცეს სადაც აქტის ორჯერ გასაჩივრების შესაძლებლობა მაინც, რათა არ დაირღვეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული სამართლის სასამართლო განხილვის უფლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.04.2016წ. განჩინებით დ. ხ-ის კერძო საჩი-

ვარი წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიჩნევს, რომ დ. ხ-ის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის მოტივით შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ 03.05.2015წ. საქართველოს სასჯელად-სრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის №7 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორის – ლ. ჩ-ისა და დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორის – გ. წ-ას მიერ შედგენილ იქნა ბრალდებულის/ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დისციპლინური დარღვევის ოქმი, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ 03.05.2015წ. დაახლოებით 11:50 საათზე №11 საკანში განთავსებული მსჯავრდებული დ. ხ-ი სასეირნო ეზოში ყოფნის დროს გადაძახილის მეშვეობით დაუკავშირდა სხვა საკანში მყოფ პატიმრებს. დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, მსჯავრდებულმა დ. ხ-მა გააგრძელა ხმაური და გადაძახილი. აღნიშნული ქმედებით მან დაარღვია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულება, ზიანი მიადგა წესრიგსა და უსაფრთხოებას.

საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის №7 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის მიერ 04.05.2015წ. გამოიცა №... განკარგულება ბრალდებულისათვის/ მსჯავრდებულისათვის დისციპლინარული ღონისძიების გამოყენების შესახებ, რომლის თანახმად, ზემოაღნიშნული ქმედებისათვის დ. ხ-ის მიმართ პატიმრობის კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად, გამოყენებულ იქნა დისციპლინური სახდელი – მომდევნო 2 თვის განმავლობაში მისი კუთვნილი ხანმოკლე პაემნის უფლების შეზღუდვა. მსჯავრდებულმა დ. ხ-მა სადაციდ გახადა დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ ინდივიდუალური აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება

აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს (პირველი პუნქტი), დაცვის უფლება გარანტირებულია (მე-3 პუნქტი). „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილია ნორმატიული აქტების იერარქია, რომელის მიხედვით, საქართველოს კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს ყველა სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. პატიმრობის კოდექსი არის საქართველოს კანონი, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებს.

დისციპლინური გადაცდომების სახეები, გადაცდომების (დარღვევების) ამონტურავი ჩამონათვალი ანუ ჩამონათვალი იმ გადაცდომებისა, რომელიც შესაძლებელია ჩაიდინოს საპატიმრო დაწესებულების ტერიტორიაზე მყოფმა ბრალდებულმა/ მსჯავრდებულმა, აგრეთვე დისციპლინური დარღვევის თანამდევი დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები, დისციპლინური დარღვევის საქმის წარმოების, დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ საკითხის გადაწყვეტისა და ასეთი გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურული წესები დადგენილი არის სპეციალური საკანონმდებლო აქტით – პატიმრობის კოდექსით. პატიმრობის კოდექსის 85-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების გამოცემის უფლებამოსილება აქვს დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს. ამავე კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების გადაცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ერთჯერადად გასაჩივროს სასამართლოში მის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელი, გასაჩივრება არ აჩერებს დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების აღსრულებას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციები შესაბამისობაშია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან და ნორმებთან. ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების უფლება არ არის გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით. გასაჩივრების უფლებას განსაზღვრავს კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლი, რომლის მე-2 პუნქტი მსუბუქ დისციპლინურ დარღვევათა მიმართ გასაჩივრების უფლების რეგულირე-

ბის საკითხს სახელმწიფოთა დისკრეციას განაკუთვნებს (იხ. სუს 11.05.2016ნ. №ბს-127-126(ქს-16) განჩინება).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ დაუშვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 07.12.2015წ. გადაწყვეტილებაზე წარდგენილი სააპელაციო საჩივარი, რადგან პატიმრობის კოდექსის 86.1 მუხლი ცალსახად ადგენს პენიტენციურ დაწესებულებებში დისციპლინურ ღონისძიებათა გამოყენების შესახებ განკარგულების სასამართლოში შხოლოდ ერთჯერადად გასაჩივრების შესაძლებლობას. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დ. ხ-ის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.03.2016ნ. განჩინების გაუქმების თაობაზე უნდა დარჩეს განუხილველი დაუშვებლობის გამო, ვინაიდან არ არსებობს განსახილველად მისი დაშვების პროცესუალური წინაპირობა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ვინაიდან ე. ხ-ს (3/6 ...) დ. ხ-ის კერძო საჩივარზე გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი - 150 ლარის ოდენობით, მას უნდა დაუბრუნდეს აღნიშნული თანხა სრულად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ადგინდეთ:

1. განუხილველად დარჩეს დ. ხ-ის კერძო საჩივარი დაუშვებლობის გამო;
2. ე. ხ-ს (3/6 ...) დაუბრუნდეს დ. ხ-ის კერძო საჩივარზე 06.04.2016ნ. №1 საგადახდო დავალებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 150 ლარი;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დავის საგნის შეცვლის ან გაზრდის დაუმვებლობა საქართველოს სასამართლო

განერიცხა

№ბს-459-454(ქს-16)

14 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 26 მარტს ა. ნ-მა სასარჩელო განცხადებით მი-
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას, მოპასუხების – სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით საქართველოს იუს-
ტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს
2015 წლის 19 თებერვლის №39185 გადაწყვეტილების ა. ნ-ის
ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის
ნაწილში ბათილად ცნობა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნუ-
ლი სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ახა-
ლი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის
(რომლითაც განხორციელდება მოთხოვნილ უძრავ ნივთზე ა. ნ-
ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია) გამოცემის დავალება
მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2015 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. ნ-
ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2015 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება საა-
პელაციო წესით გაასაჩივრა ა. ნ-მა. აპელანტმა სააპელაციო სა-
ჩივრით სააგენტოს მიერ ყველა დაუკმაყოფილებელ ნაწილში
საკუთრების უფლების რეგისტრაცია, დარეგისტრირებული სა-
კადასტრო კოდის ... არარად ცნობა და ასევე მიყენებული მა-
ტერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2016 წლის 8 იანვრის განჩინებით ა. ნ-ის საა-ბელაციო საჩივარი მატერიალური და მორალური ზიანის ანაზ-ლაურების ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმი-ნისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 ნოემბრის გადაწ-ყვეტილებაზე დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ კონკრეტულ შემ-თხევები ა. ნ-ი დაზუსტებული სარჩელით ითხოვდა საქართვე-ლოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სა-აგენტოს 2015 წლის 19 თებერვლის №39185 გადაწყვეტილების ა. ნ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ბათილად ცნობას და სასიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურისათ-ვის ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (რომლითაც განხორციელდება მოთხოვნილ უძრავ ნივთზე ა. ნ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია) გამოცემის დავა-ლებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე წარდგენილ სააპელაციო საჩივარში კი ა. ნ-მა ასევე მოითხოვა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარ-მოადგენდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტი-ლების კანონიერების შემოწმება ფაქტობრივი და სამართლებ-რივი თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლოს საქართვე-ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის თანახ-მად, არ გააჩნდა შესაძლებლობა, ამგვარი მოთხოვნის პირველი ინსტანციის სასამართლოში არარსებობის გამო, ემსჯელა საა-პელაციო საჩივრის ფარგლებში.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციუ-ლი სამართალნარმოების ინკვიზიციური ხასიათის მიუხედავად სარჩელზე უფლებას დისპოზიციური ხასიათი აქვს, სასამარ-თლო შეზღუდულია მხარის მიერ დაყენებული სასარჩელო მოთ-ხოვნის ფარგლებით. აპელანტის მიერ მითითებული მატერია-ლური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასარჩე-ლო მოთხოვნის არსებობა გამორიცხავდა სასამართლოს მხრი-დან აღნიშნულ მოთხოვნაზე მსჯელობის შესაძლებლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 8 იანვრის განჩინება გაასაჩივრა ა. ნ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოით-ხოვა.

ა. ნ-ის განმარტებით, მას არასდროს არ უთქვამს უარი მა-

ტერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა-ზე, მისთვის სასამართლო სხდომაზე ამგვარი კითხვა არავის არ დაუსვამს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 23 ივნისის განჩინებით ა. ნ-ის კერ-ძმ საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარ-მოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ნ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივ-რის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამი-სად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავ-ტორის პოზიციას გასაჩივრებული განჩინებით თბილისის საა-პელაციო სასამართლოს მხრიდან ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შესწავლის თაობაზე და აღნიშნავს, რომ საქმის მა-სალების თანახმად, ა. ნ-მა საქალაქო სასამართლოში რამდენ-ჯერმე დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ საქარ-თველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნუ-ლი სააგენტოს 2015 წლის 19 თებერვლის №39185 გადაწყვეტი-ლების ა. ნ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ბათილად წწობა და სსიპ საჯარო რეეს-ტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსა-ხურისათვის ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტის (რომლითაც განხორციელდება მოთხოვნილ უძრავ ნივთზე ა. ნ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია) გა-მოცემის დავალება მოითხოვა (დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა იხ.: 16.09.2015წ. 16:35:06).

სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი სააპელაციო სა-ჩივრით კი ა. ნ-მა სააგენტოს მიერ ყველა დაუკმაყოფილებელ ნაწილში საკუთრების უფლების რეგისტრაცია, დარეგისტრირე-

ბული საკადასტრო კოდის ... არარად ცნობა და ასევე მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება ა. 6-ს სარჩელით არ მოუთხოვია და ამგვარი მოთხოვნა მას არც დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში დაუყენებია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას ა. 6-ის სააპელაციო საჩივრის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში და დამატებით აღნიშნავს, რომ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების პროცედურა რეგლამენტირებულია საქართვლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლში, რომლის შესაბამისად, „სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განსახილებულად მიღების შესახებ. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა“, სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად მიიჩნევა ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილული მოთხოვნის საგნის ან საფუძვლის შეცვლის შემთხვევაშიც, კერძოდ, ამავე კოდექსის 381-ე მუხლის შესაბამისად, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე შეგებებული სარჩელის შეტანა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია.

აღნიშნული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრით არ უნდა იქნეს დაყენებული ის მოთხოვნები, რომლებიც არ ყოფილა აღძრული პირველი ინსტანციის სასამართლოში. სააპელაციო საჩივრის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამოწმებს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ საქმეს განიხილავს, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ისე მათი სამართლებრივი შეფასების კუთხით. სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს დაადგინოს ახალი ფაქტები, ხოლო საქმის მონაწილე პირებს უფლება აქვთ პირველ ინსტანციის უკვე განხილულთან ერთად სააპელაციო სასამართლოში წარად-

გინონ ახალი მტკიცებულებები ანუ განხილული საქმე განიხილონ ხელმეორედ, აღნიშნული არ გულისხმობს იმას, რომ მხარეს უფლება აქვს შეცვალოს მოთხოვნის საგანი და საფუძველი. მიუხედავად ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციურობის ბუნებისა, სააპელაციო სასამართლოში არ შეიძლება დავის საგანს წარმოადგინდეს ის მოთხოვნა, რომელიც განხილვის საგანი არ ყოფილა პირველ ინსტანციაში. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ სააპელაციო სასამართლო საქმის განხილვისას შეზღუდულია სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ნ-ის კერძო საჩივარი არ არის დასაბუთებული და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ა. ნ-ს კერძო საჩივარზე გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით კი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა კერძო საჩივარზე შეადგენს 50 ლარს. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ნ-ს უნდა დაუბრუნდეს 2016 წლის 21 ივნისს კერძო საჩივარზე ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 250 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ნ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 8 იანვრის განჩინება;
3. ა. ნ-ს დაუბრუნდეს კერძო საჩივარზე 2016 წლის 21 ივნისს ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 250 ლარი;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. გადაცევეტილების განვარტვა

სარეზოლუციო ნაწილის გულიოვანების გამო
გადაცევეტილების განვარტვის საფუძველი

განვითარება

№ბს-291-283(ქს-13)

30 იანვარი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: გადაწყვეტილების განმარტება

აღწერილობითი ნაწილი:

20.09.05ნ. ა. ო-ემ, ი. ხ-ემ, მ. გ-ემ, რ. მ-ემ, ნ. ა-ამ, მ. ს-ამ, ნ. კ-ემ, მ. ქ-ამ, რ. ბ-მა, ა. თ-ემ, ვ. თ-ემ, ო. ფ-ემ, ი. ჯ-მა, ჯ. თ-ემ, ა. შ-ემ, ი. ო-ემ და რ. ჯ-ემ სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვეს სახელფასო დავალიანების და სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.11.05 ნ. გადაწყვეტილებით ი. ჯ-ისა და ვ. თ-ის სარჩელი დაემაყოფილდა სრულად: თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა ი. ჯ-ის სასარგებლოდ 2311,54 ლარის გადახდა (სახელფასო დავალიანება 1349,98 ლარი, ხოლო 2000-2002 წლების სანივთე ქონების კომპენსაცია 961,56 ლარი). ვ. თ-ის სასარგებლოდ 1297,17 ლარის გადახდა, (სახელფასო დავალიანება 296,63 ლარი, ხოლო 2001-2003 წლების სანივთე ქონების კომპენსაცია 1000,54 ლარი).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.11.05 ნ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.03.08ნ. გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.11.05 ნ. გადაწყვეტილება ი. ჯ-ისა და ვ. თ-ისათვის სანივთე ქონების ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, დანარ-

ჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა ი. ჯ-ის სასარგებლოდ 2002 წლის სანივთე ქონების კომპენსაციის, ხოლო ვ. თ-ის სასარგებლოდ 2002-2003 წლების სანივთე ქონების კომპენსაციის გადახდა.

თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.05.2010 წ. განჩინებით დაკმაყოფილდა ი. ჯ-ისა და ვ. თ-ის წარმომადგენლის 6. ს-ის განცხადება და თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.03.08 წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო წანილი განმარტა შემდეგნაირად: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 14.11.05 წ. გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად ი. ჯ-ის სასარგებლოდ თავდაცვის სამინისტროსათვის 1349,98 ლარის (სახელფასო დავალიანების), ხოლო ვ. თ-ის სასარგებლოდ 296,63 ლარის (სახელფასო დავალიანების) ანაზღაურების წანილში. აღნიშნული განმარტების საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 16.07.10 წ. გაცემული იქნა სააღსრულებო ფურცელი.

ი. ჯ-მა და ვ. თ-ემ 28.02.13 წ. განცხადებით მიმართეს თბილისის საპელაციო სასამართლოს და მოითხოვეს თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.03.08 წ. გადაწყვეტილების განმარტება იმ წანილში, რომლითაც შეიცვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა ი. ჯ-ისათვის 2002 წლის სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება, ხოლო ვ. თ-ისათვის 2002-2003 წლების სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება.

თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.04.13 წ. განჩინებით ი. ჯ-ისა და ვ. თ-ის განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. საპელაციო პალატამ მიუთითა, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო წანილი, რომლის განმარტებასაც ითხოვენ განმცხადებლები, არ არის ბუნდოვანი. რაც შეეხება ასანაზღაურებელი თანხების ოდენობის გაანგარიშებას, სასამართლომ მიუთითა, რომ თავდაცვის სამინისტრომ უნდა მოახდინოს ასანაზღაურებელი თანხების ოდენობის გაანგარიშება, როგორც გადაწყვეტილების აღსრულებაზე ვალდებულმა პირმა. საპელაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.03.08 წ. გადაწყვეტილება არ შეიცავს მითითებას და კვლევას შესაბამისი მტკიცებულებების შესახებ ასანაზღაურებელი სანივთე ქონების კომპენსაციის ოდენობის თაობაზე, რის გა-

მოც სააპელაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას განმარტების გზით განსაზღვროს ასანაზღაურებლად დაკისრებული კომპენსაციის ოდენობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.04.13.ნ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ი. ჯ-მა და ვ. თ-ემ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და განმარტების შესახებ განცხადების თბილისის სააპელაციო სასამართლოსათვის განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების გაცნობისა და კერძო საჩივრის საფუძვლინობის შემოწმების შედეგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. ჯ-ის და ვ. თ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების შესახებ აღნიშნული კოდექსით სხვა წესი არ არის დადგენილი, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. ამდენად, გადაწყვეტილების განმარტების საფუძველი არის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანობა, ხოლო განმარტების მიზანი – მისი აღსრულების უზრუნველყოფა. გადაწყვეტილების განმარტება არის მისი ნაკლოვანების აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალება.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.11.05ნ. გადაწყვეტილებით ი. ჯ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მის სასარგებლოდ დაეკისრა 2311,54 ლარის გადახდა, ხოლო ვ. თ-ის სასარგებლოდ 1297,17 ლარის გადახდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 12.03.08ნ. გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაექმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.11.05ნ. გადაწყვეტილების სარეზოლუ-

ციონ ნაწილის პირველი პუნქტი ი. ჯ-ის და ვ. თ-ისათვის სანივთე ქონების კომპენსაციის, შესაბამისად 961,56 ლარისა და 1000,54 ლარის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა ი. ჯ-ისათვის 2002 წლის სანივთე კომპენსაცია, ხოლო ვ. თ-ისათვის 2002-2003 წლების სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება. 15.04.13ნ. განჩინებაში სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს 12.03.08ნ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი არ არის ბუნდოვანი და მისა აღსრულების ხელშეწყობა არ მოითხოვს განმარტებას. სააპელაციო სასამართლოს 12.03.08ნ. განჩინების სარეზოლუციო ნაწილში სასამართლომ მიუთითა სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების პერიოდი და არ მიუთითა ასანაზღაურებელი თანხის კონკრეტული ოდენობა. აღნიშნულმა გარემოებამ ბუნდოვანი გახადა სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი, რაც გადაწყვეტილების განმარტების საფუძველს ქმნის. გადაწყვეტილების განმარტების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად სასამართლო უთითებს აგრეთვე იმას, რომ სააპელაციო სასამართლოს 12.03.08ნ. გადაწყვეტილების შინაარსი არ შეიცავს მითითებას და კვლევას შესაბამისი მტკიცებულებების შესახებ ასანაზღაურებელი სანივთე კომპენსაციის ოდენობის თაობაზე. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის ეს მოსაზრება დაუსაბუთებელია და არ ემყარება საქმის მასალებს. 12.03.08ნ. გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს ი. ჯ-ისა და ვ. თ-ისა სასარჩელო მოთხოვნების იმ ნაწილთან მიმართებაში, რომელიც ეხება სანივთე ქონების კომპენსაციას, სააპელაციო პალატამ მხოლოდ ნაწილობრივ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება და „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე მიიჩნია, რომ სანივთე ქონება არის პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება და შესაბამისად, ის არ განეკუთვნება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 134¹ მუხლით რეგლამენტირებულ სფეროს, სასამართლომ არ მიუთითა, რომ პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული სსკ-ის 129.2 მუხლით განსაზღვრული სამნლიანი ვადა. იმის გათვალისწინებით, რომ ი. ჯ-მა და ვ. თ-ემ სასამართლოს სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართეს 20.09.05ნ.,

მოთხოვნის სამწლიანი ხანდაზმულობის გათვალისწინებით, სა-აპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ი. ჯ-ს უნდა აუნაზღაურდეს 2000-2002 წ.წ., ხოლო ვ. თ-ეს 2001-2002 წ.წ. მიუღებელი სანივ-თე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება. გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ შესაბამისი წლების ქონების კომპენსაცია უნდა ანაზღაურდეს საქმეში დაცული 45452 სამხედრო ნაწილის მე-თაურის მიერ გაცემული ცნობის მიხედვით. საქმეში დაცულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს №45452 სამხედრო ნა-ნილის 18.03.05წ. №102, 13.04.05წ. №201 ცნობები ასანაზღაუ-რებელი თანხების თაობაზე. ი. ჯ-ის მიერ სარჩელით მოთხოვ-ნილი თანხიდან (2311,54ლ.) სანივთე კომპენსაციის თანხა შე-ადგენდა 961,56 ლარს, აღნიშნული თანხა ცნობის თანახმად არის 3 წლის (2000წ., 2001წ., 2002წ.) სანივთე კომპენსაციის ჯა-მი, სააპელაციო პალატის 12.03.08წ. გადაწყვეტილებით ი. ჯ-ს დაუკმაყოფილდა ერთი წლის (2002წ.) სანივთე ქონების კომ-პენსაცია ანუ მოთხოვნილი თანხის მესამედი. ვ. თ-ის მიერ სარ-ჩელით მოთხოვნილი თანხიდან (1297,17ლ.) სანივთე კომპენსა-ციის თანხა შეადგენდა 1000,54 ლარს, აღნიშნული თანხა არის 3 წლის (2001წ., 2002წ., 2003წ.) სანივთე კომპენსაციის ჯამი, საა-პელაციო პალატის 12.03.08წ. გადაწყვეტილებით ვ. თ-ეს დაუკ-მაყოფილდა ორი წლის (2002-2003 წ.წ.) სანივთე ქონების კომ-პენსაციის ანაზღაურების მოთხოვნა, შესაბამისად მოთხოვნი-ლი თანხის ორი მესამედი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მი-იჩნევს, რომ სახეზეა სსსკ-ის 262-ე მუხლით გათვალისწინებუ-ლი საფუძვლები, კერძოდ, სასამართლოს განმარტების თაობა-ზე მიმართა მხარემ, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწი-ლის შინაარსი ბუნდოვანია, ამასთან მოთხოვნილ ნაწილში გა-დაწყვეტილება არ არის აღსრულებული, ასევე არ არის გასული ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღ-სრულდეს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მითითებული გარემოებების გამო, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწ-ყობის მიზნით, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო განემარტა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 28.04.10წ. გა-დაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა სააპელა-ციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სა-ფუძველი, რის გამოც ი. ჯ-ისა და ვ. თ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და გან-ცხადება ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასა-მართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ჯ-ისა და ვ. თ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 15 აპრილის განჩინება და განცხადება ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

გადაწყვეტილების გამოართების პროცესუალური ფარგლები

განხილვა

№ბს-129-126(ქს-14)

6 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: გადაწყვეტილების განმარტება

აღნერილობითი ნაწილი:

2004 წლის 2 ივნისს ზ. ო-მა სარჩელი აღძრა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს 2004 წლის 31 მაისის №121-კ ბრძანების ბათილად ცნობა, საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს პარატის უფროსის მოადგილის პირვანდელ თანამდებობაზე აღდგენა და 2004 წლის 1 ივნისიდან გა-

დაწყვეტილების გამოტანამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება თვეში 91 ლარის ოდენობით.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით ზ. ო-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს 2004 წლის 31 მაისის №121-კ ბრძანება და ზ. ო-ი აღდგენილ იქნა საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს სისტემაში რანგით წინანდელის ტოლფას თანამდებობაზე. ზ. ო-ს აუნაზღაურდა თანამდებობაზე აღდგენამდე იძულებითი განაცდური დროის ხელფასი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება. ზ. ო-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ო-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილების დატოვება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ზ. ო-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება გაუქმდა საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს 2004 წლის 31 მაისის №121-კ ბრძანების გაუქმებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ზ. ო-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; არაკანონიერად იქნა ცნობილი საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს 2004 წლის 31 მაისის №121-კ ბრძანება ზ. ო-ის სამსახურიდან დათხოვნის თაო-

ბაზე; სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში საქმე განსახილველად დაუბრუნდა თბილის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკამაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის კრწანის-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილების სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში შეცვლით ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ზ. ო-ის სარჩელი სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში დაკამაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ზ. ო-ის სამუშაოზე მოწყობის თაობაზე; ზ. ო-ს აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი დათხოვნის დღიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაშდე.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ო-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, მის თანამდებობაზე დაუყოვნებლივ აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება თვეში 1000 ლარის ოდენობით 2004 წლის 1 ივნისიდან სამუშაოზე აღდგენამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით ზ. ო-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

2013 წლის 20 მაისს ზ. ო-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა განმარტება როდის შედის ძალაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 29 მარტის №კ-1/169 ბრძანება და ეკუთვნის თუ არა ბრძანების ძალაში შესვლამდე განაცდურისა და ხელფასის დაგვიანებით გამოწვეული კომპენსაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 23 მაისის განჩინებით ზ. ო-ის სარჩელი დატოვებულ იქნა ხარვეზზე, რათა მოსარჩელეს დაეზუსტებინა სასარჩელო მოთხოვნა.

2013 წლის 28 მაისს ზ. ო-მა ხარვეზის შევსების თაობაზე განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს იგივე საფუძვლებზე მითითებით და იშუამდგომლა სარჩელის წარმოებაში მიღება.

2013 წლის 3 ივნისის განჩინებით ზ. ო-ს ხარვეზის შესავსებად გაუგრძელდა საპროცესო ვადა დამატებით 10 დღით სა-სარჩელო მოთხოვნის ჩამოსაყალიბებლად.

2013 წლის 10 ივნისს ზ. ო-მა განცხადებით მიმართა თბილი-სის საქალაქო სასამართლოს ხარვეზის აღმოფხვრის თაობაზე და მოითხოვა სასარჩელო განცხადება, თბილისის საქალაქო სა-სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე, სასამარ-თლოს მიეჩინია განცხადებად, ხოლო თბილისის სააპელაციო სა-სამართლოს 2006 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების განმარტებაზე გადაეცვალოს დანიშნულებისამებრ შესაბამისად საა-პელაციო სასამართლოში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიის 2013 წლის 14 ივნისის განჩინებით ზ. ო-ს სასარ-ჩელო განცხადების წარმოებაში მიღებაზე ეთქვა უარი და სარ-ჩელი, თანდართულ მასალებთან ერთად დაუბრუნდა უკან; ზ. ო-ის განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინის-ტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 ივლისის გადაწყვე-ტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ზ. ო-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის წარმოებაში მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 8 ივლისის განჩინებით ზ. ო-ის კერ-ძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგი-ის 2013 წლის 14 ივნისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილვე-ლად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს; თბილისის საქალაქო სა-სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 14 ივნისის განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიის 2013 წლის 27 სექტემბრის განჩინებით ზ. ო-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 10 მაისის №33ბ/1095 გა-დაწყვეტილების განმარტების თაობაზე განსახილველად გან-

სჯადობით გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 იანვრის განჩინებით ზ. ო-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 10 მაისის №3ბ/1095 გადაწყვეტილებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნანილობრივ; თბილისის კრნანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 06 დეკემბრის გადაწყვეტილების, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნანილში შეცვლით, ამ ნანილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება. ზ. ო-ის სარჩელი სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნანილში დაკმაყოფილდა ნანილობრივ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზ. ო-ის სამსახურშე მოწყობის თაობაზე. ზ. ო-ს აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი დათხოვნის დღიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე (იხ. საქმე №3ბ/1095-06).

სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 25 სექტემბრის განჩინებით და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2013 წლის 30 დეკემბრის წერილითა და მოპასუხის ახსნა-განმარტების საფუძველზე ასევე დადგენილად მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 10 მაისის №3ბ/1095 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 2007 წლის 13 ივნისს №12/143 წერილით ზ. ო-ს შესთავაზა სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს (წალენჯიხა) სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშვნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით,

მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ 2004 წლის 31 მაისის №121 ბრძანების ბათილად ცნობის შემდეგ, სამინისტროს მიერ შეთავაზებული თანამდებობის (სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს (წალენჯიხა) სპეციალისტის თანამდებობა) დაკავებაზე მოსარჩელებ უარი განაცხადა.

ამავე გადაწყვეტილებით, ზ. ო-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკამაყოფილდა; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა ზ. ო-ის სამსახურიდან გათავისუფლების გაფორმება – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

2010 წლის 23 თებერვალს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა 2010 წლის 23 თებერვალს გამოსცა №1-1/236 ბრძანება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ზ. ო-ის სარჩელი დაკამაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 23 თებერვლის №1-1/236 ბრძანება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 29 მარტის №ე-1/169 ბრძანებით, ზ. ო-ი გათავისუფლდა საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს პარატის უფროსის მოადგილის თანამდებობიდან 2007 წლის 22 ივნისიდან.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის დაევალა ზ. ო-ისათვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება 2007 წლის 13 ივნისიდან 2007 წლის 21 ივნისის ჩათვლით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შენაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასუ-

ლა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მითითებული ნორმა მიზნად ისახავს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტებას იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილების მითითებული ნაწილი არ არის ცალსახად, გარკვევით და ნათლად ჩამოყალიბებული, შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს. ამასთან, განმარტების ძირითად და მთავარ დანიშნულებას ნარმოადგენს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობა იქმნება მაშინ, როცა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია და სრულყოფილად არ ასახავს სამოტივაციო ნაწილის დასკენებას. აღნიშნული ნორმა მიმართულია იმ სამართლებრივი მიზნისაკენ, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას არ შეექმნას წინააღმდეგობას, ანუ მოხდეს მისი აღსრულება.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით მიაჩინა, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, მისი აღსრულების თვალსაზრისით, არ არის ბუნდოვანი და გაუგებარი, იგი აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტებას არ საჭიროებს, ასევე 2006 წლის 21 ნოემბერს გაცემული სააღსრულებო ფურცელი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ აღსრულებულია. შესაბამისად, არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით მისი განმარტების აუცილებლობა, რის გამოც განმცხადებლის მოთხოვნა გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე, არ უნდა დაკმაყოფილდეს, უსაფუძვლობის მოტივით.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ზ. ო-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება იმ მოტივით, რომ მასში ბუნდოვანად არის მითითებული, სამინისტრომ აქტი გამოსცეს მისი სამსახურში დანიშვნის თაობაზე, მის ყოფილ ან შესატყვის თანამდებობაზე, რომელზეც „თანახმა იქნება მოსარჩელე“ და არა ისე როგორც მოპასუხე ცრუობს

თითქოს მას უარი განეცხადებინოს სამინისტროს შეთავაზებები. იგი არის 2004 წლიდან დღემდე უკანონოდ გათავისუფლებული საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს აპარატის უფროსის მოადგილის თანამდებობიდან და დღემდე არ აღსრულებულა ზემოაღნიშნული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს უფლებამონაცვლე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ზ. ო-ის სამუშაოზე მოწყობის თაობაზე.

კერძო საჩივრის ავტორის აღნიშვნით, არავის არ აქვს უფლება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თავისებურად შეცვლის. ვინაიდან, არ არის გამოცემული აქტი მისი სამსახურში მოწყობის თაობაზე და არ არის გაცემული იძულებითი განაცდური ხელფასი, რაც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ზ. ო-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატის 2014 წლის 28 იანვრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის გარეშე, კერძო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონშესუსაბამობის შესახებ, რის გამოც არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გადაწყვეტილების განმარტების ინსტიტუტის სწორი გაგება საჭიროებს თავად სასამართლო აქტის სტრუქტურისა და მისი შინაარსის გადმოცემის სამართლებრივი კულტურის სტანდარტის სწორ გაანალიზებას. საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლო გადაწყვეტილები უნდა პასუხობდეს გარევაულ მოთხოვნებს. იგი უნდა იყოს კანონიერი და დასაბუთებული, აგრეთვე, უნდა პასუხობდეს უფრო კონკრეტულ მოთხოვნებსაც, სა-

სამართლო აქტი უნდა იყოს სრული, ამომწურავი. მისი შინაარ-სი ისე მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს, რომ გამოირიცხოს სასა-მართლო დასკვნებისა და დადგენილების ორაზროვნება, ბუნ-დოვანება. დაუშვებელია დადგენილებითი ნაწილის ალტერნა-ტიულობა (მაგ: „გადაეცეს ნივთი ან გადახდილ იქნეს მისი ღი-რებულება“), სასამართლო აქტი არ უნდა შეიცავდეს რამე სა-ხის პირობით დათქმებს, რადგან მისი აღსრულება არ უნდა იყოს დამოკიდებული ამა თუ იმ პირობის შესრულება-შეუსრულებ-ლობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო გა-დაწყვეტილების განმარტების ინსტიტუტის დადგენა ემსახუ-რება სასამართლო აქტის, როგორც აღსასრულებელი ოფიცია-ლური დოკუმენტის, სიცხადეს, რათა აღმოიფხვრას მისი შინა-არსის ბუნდოვანება. სასამართლო გადაწყვეტილების განმარ-ტების აუცილებლობა დგება მაშინ, როცა გადაწყვეტილების ში-ნაარსის გაურკვევლიბა, ბუნდოვანება შეიძლება მისი აღსრუ-ლების დამაბრკოლებელ გარემოებად იქცეს.

სსს-ის 262-ე მუხლის I ნაწილი იმპერატიულად განსაზ-ღვრავს გადაწყვეტილების განმარტების წინაპირობებს:

1. მხარის ან აღმასრულებლის განცხადება;
2. გადაწყვეტილება არ უნდა იყოს აღსრულებული;
3. გადაწყვეტილების აღსრულების ვადა არ უნდა იყოს გა-სული;
4. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის ბუნდოვანება.

ამასთან, გადაწყვეტილების აღსრულებისა და აღსრულების ვადის გასვლის ფაქტის არსებობა გამორიცხავს განცხადების დაშვებას განსახილევად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო ხე-ლისუფლების კონსტიტუციური უფლებამოსილება – სამარ-თლის ნორმის ინტერპრეტაციის თაობაზე გულისხმობს სასა-მართლოს მოვალეობას კანონის ტექსტის ლოგიკური, პროგრე-სული და დინამიკური განმარტების თაობაზე.

კანონმდებელი სრულიად ლოგიკურად უკავშირებს გადაწ-ყვეტილების განმარტებას მისი აღსრულების სტადიას და მის მიზნად სწორედ აღსრულების ხელშეწყობას მიიჩნევს, რამდე-ნადაც გადაწყვეტილების განმარტების ფარგლები გულის-ხმობს, რომ განმარტებამ არ უნდა გამოიწვიოს გადაწყვეტი-ლების შინაარსის შეცვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შე-საძლებელია გამოიწვიოს აღსრულებული გადაწყვეტილების სა-ხეცვლილება, რაც ენინააღმდეგება ერთ საქმეზე მრავალჯე-

რადი მართლმსაჯულების განხორციელების დაუშვებლობის პრინციპის.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს კანონიერ დალაში შესული 2006 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანებაზე იმ კუთხით, რომ სამინისტრომ აქტი უნდა გამოსცეს მისი სამსახურში დანიშვნის თაობაზე, მის ყოფილ ან შესატყვევის თანამდებობაზე, რომელზეც იგი თანახმა იქნება და არა ისე, როგორც მოპასუხე მხარე ცრუობს თითქოს იგი უარს აცხადებს სამინისტროს შეთავაზებებზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული საფუძვლით გადაწყვეტილების განმარტების მოთხოვნა არ გამომდინარეობს ზემოაღნიშნული საპროცესო კანონმდებლობით დაგენილი გადაწყვეტილების განმარტების ინსტიტუტის სწორი გაგებიდან ვინაიდან, საქმის მასალებითა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2013 წლის 30 დეკემბრის წერილიდან დადგენილად არის მიჩნეული, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 10 მაისის №3ბ/1095 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ 2007 წლის 13 ივნისის №12/143 წერილით ზ. ოს შეეთავაზა სამეცნიელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს (წალენჯიხა) სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშნა, რაზედაც უარი განაცხადა.

ზ. ო-ს მოთხოვნის შესაბამისად, რომ თანახმა იქნებოდა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოში დანიშნულიყო თბილისთან ახლოს კერძოდ, მცხეთაში, მარნეულში ან ბოლნისში. სამინისტროს მიერ შეეთავაზა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოში (მარნეული) სპეციალისტის თანამდებობა, რაზედაც პასუხი არ უცნობებია სამინისტროსათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზ. ო-ის მოთხოვნა – კანონიერ დალაში შესული გადაწყვეტილება განიმარტოს იმგვარად, რომ მოპასუხეს დაევალო ისეთი თანამდებობის შეთავაზება, რომელზეც თანახმა იქნება მოსარჩევე, სცდება ამ გადაწყვეტილების შინაარსს, შესაბამისად, მისი განმარტების პროცესუალურ ფარგლებს, რამდენადაც ზ. ო-ის სარჩელი დაკმაყოფილდა არა სრულად, არამედ ნაწილობრივ, რაც გასაჩივრებული იქნა კიდევ საკასაციო წესით. თუმცა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგო-

რიის საქმეთა პალატის 2006 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით დაუშვებლად იქნა მიჩნეული. ამდენად, კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების განმარტება იმგვარად, როგორც ამას კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს, ენინააღმდეგება სასამართლო აქტის განმარტების ინსტიტუტის პროცესუალურ დანიშნულებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება აღსრულებულია ნაწილობრივ, ხოლო რაც შეეხება გადაწყვეტილებას, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილი, 2006 წლის 21 ნოემბრის გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორის ამგვარი პროცესუალური მოქმედების მიზანი, რის გამოც იგი ითხოვს გადაწყვეტილების განმარტებას და მიიჩნევს გადაწყვეტილებას ბუნდოვნად, აღნიშნული ვერ მიიღწევა გადაწყვეტილების განმარტების მოთხოვნის შედეგად.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი კერძო საჩივარი არ უნდა იქნეს გაზიარებული უსაფუძლებისა და დაუსაბუთებლობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262.1, 372-ე, 390-ე, 399-ე, 419-420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ზ. ო-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატის 2014 წლის 28 იანვრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება აღსრულების ცელშეცვლის მიზნით

განჩინება

№ბს-145-142(ქს-14)

13 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: გადაწყვეტილების განმარტება, გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება

აღნერილობითი ნაწილი:

2013 წლის 8 აპრილს მ. ჭ-ემ სარჩელი აღძრა თბილისის საქართველოს სასამართლოში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონკურსო-სააგესტაციო კომისიის 2013 წლის 21 თებერვლის №17 გასაუბრების სხდომის ოქმის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საპრეტენზიო კომისიის 2013 წლის 7 მარტის №5 სხდომის ოქმისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 11 მარტის №187-კ ბრძანების, დ. მ-ის ბოლნისის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე, ბათილად ცნობა. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება მისი კონკურსში გამარჯვებულად ცნობის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით მ. ჭ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ჭ-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატის 2013 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. ჭ-ის სააპელაციო საჩივრი დაკმაყოფილდა

ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 15 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. ჭ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაცო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 21 თებერვლის გასაუბრების სხდომის ოქმი №17 დ. მ-ისა და მ. ჭ-ის ნაწილში და დაევალა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიას საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 11 მარტის №187-კ ბრძანება დ. მ-ის მიმართ და მისი მოქმედება შეწყდა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ ახალი აქტის გამოცემის დღიდან. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საპრეტენზიო კომისიის 2013 წლის 07 მარტის სხდომის ოქმი №5.

აღნიშნული გადაწყვეტილება მხარეთა მიერ არ გასაჩივრებულა და 2014 წლის 9 იანვარს შევიდა კანონიერ ძალაში.

2014 წლის 31 იანვარს, სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა მ. ჭ-ებ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება, ასევე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება და უსწორობის გასწორება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების საკითხის თაობაზე.

განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ გადაწყვეტილება ჩაბარდა და 2013 წლის 18 დეკემბერს. გასაჩივრების 21 დღიანი ვადა ამოენურა 2014 წლის 8 იანვარს, ხოლო კომისიას დაევალა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალი აქტის გამოცემა ე.ი. 2014 წლის 8 თებერვლამდე, რაც არ განხორციელებულა. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მისთვის გაგზავნილი 2014 წლის 27 იანვრის №2579 წერილით აცნობა, რომ სამინისტრომ დანიშნა განმეორებითი გასაუბრება 2014 წლის 3 თებერვალს, რაც განმცხადებლის აზრით არასწორია.

განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებიდან არ ირკვევა, რა ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოსცეს საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ და

როგორ, კერძოდ, უნდა ჩატარდეს თუ არა განმეორებითი გასაუბრება, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევა და შეფასება უნდა მოხდეს 2013 წლის 21 თებერვლის მდგომარეობით, თუ დღეის მდგომარეობით. ვინაიდან 2013 წლის შემდეგ სამინისტრომ შეცვალა საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილი დამატებითი მოთხოვნების ჩამონათვალი და დაამატა 2-წლიანი სამუშაო გამოცდილება.

განმცხადებელი ასევე ითხოვდა სააპელაციო სასამართლომ იმჯელოს გადაწყვეტილების აღსრულების გონივრული ვადით გადადებისა და გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების თაობაზე;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 7 თებერვლის განჩინებით (ტექნიკური შეცდომა: უნდა იყოს 2014 წელი) მ. ჭ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 30 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების და აღსრულების გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; მ. ჭ-ის განცხადება გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ დაკმაყოფილდა; გასწორდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიეთითა: მ. ჭ-ეს (პ/ნ ...) დაუბრუნდეს 2013 წლის 08 აპრილს სს ბანკ „...“ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარი (საგადასახადო დავალება №1, ხაზინის ერთიანი ანგარიშის რეკვიზიტები: ბანკის დასახელება – ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი ... ე..., სახაზინო კოდი ...); მ. ჭ-ეს (პ/ნ ...) დაუბრუნდეს გ. ჭ-ის (პ/ნ ...) მიერ მ. ჭ-ის სააპელაციო საჩივარზე 2013 წლის 30 ივლისს №1 საგადასახადო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით სასამართლოს მიერ ახალი აქტის გამოცემის დავალება გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებების გამოკვლევის შედეგად გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადაცვო საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ნარმოების ხელახლა ჩატარებას და ახალი აქტის გამოცემას ამ წარმოების დროს შეგროვილი და გა-

მოკვლეული გარემოებების საფუძველზე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამის ნორმებზე დაყრდნობით. ვინაიდან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილები შეიცავს ამგვარ მოთხოვნებზე მითითებას, ის არ არის ბუნდოვანი და არ საჭიროებს დამატებით განმარტებას სასამართლოს მხრიდან.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნა გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების თაობაზე, ვინაიდან სააპელაციო პალატის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა ახალი აქტის გამოცემა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვეის ვადაში, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ახალი აქტი გამოსცეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში; ამასთან, სახეზე არ არის ისეთი გარემოებები, რომელთა გათვალისწინებით უზრუნველყოფილი იქნება მომავალში გადაწყვეტილების აღსრულებით განმცხადებლის კანონიერი ინტერესების დაცვა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 30 ოქტომბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული იქნა უსწორობა, რადგან მასში არ იქნა ასახული მხარის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების საკითხი, რაზეც სასამართლომ იმსჯელა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.

სააპელაციო პალატა მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ 2013 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მე-6 პუნქტში (საპროცესო ხარჯები) სასამართლომ მიუთითა სასკ-ის მე-9 მუხლზე, რომლის თანახმად სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდევნება. ამასთან, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მოცემული სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა არ ასახულა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში, რითაც სასამართლომ დაუშვა უსწორობა, რადგან სსსკ-ის 249-ე მუხლის მიხედვით გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილი, რომელიც გამომდინარეობს და ეფუძნება სამოტივაციო ნაწილს, შეიცავს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებას სასამართლოს სარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პა-

ლატის 2013 წლის 7 თებერვლის განჩინება (ტექნიკური შეცდომა: უნდა იყოს 2014 წელი) კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ჭ-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება გადაწყვეტილების განმარტებისა და გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების თაობაზე უარის თქმის ნაწილში, შემდეგი მოტივით: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება და ურთიერთგამომრიცხაობა მდგომარეობს იმაში, რომ თუკი სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა ჩატარდეს ხელახალი ადმინისტრაციული წარმოება, ადმინისტრაციულმა წარმოებამ უნდა მოიცვას კონკურსის ყველა ეტაპი, თუ ადმინისტრაციული წარმოება უნდა გაგრძელდეს გასაუბრების ეტაპიდან. ამასთან, როგორ უნდა ჩატარდეს ხელახალი ადმინისტრაციული წარმოება, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებით მას არ აკისრია ადმინისტრაციულ ორგანოში გამოცხადების (ტესტირებისა ან/და გასაუბრების ხელახალი გავლის) ვალდებულება.

მართალია სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დანიშნა განმეორებითი გასაუბრება 2014 წლის 3 თებერვალს, მაგრამ წერილობითი ცნობა კომისიის გადაწყვეტილების შესახებ არ მიუღია, შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არ აღსრულებულა.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავდა, რომ 2013 წლის 11 მარტს დ. მ-ე დაინიშნა ბოლნისის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, სადაც დღემდე მუშაობს. ამ პერიოდის განმავლობაში მან მიიღო სამუშაო გამოცდილება, აიმაღლა პროფესიული დონე, კვალიფიკაცია, შეიძინა პროფესიული ჩვევები და უნარები, რაც არ ჰქონდა 2013 წლის კონკურსის მომენტისათვის და იმ შემთხვევაში, თუ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჩატარებს განმეორებით გასაუბრებას და სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულდება ამ ფორმით, ის და დ. მ-ე, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, აღმოჩნდებიან არათანაბარ პირობებში, რაც არღვევს მის უფლებას გაიაროს კონკურსი თანასწორობისა და ობიექტურობის პირობებში.

შესაბამისად, კერძო საჩივრის აღნიშვნით, განმეორებითი გასაუბრება ვერ იქნება გადაწყვეტილების აღსრულების სწორი ფორმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერ-

ძმ საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ. ჭ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატის 2013 წლის 7 თებერვლის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის გარეშე, კერძო საჩივარი არ შეიცავს დასბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონშეუსაბამობის შესახებ, რის გამოც არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

საკავაციო სასამართლო განმარტავს, რომ გადაწყვეტილების განმარტების ინსტიტუტის სწორი გაგება საჭიროებს თავად სასამართლო აქტის სტრუქტურისა და მისი შინაარსის გადმოცემის სამართლებრივი კულტურის სტანდარტის სწორ გაანალიზებას. საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლო გადაწყვეტილებები უნდა პასუხობდეს გარკვეულ მოთხოვნებს. იგი უნდა იყოს კანონიერი და დასაბუთებული, აგრეთვე, უნდა პასუხობდეს უფრო კონკრეტულ მოთხოვნებსაც, სასამართლო აქტი უნდა იყოს სრული, ამომწურავი. მისი შინაარსი ისე მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს, რომ გამოირიცხოს სასამართლო დასკვნებისა და დადგენილების ორაზროვნება, ბუნდოვანება. დაუშვებელია დადგენილებითი ნაწილის ალტერნატიულობა (მაგ: „გადაეცეს ნივთი ან გადახდილ იქნეს მისი ლირებულება“), სასამართლო აქტი არ უნდა შეიცავდეს რაომე სახის პირობით დათქმებს, რადგან მისი აღსრულება არ უნდა იყოს დამოკიდებული ამა თუ იმ პირობის შესრულება-შეუსრულებლობაზე.

საკავაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების ინსტიტუტის დადგენა ემსახურება სასამართლო აქტის, როგორც აღსასრულებელი ოფიციალური დოკუმენტის, სიცხადეს, რათა აღმოიფხვრას მისი შინაარსის ბუნდოვანება. სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების აუცილებლობა დგება მაშინ, როცა გადაწყვეტილების შინაარსის გაურკვევლობა, ბუნდოვანება შეიძლება მისი აღსრულების დამარცვოლებელ გარემოებად იქცეს.

სსსკ-ის 262-ე მუხლის I ნაწილი იმპერატიულად განსაზღვრავს გადაწყვეტილების განმარტების წინაპირობებს:

1. მხარის ან აღმასრულებლის განცხადება;
2. გადაწყვეტილება არ უნდა იყოს აღსრულებული;
3. გადაწყვეტილების აღსრულების ვადა არ უნდა იყოს გა-

სული;

4. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის ბუნდოვანება.

ამასთან, გადაწყვეტილების აღსრულებისა და აღსრულების ვადის გასვლის ფაქტის არსებობა გამორიცხავს განცხადების დაშვებას განსახილველად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური უფლებამოსილება – სამართლის ნორმის ინტერპრეტაციის თაობაზე გულისხმობს სასამართლოს მოვალეობას კანონის ტექსტის ლოგიკური, პროგრესული და დინამიკური განმარტების თაობაზე.

კანონმდებელი სრულიად ლოგიკურად უკავშირებს გადაწყვეტილების განმარტებას მისი აღსრულების სტადიას და მის მიზნად სწორედ აღსრულების ხელშეწყობას მიზნევს, რამდენადაც გადაწყვეტილების განმარტების ფარგლები გულისხმობს რომ განმარტებამ არ უნდა გამოიწვიოს გადაწყვეტილების შინაარსის შეცვლა. ჩინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შესაძლებელია გამოიწვიოს აღსრულებული გადაწყვეტილების სახეცვლილება, რაც ენინააღმდეგება ერთ საქმეზე მრავალჯერადი მართლმასაჯულების განხორციელების დაუშვებლობის პრინციპს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს გადაწყვეტილების აღსრულების დამაპროლებელი გარემოება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანობის თვალსაზრისით, რამდენადაც სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტით, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 21 ოქტომბერის გასაუბრების სხდომის ოქმი №17 დ. მ-ისა და მ. ჭ-ის ნაწილში და დაავალა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმის გარემობათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვეის ვადაში. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ იმ ვითარებაში, როდესაც სადაც გამხდარი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 21 ოქტემბერის გასაუბრების სხდომის ოქმი №17 არ ასახავდა გასაუბრების მიმდინარეობას, დასმულ შეკითხვებს და მათზე გაცემულ პასუხებს, არამედ შეიცავდა ზოგად მითითებას იმის თაობაზე, რომ დ, მ-ის მონაცემები ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად, ხოლო მ. ჭ-ემ ხმათა უმრავლესობა ვერ მოიპოვდა.

ვა, გაუგებარია რას დაეყრდნო კომისია ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას. სააპელაციო სასამართლომ, „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, განმარტა, რომ ვაკანტური თანამდებობისათვის შესაბამის კანდიდატად პირის მიჩნევა ეფუძნება კანდიდატის კვალიფიკაციის, პროფესიული დონის, პროფესიული ჩვევების, პიროვნული თვისებების და შესაძლებლობების შეფასებას, რაც გამოკვლეული უნდა იქნას იმ შემაჯამებელ დოკუმენტში (გასაუბრების ოქმში), რომლის საფუძველზეც ხდება კანდიდატის თანამდებობაზე დანიშვნა და მხოლოდ აღნიშნული მისცემს სასამართლოს შესაძლებლობას შეაფასოს კონკურსის მიმდინარეობისას დაცული იყო თუ არა საკანონმდებლო დონეზე განმტკიცებული საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების ძირითადი პრინციპები: ობიექტურობა, გამჭირვალობა, არადისკრიმინაციულობა, საჯაროობა და კოლეგიურობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანებაზე, რომ თუკი ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ჩატაროს ხელახალი ადმინისტრაციული ნარმოება, ადმინისტრაციულმა ნარმოებამ უნდა მოიცას კონკურსის ყველა ეტაპი, თუ ადმინისტრაციული ნარმოება უნდა გაგრძელდეს გასაუბრების ეტაპიდან. ამასთან, როგორ უნდა ჩატარდეს ხელახალი ადმინისტრაციული ნარმოება, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებით მას არ აკისრია ადმინისტრაციულ ორგანოში გამოცხადების (ტესტირების ან/და გასაუბრების გავლის) ვალდებულება და რომ განმეორებით გასაუბრების ჩატარება არ არის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების სწორი ფორმა.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ნარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით. ადმინისტრაციული ნარმოების სრულყოფილი ჩატარება ანუ მხოლოდ სათანადო პროცედურის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება დიდნილად განაპირობებს მის

კანონიერებას, დასაბუთებულობასა და მიზანშეწონილობას, რისი დაცვაც ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრია აქტის გამოცემისას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სასამართლოსათვის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით მინიჭებული პროცესუალური უფლებამოსილების – სადაც ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა დავის გადაწყვეტლად და ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი აქტის გამოცემის დავალება, გამოყენება გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მიზნით სრული ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვალდებულებას, ყველა პროცედურული სტადიის გათვალისწინებით, რომელიც კანონით დადგენილია ამგვარი აქტის გამოსაცემად. პროცედურული სტადიების განსაზღვრა არ განეკუთვნება არც ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას და არც ადმინისტრაციული წარმოების მონაცილე პირთა შეხედულებებს. იგი კანონით მკაცრად განსაზღვრული ერთიანი პროცედურაა და დაცული უნდა იქნეს უკლებლივ ყველა აქტის მომზადების, მიღებისა და გამოცემისას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი კერძო საჩივარი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების განმარტებისა და გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების თაობაზე არ უნდა იქნეს გაზიარებული უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262.1, 372-ე, 390-ე, 399-ე, 419-420-ე მუხლებით და

დადგინდება:

1. მ. ჭ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცლელებად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატის 2013 წლის 7 თებერვლის განჩინება (ტექნიკური შეცდომა: უნდა იყოს 2014 წელი);
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განვითარების თაობაზე გაცესადების განსპალვა

განვითარება

№ბ-794-2(გან-14)

14 ივლისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სიირტლაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე
მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თ. გ-
ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმი-
ნისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის
12 სექტემბრის განჩინების განმარტების შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 8 ივლისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მომართა თ. გ-
ებ და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა პალატის 2005 წლის 12 სექტემბრის განჩინების
განმარტება მოითხოვა.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ 2005 წლის 12 სექტემბერს
საკასაციო სასამართლომ განიხილა თ. გ-ის საკასაციო საჩივა-
რი თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამარ-
თლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005
წლის 11 მაისის განჩინების გაუქმების თაობაზე. მითითებული
განჩინებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ,
სააპელაციო სასამართლოს განჩინება გაუქმდა შრომის წიგნა-
კის გაცემის დაყოვნებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე
უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილ-
ველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, ხოლო დანარჩენ ნა-
წილში – სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის
ანაზღაურების ნაწილში უცვლელად დარჩა გასაჩივრებული
განჩინება.

განმცხადებლის მოსაზრებით, ბუნდოვანია სასამართლოს
განჩინება პროცესურატურის ორგანოებიდან თ. გ-ის დათხოვნის
შესახებ 2004 წლის 11 ივნისის №902-პ“ ბრძანების შეფასებას-
თან დაკავშირებით, რის გამოც შეუძლებელია გადაწყვეტილე-

ბის შინაარსის გარკვევა.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით აღიარებულია მუშა-კის ინიციატივით, საკუთარი ნება-სურვილის გამომხატველი პი-რადი განცხადებით, გენერალური პროკურატურის აპარატის ... თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტი. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ცალსახად დადგენილადა მიჩნეული „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პირადი განცხადებით საკუთარი ნება-სურვილის საფუძველზე თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტი. ასევე განჩინებით დადგენილია კასა-ტორის მიერ 2004 წლის 10 ივნისს გენერალური პროკურორი-სადმი განცხადებით მიმართვა, რომლითაც იგი მოითხოვდა სხვა თანამდებობაზე დანიშვნას. ამდენად, საკასაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია გენერალური პროკურორის 2004 წლის ბრძანების საფუძველზე გენერალური პროკურატურის აპარატის ... თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტი. ამას-თან, საკასაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა კა-სატორის განცხადება სამსახურებრივი სიყალბების ჩადენის გზით პირადი განცხადების გაყალბების თაობაზე.

განმცხადებლის მოსაზრებით, ბუნდოვანი და გაურკვევე-ლია საკასაციო სასამართლოს განჩინება იმ ნაწილში, რომ კასა-ტორის განცხადება თანამდებობიდან გათავისუფლების შესა-ხებ გენერალურ პროკურორს „პროკურატურის შესახებ“ ორგა-ნული კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის სა-ფუძველზე პროკურატურიდან მუშაკის დათხოვნის უფლებას აძლევდა.

განმცხადებლის მითითებით, „პროკურატურის შესახებ“ ორ-განული კანონის 34-ე მუხლით იმპერატიულადაა განსაზღვრუ-ლი, რომ კანონის ეს ნორმა გამოიყენება მხოლოდ მუშაკის ინი-ციატივით დაკავებული თანამდებობიდან და პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნისა და მუშაკის ნების გამომხატველი პირადი განცხადების საფუძველზე.

2004 წლის 11 ივნისის №902-პ ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით პროკურატურის მუშა-კის გათავისუფლება თანამდებობიდან ან პროკურატურის ორ-განოებიდან დათხოვნა მხოლოდ მუშაკის ინიციატივით ხდებო-და, რისთვისაც საჭირო იყო ცალ-ცალკე ნების გამომხატველი პირადი განცხადებები როგორც თანამდებობიდან გათავისუფ-ლების, ასევე პროკურატურის სისტემიდან დათხოვისათვის.

მითითებული ბრძანების გამოცემის შემდეგ ორგანულ კა-

ნონში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის მიხედვით შესაძლებელი გახდა მუშაკის ინიციატივით ერთი განცხადების საფუძველზე როგორც თანამდებობიდან, ასევე სისტემიდან დათხოვნა. თუმცა ასეთ შემთხვევაშიც კანონმდებელი ერთ განცხადებაში ნების ცალ-ცალკე დაფიქსირებას მოითხოვდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლის მოსაზრებით, ბუნდოვანია საკასაციო სასამართლოს განჩინების აღსრულების შემთხვევაში, რა ვითარებაში იქნებოდა შესაძლებელი მუშაკის დათხოვნა.

განმცხადებლის მითითებით, ასევე ბუნდოვანია საკასაციო სასამართლოს მითითება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის საფუძველზე გენერალური პროკურორისათვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით მუშაკის პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნის შესაძლებლობაზე.

განმცხადებლის მითითებით, კანცელარიის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ იგი არ დანიშნულა სახა თანამდებობაზე, ამასთან, დაირღვა მისი შრომითი უფლება, რამდენადაც ფაქტობრივად დღემდე დათხოვნის საფუძველი გაურკვეველია, რამდენადაც 2004 წლის 11 ივნისის №902-პ ბრძანებით იგი დათხოვნილია პირადი განცხადების საფუძველზე ... თანამდებობიდან და არა პროკურატურის ორგანოებიდან.

განმცხადებლის მითითებით, საკასაციო სასამართლოს განჩინების განმარტების აუცილებლობა განაპირობა „სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებმა, რამდენადაც მითითებული კანონის თანახმად, კომპენსაციები ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული იქნება პროკურატურიდან მუშაკის დათხოვნის მართლზომიერება, საფუძვლიანობა და დათხოვნის დროისათვის ხელფასის სარგოს ოდენობა. მითითებული კანონი არ გავრცელდა თ. გ-ის მიმართ იმის გამო, რომ სტაჟის ზღვრულ ოდენობას – 25 წელს აკლდა რამდენიმე თვე.

ამდენად, განმცხადებელმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 12 სექტემბრის განჩინების განმარტება, კერძოდ, თ. გ-ე გათავისუფლებულია მხოლოდ გენერალური პროკურატურის აპარატის ... თანამდებობიდან თუ პროკურატურის ორგანოებიდანაც, ხოლო იმგვარი მსჯელობის გაზიარების პირობებში, რომ პროკურატურის ორგანოებიდან მი-

სი დათხოვნა მოხდა გენერალური პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, საჭირო იყო თუ არა როგორც ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით დათხოვნილი მუშა-კისათვის დასაბუთებული ბრძანების გამოცემა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების გაც-ნობის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი განსჯადობით განსახილვე-ლად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმი-ნისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფ-ლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწ-ყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გა-დაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწი-ლის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტი-ლების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილე-ბა ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომ-ლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

ამდენად, მითითებული ნორმის დანაწესის თანახმად, გან-მარტების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს გადაწყვეტილე-ბის გამომტან სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექ-სის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი პირობების არსე-ბობისას.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამარ-თლო არ წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღებ სასამარ-თლოს. საკასაციო სასამართლოს 2005 წლის 12 სექტემბრის გან-ჩინებით საქმე შრომის წიგნაკის დაყოვნებით გამოწვეული ზი-ანის ანაზღაურების ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბ-რუნდა სააპელაციო სასამართლოს, ხოლო დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 11 მა-ისის განჩინება. სააპელაციო სასამართლოს განჩინებით კი, თა-ვის მხრივ, არ დაქმაყოფილდა თ. გ-ის სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა თბილისის მთაწმინდა კრწანისის რაიონუ-ლი სასამართლოს 2004 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება.

განმცხადებელი განმარტებას ითხოვს მისი გათავისუფლე-ბის შესახებ საქართველოს გენერალური პროკურორის 2004 წლის 11 ივნისის №902-პ ბრძანების კანონიერების სამართლებ-რივი შეფასების ნაწილში. აღნიშნულ ნაწილში საკასაციო სასა-

მართლოს განჩინებით უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უცვლელად დატოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაბამისად, ამ ნაწილში საქმეზე გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს პირველი ინსტანციის სასამართლო წარმოადგენს, რომლის საპროცესო კომპეტენციასაც განეკუთვნება მოცემული განცხადების განხილვა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული განცხადების განსჯადობის საკითხზე გავლენას არ ახდენს ის გარემოება, რომ განცხადებლის მოთხოვნაა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 12 სექტემბრის განჩინების განმარტება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების განმარტების შესაძლებლობას მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ადგენს მისი აღსრულების ხელშეწყობის მიზნით. მოცემულ შემთხვევაში კი აღსრულებას ექვემდებარებოდა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შევიდა კანონიერ ძალაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 12 სექტემბრის განჩინების მიღების შედეგად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე წარმოდგენილი განცხადება განსჯადობის წესების დაცვით, განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რადგან „რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის №649 ბრძანებულების მე-60 მუხლში საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 12 აპრილის №213 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილების თანახმად, ლიკვიდირებულ იქნა თბილისის რაიონული სასამართლოები და შეიქმნა თბილისის საქალაქო სასამართლო სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქა-

ლაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. თ. გ-ის განცხადება განმარტების შესახებ განსჯადობით განსახილებად გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაცევატილების განმარტება ყოველთვიურ სარჩოს გადახდასთან დაკავშირებით

განჩინება

№ბს-513-500(ქს-14)

20 ნოემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: გადაწყვეტილების განმარტება

აღნერილობითი ნაწილი:

2006 წლის 1 ნოემბერს მოსარჩელე ნ. ბ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელე თავის სასარჩელო განცხადებაში აღნიშნავდა, რომ 1975 წლიდან მუშაობდა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სისტემაში მფრინავად სხვადასხვა ტიპის ავია ხომალდებზე, სადაც მისი საერთო ნაფრენი შეადგენდა 11987 საათს.

მოსარჩელის განმარტებით, იგი დანიშნული იყო სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის მთავარ ინჟინრად, შემდგომ ... თანამდებობაზე, საიდანაც 2006 წლის 1 ივნისიდან განთავისუფლდა ადმინისტრაციის რეორგანიზაციის გამო. 2006 წლის 17 ივლისს საქართველოს ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტის

პროფ. დაავადებათა დამდგენმა კომისიამ მოსარჩელეს დაუდგინა პროფესიული ხასიათის სმენის დაქვეითება, ასევე შრომითი შესაძლებლობების შეზღუდვა ზომიერად გამოხატული, პროფესიული დაავადებების მიზეზით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 ოქტომბერის №48 ბრძანებულების და 2002 წლის 26 თებერვლის №872 განკარგულების საფუძველზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, როგორც საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სამართალმემკვიდრეს უნდა დაკისრებოდა მისთვის ყოველთვიურად ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 2934 ლარის ოდენობით, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელემ სასამართლო სხდომაზე მხარი დაუჭირა თავის სასარჩელო განცხადებას და დამატებით განმარტა, რომ რომ მის მიერ სარჩელით მოთხოვნილი თანხა უნდა გაყოფილიყო სამზე და გაყოფის შედეგად მიღებული თანხა 978 ლარის ყოველთვიურად ანაზღაურება უნდა დაკისრებოდა მოპასუხეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით 6. პ-ის სასარჩელო განცხადება მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა 6. პ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით 6. პ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; 6. პ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 6. პ-ის სასარგებლობდა დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 2006 წლის 31 ოქტომბრიდან 2007 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდის 9780 ლარის ოდენობით; 6. პ-ის სარჩელი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის 2007 წლის 1 სექტემბრის შემდგომ ყოველთვიურად სარჩელი დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილება-

ზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-მა, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ასევე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, რომელმაც სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ნ. ბ-ის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება.

2009 წლის 7 დეკემბერს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ნ. ბ-მა, რომელმაც საქართველოს სამოქალაქო სააპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განხლება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 14 იანვრის განჩინებით ნ. ბ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

2014 წლის 29 მაისს ნ. ბ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა განმარტება იმის თაობაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული თანხა – 9780 ლარი შეადგენდა 10 თვის სარჩელს ჯამს, ხოლო ყოველთვიური სარჩელს ოდენობა შეადგენდა 978 ლარს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ივნისის განჩინებით ნ. ბ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო სააპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწი-

ლით და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება განიმარტება მისი აღ-სრულების დამაბრკოლებელი გარემოებების თავიდან აცილე-ბის მიზნით, რაც მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის მიერ არ არის დასაბუთებული.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ იყვეთებოდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება და შესაბამისად, არ არსებობდა მისი აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოება. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის დებულებები შეესაბამებოდა მის სამოტივაციო ნაწილში დადგენილ გარემოებებს, სასამართლოს მოსაზრებებსა და სასამართლოს დასკვნას სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის იმგვარი განმარტება, რასაც ითხოვს განმცხადებელი, გამოიწვევს მისი შინაარსის შეცვლას, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ბ-მა, რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ივნისის განჩინების გაუქმება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ბ-ის კერძო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009

წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილ-და 6. ბ-ის სარჩელი საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშავის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ სა-ფუძველზე ყოველთვიური სარჩელი გადახდით ზიანის ანაზღა-ურების შესახებ და მითითებული გადაწყვეტილებით საქართვე-ლოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 6. ბ-ის სასარ-გებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 2006 წლის 31 ოქტომ-ბრიდან 2007 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდის – 9780 ლარის ოდენობით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინის-ტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინე-ბით დაუშვებლად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და 6. ბ-ის საკასაციო საჩივრები და უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტი-ლება. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანხმად, სააპელაციო სა-სამართლოს 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება შევიდა კა-ნონიერ ძალაში.

2014 წლის 29 მაისს 6. ბ-მა განცხადებით მიმართა სააპელა-ციო სასამართლოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ად-მინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწ-ყვეტილების განმარტების მოთხოვნით. კერძოდ, განმცხადე-ბელმა მოითხოვა მისთვის ასანაზღაურებელი ყოველთვიურად გასაცემი სარჩელი ოდენობასთან დაკავშირებით გადაწყვეტი-ლების განმარტება, რამდენადაც გადაწყვეტილებაში მითითე-ბული იყო მხოლოდ 2006 წლის 31 ოქტომბრიდან 2007 წლის 1 სექტემბრამდე სრული პერიოდისათვის გასაცემი თანხის ოდე-ნობა. განმცხადებელი გადაწყვეტილების განმარტებას ითხოვ-და იმ მიზნით, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარ-ტის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეო-ბის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნე-ბის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშნვისა და გაცემის წესით“ გათვალისწინებული დახმარე-ბის მისალებად მან მიმართა სოციალური მომსახურების საა-გენტოს. დახმარების გასაცემად მითითებული წესის მოთხოვ-ნის შესაბამისად, აუცილებელი იყო ყოველთვიურად ასანაზღა-ურებელი თანხის ოდენობის დადგენა, რამდენადაც იმ პირები-სათვის, რომლებსაც სამოქალაქო ავიაციის სისტემაში მუშაო-ბისას დაუდგინდათ პროფესიული დაავადება და დანიშნული სარჩელის მიღება შეწყვეტილი პერიოდათ 2007 წლის 1 სექტემბრი-

დან, გასაცემი დახმარება განისაზღვრებოდა სასამართლო გა-
დაწყვეტილებით დადგენილი სარჩოს ოდენობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტო-
რის მოსაზრებას, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ად-
მინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწ-
ყვეტილება საჭიროებდა განმარტებას ყოველთვიურად გასაცე-
მი სარჩოს ოდენობასთან დაკავშირებით, რამდენადაც გადაწ-
ყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი შეიცავდა ზოგად მითითე-
ბას ასანაზღაურებელი სარჩოს – 9780 ლარის შესახებ, თუმცა
ყოველთვიურად გასაცემელის ოდენობა არ იყო დაკონკრეტე-
ბული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის
შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფ-
ლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწ-
ყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გა-
დაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ
იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწი-
ლის შინაარსი ბუნდოვანია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასა-
მართლოს მსჯელობას გადაწყვეტილების განმარტებაზე უარის
თქმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში არ იყო დასაბუთე-
ბული გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გა-
რემოებები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს
მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკი-
ცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის
ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის
ანაზღაურების დახმარების დანიშნვისა და გაცემის წესით“ გათ-
ვალისწინებულ იქნა შრომითი მოვალეობის შესრულებისას და-
საქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად
ზიანის ანაზღაურების მიზნით პირის ფულადი სოციალური დახ-
მარებით უზრუნველყოფა. აღნიშნული წესის მე-5 მუხლის 2¹
ნაწილის შესაბამისად, დახმარება შესაძლოა დაენიშნოს საქარ-
თველოს მოქალაქეს, რომელსაც სამოქალაქო ავიაციის სისტე-
მაში მუშაობისას დადგენილი აქვს პროფესიული დაავადება ან
შრომითი მოვალეობის შესრულებისას დამსაქმებლის ბრალეუ-
ლობით მის ჯანმრთელობას მიადგა ზიანი და კანონით დადგე-
ნილი წესით დანიშნული სარჩოს მიღება შეუწყდა 2007 წლის 17
აგვისტოდან და 1 სექტემბრიდან (საქართველოს ტრანსპორ-
ტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის

ადმინისტრაციის ლიკვიდაციის მომენტიდან) „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშავის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილებით, მათ შორის, სასამართლოს მიერ ამავე დადგენილებიდან გამომდინარე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ პუნქტის თანახმად, თუ მე-5 მუხლის 2¹ პუნქტით განსაზღვრულ პირთათვის სასამართლო გადაწყვეტილებით ვერ დაინდება ყოველთვიური გასაცემლის ოდენობა, დახმარების ოდენობა განისაზღვრება საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო მასალებში დაცული დოკუმენტაციით/ცნობით ყოველთვიური გასაცემლის შესახებ.

ამდენად, მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული დახმარების ოდენობის განსაზღვრა უკავშირდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ყოველთვიური სარჩოს ოდენობის დადგენის ფაქტს. იმ ვითარებაში, როდესაც სასამართლომ 6. ბ-ის მიმართ განიხილა ყოველთვიური სარჩოს გადახდით ზიანის ანაზღაურების საკითხი და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მას მიენიჭა გასული პერიოდის – 2006 წლის 31 ოქტომბრიდან 2007 წლის 1 სექტემბრამდე დროისათვის სარჩოს მიღების უფლება, შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილებით განისაზღვრა ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა, სასამართლო უფლებამოსილია განმარტოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და მიუთითოს, თუ რას შეადგენდა ასანაზღაურებელი თანხიდან ყოველთვიურად გასაცემი თანხის ოდენობა.

საკავაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული არ სცილდება გადაწყვეტილების განმარტების ფარგლებს და არ გამოიწვევს გადაწყვეტილების შინაარსის შეცვლას, რამდენადაც 6. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნა, რაც ნაწილობრივ დაკავშირდება თბილისის სასაპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით, უკავშირდებოდა სწორედ ყოველთვიური სარჩოს დანიშვნით ზიანის ანაზღაურებას. კერძოდ, 6. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნას ნარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშავის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ საფუძველზე ზიანის ანაზღაურება ყოველთვიურად სარჩოს – 978 ლარის გადახდით, სარჩელის წარდგენის დღიდან – 2006 წლის 31 ოქ-

ტომბრიდან უვადოდ.

სასამართლომ იმის გამო, რომ დავის განხილვის დროსათვის მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა სარჩოს გადახდას მხოლოდ დამქირავებელი დაწესებულების ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე პერიოდისათვის, სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიუთითა სრულად ასანაზღაურებელი თანხა.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების აღსრულებისა და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი უფლების რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, უნდა განმარტოს გადაწყვეტილება და მიუთითოს გადაწყვეტილებით დადგენილი ასანაზღაურებელი თანხიდან, რას შეადგენდა ყოველთვიურად გასაცემი სარჩოს ოდენობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. 6. ბ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ივნისის განჩინება და 6. ბ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განვითარება შინაარსის შეუცვლელად

განვითარება

№ბს-514-501(ქს-14)

9 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: გადაწყვეტილების განვითარება

აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 31 დეკემბერს ლ. ს-ამ სასარჩელო განცხადებით
მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახ-
ლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ
მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს
ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ
პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 6
დეკემბრის №399-კ ბრძანების ბათილად ცნობა, საქართველოს
ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ
პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ... დეპარ-
ტამერნტში ... სამსართველოს უფროსის თანამდებობრივ პოზი-
ციაზე აღდგენა და მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი გა-
ნაცდეური ხელფასის სამსახურში აღდგენამდე თვეში 1600 ლა-
რის მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით
ლ. ს-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტი-
ლება სააპელაციო წესით გაასაჩინორა ლ. ს-ამ, რომელმაც გასა-
ჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვე-
ტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით ლ. ს-ას
სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის სა-
ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის
2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა

ახალი გადაწყვეტილება. ლ. ს-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 6 დეკემბრის №399-კ ბრძანება ლ. ს-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. აღდგენილ იქნა ლ. ს-ა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ... დეპარტამენტში ... სამმართველოს ... თანამდებობაზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ლ. ს-ას სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო, არა უმეტეს სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმდება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენასი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 მარტის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ 2014 წლის 25 აპრილს შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა შემდეგ გარემოებათა გამო:

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების განმარტების შესახებ შუამდგომლობის წარმოდგენა განპირობებულია იმით, რომ სადავო აქტის (მინისტრის 2012 წლის 6 დეკემბრის №399-კ ბრძანება ლ. ს-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ) გამოცემის შემდეგ სამინისტროს ... დეპარტამენტმა და მასში შემავალმა ... სამმართველომ ორჯერ განიცადა რეორგანიზაცია. აღნიშნული რეორგანიზაციის შედეგად ნაწილობრივ

შეიცვალა, როგორც სამმართველოს დასახელება, ასევე მისი ფუნქციები, ამოცანები და საშტატო ნუსხა. ამასთან, სამმართველოში შეიქმნა სამი განყოფილება და სამმართველოს მუშაკთა რაოდენობა ჯერ შემცირდა 9 საშტატო ერთეულამდე, შემდეგ კი გაიზარდა 33 ერთეულამდე. ამასთან, აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში განმცხადებლის მოსაზრებით ბუნდოვნებას ქმნის ის, რომ ლ. ს-ას სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ, რეორგანიზაციის შედეგად, ხსენებული სამმართველოს უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე, კანონის თანახმად, გამოცხადდა კონკურსი და კონკურსში გამარჯვებული პირი დაინიშნა აღნიშნულ თანამდებობაზე. ამასთან, იგივე პიროვნება, სამინისტროში განხორციელებული შემდგომი რეორგანიზაციის დროს, გადაყვანილ იქნა სხვა თანამდებობაზე, ხოლო მის ადგილას (... სამმართველოს უფროსად), მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დანიშნულია სხვა პირი. მართალია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით დასაშვებია მოხელის გათავისუფლება სამსახურიდან არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ბუნდოვანებას ქმნის ის გარემოება, რომ სამსახურიდან შესაძლო გასათავისუფლებელი პირი (რომლის ადგილზეც სავარაუდოდ უნდა დაინიშნოს უკანონოდ გათავისუფლებული პირი) მოცემულ ვაკანსიაზე დაინიშნა კონკურსის წესით. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტამდე სამინისტროში განხორციელდა რეორგანიზაცია და სამმართველოს, რომლის უფროსის თანამდებობაზე სააპელაციო სასამართლომ აღადგინა ლ. ს-ა, უკვე ნაწილობრივ შეცვლილი ჰქონდა სახელი და ენოდებოდა არა „... სამმართველო“, როგორც ეს მითითებულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში, არამედ – „... სამმართველო“. ამასთან, სამმართველოს შეცვალა ფუნქციებიც. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ლ. ს-ას სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯველოს გადახდა არაუმეტეს სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. სამინისტროსთვის ასევე გაურკვეველი იყო, თუ კონკრეტულად რა პერიოდის (რამდენი თვის) შრომითი გასამრჯელო უნდა ანაზღაურებოდა ლ. ს-ას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა, კერძოდ: როვორ უნდა განხორციელდეს ლ. ს-ას აღდგენა იმ საჯარო თანამდებობაზე (... დეპარტამენტის ... სამმართველოს უფროსი), რომლიდანაც იგი გათავისუფლდა 2012 წლის 6 დეკემბერს, მაშინ როდესაც სამინისტროში განხორციელებული 2 რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა საჯარო თანამდებობა, შექმნილია ახალი საჯარო თანამდებობა (... სამმართველოს უფროსი) და ამ საჯარო თანამდებობაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო კონკურსის წესით შერჩეული და დანიშნულია სხვა საჯარო მოხელე; რა პერიოდის (რამდენი თვის) შრომითი გასამჯელო უნდა აუნაზღაურდეს ლ. ს-ას.

ლ. ს-ამ 2014 წლის 21 მაისს განცხადებით მიმართა თბილის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების აღსრულების საკითხის გადაწყვეტა, 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ცვლილების განხორციელება და ცვლილებების განხორციელების შემდეგ სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოითხოვა.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 მარტის განჩინებით ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება ლ. ს-ას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, რომლითაც იგი აღდგენილ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ... დეპარტამენტის ... სამმართველოს (უფლებამონაცვლე სამმართველოა ... სამმართველო) უფროსის თანამდებობაზე. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს 2012 წლის 3 დეკემბერს მიღებული ჰქონდა №153 ბრძანება იმ დეპარტამენტის დებულების (... დეპარტამენტი) დამტკიცების შესახებ, რომელი დეპარტამენტის სამმართველოს (... სამმართველო) ხელ-

მძღვანელის თანამდებობიდანაც მოხდა ლ. ს-ას გათავისუფლება. ცვლილებების შეტანის შესახებ ამავე აქტში, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში ჩამოყალიბებული იყო სამმართველოს ფუნქციები და ამოცანები. 2014 წლის 3 თებერვალს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა მიიღო №382 ბრძანება დეპარტამენტის ახალი დებულების დამტკიცების შესახებ. მინისტრის ეს ბრძანება ეფუძნება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №39 და 2014 წლის 27 იანვრის №114 დადგენილებებს, უპირატესად კი №39 დადგენილებას, რომელმაც მისი მიღების დროისათვის ცვლილება შეიტანა სამინისტროს დებულებაში და ... სამმართველოს შეუცვალა სახელწოდება ... სამმართველოს სახელწოდებით. შესაბამისად მინისტრის ბრძანება ახალი დებულების დამტკიცების შესახებ ... სამმართველოს მოიხსენიებს ... სამმართველოდ და მე-5 მუხლის მე-7 პუნქტი ადგენს სამმართველოს ფუნქციებსა და ამოცანებს. ... სამმართველო ასრულებს ყველა იმ ფუნქციას, რასაც მოსარჩელის გათავისუფლების მომენტისათვის 2012 წლის 3 დეკემბერს ასრულებდა ... სამმართველო, რის გამოც უნდა მივიჩნიოთ, რომ რეალურად მხოლოდ სამმართველოს სახელწოდებაში განხორციელდა ცვლილება, თუმცა სამმართველოს ფუნქციები და ამოცანები დარჩა იგივე, რის გამოც განმცხადებლის მოსაზრებით მოსარჩელის აღდგენა უნდა მოხდეს ... სამმართველოს უფროსის პოზიციაზე იმის მიუხედავად კონკურსის წესით არის თუ არა შერჩეული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 15 ივლისის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს განცხადება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. განემარტა განმცხადებელს, რომ ლ. ს-ას უნდა აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური შრომითი გასამრჯელო 3 (სამი) თვის ოდენობით; ლ. ს-ას განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებაზე აღსრულების საკითხის გადაწყვეტის შესახებ, დაკმაყოფილდა; ლ. ს-ა აღდგენილ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ... სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 3 მაისის №115-კ ბრძანებით ლ. ს-ა დაინიშნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ... დეპარტამენტის ... სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 6 დეკემბრის №399-კ ბრძანებით ლ. ს-ა გათავისუფლდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ... დეპარტამენტის ... სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან 2012 წლის 6 დეკემბრიდან. 2012 წლის 31 დეკემბერს, ლ. ს-ამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 6 დეკემბრის №399-კ ბრძანების ბათილად ცნობა; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 6 დეკემბრის №399-კ ბრძანების ბათილად ცნობა; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მისი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით ლ. ს-ას სააპელაციო საჩივარი დაქმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ლ. ს-ას სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 6 დეკემბრის №399-კ ბრძანება ლ. ს-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. აღდგენილი იქნა ლ. ს-ა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ... დეპარტამენტში ... სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. საქართველოს ოკუ-

პირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ლ. ს-ას სა-სარგებლოდ დაეკისრა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრო-მითი გასამრჯელო, არაუმეტეს სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძა-ლაში არის შესული.

სააპელაციო პალატამ საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლ-ვილთა მინისტრის 2013 წლის 1 აპრილის №71 ბრძანებით ცვლი-ლება განხორციელდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტო-რიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 3 დეკემბრის №153 ბრძა-ნებაში, და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლ-ვილთა სამინისტროს ... დეპარტამენტის სტრუქტურული ერ-თეული ... სამმართველო შეიცვალა, ... სამმართველოთი. საქარ-თველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაად-გილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 1 აპრილის №71 ბრძანებით და საქართველოს ოკუ-პირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირ-თა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2014 წლის 3 თე-ბერვლის №382 ბრძანებით განისაზღვრა ... სამმართველოს ფუნქციები და ამოცანები.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საჯარო დაწესებულე-ბის რეორგანიზაცია არის სამსახურის შიდა სტრუქტურული ან/ და ფუნქციონალური გარდაქმნა, რასაც შეიძლება სდევდეს და-ნესტულების მთლიანი ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის სტატუსის, დაქვემდებარების ან/და ფუნქციონალური დატვირ-თვის ცვლილება. სწორედ ამ სახის რეორგანიზაცია, მიუხედა-ვად იმისა, მოჰყვება თუ არა მას შტატის რაოდენობრივად შემ-ცირება, შეიძლება ქმნიდეს მოხელის სამსახურში აღდგენაზე უარის თქმის საფუძველს. პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემ-თხვევაში არ მომხდარა დაწესებულების სტრუქტურული ერ-თეულის სტატუსის შეცვლა (ახალი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება), აღნიშნული რეორგანიზაციებით განხორციელ-და მხოლოდ ... სამმართველოს დასახლების შეცვლა, ... სამ-მართველოთი, რადგან რეორგანიზაციის შემდეგ სტრუქტურულ ერთეულს სხვა დატვირთვა და ფუნქციები არ დამატებია.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ როგორც მოსარჩევე, ისე მონინალმდეგე მხარე ითხოვს, კანონიერ ძალაში შესული

გადაწყვეტილების აღსრულების და საბოლოოდ, მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, სააპელაციო სასამართლოს-გან იმ საკითხის გადაწყვეტას (სხვადასხვა ინსტიტუტების (გადაწყვეტილების განმარტება და გადაწყვეტილების აღსრულების წესის გადაწყვეტა) მითითების გზით). სწორედ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საკითხი. პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობა იქმნება მაშინ, როცა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციონი ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია და სრულყოფილად არ ასახავს სამოტივაციო ნაწილის დასკვნებს. აღნიშნული ნორმა მიმართულია იმ სამართლებრივი მიზნისაკენ, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას არ შეექმნას წინააღმდეგობა, ანუ მოხდეს მისი აღსრულება. ამასთან, ასეთი განმარტებით არ შეიძლება შეიცვალოს გადაწყვეტილების აზრი და შინაარსი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ლ. ს-ას სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო, არაუმეტეს სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

პალატამ განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, გათავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. იმ პირობებში, როდესაც სასამართლომ ბათილად ცნო სადაცო აქტი და მიიღო გადაწყვეტილება ლ. ს-ას სამსახურში აღდგენაზე, საფუძვლიანი იყო მისი მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ და შესაბამისად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ლ. ს-ას სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო, არაუმეტეს სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. ამდენად პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სა-

მინისტროს განცხადება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდა; განემარტა განმცხადებელს, რომ ლ. ს-ას უნდა აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური შრომითი გასამრჯელო 3 (სამი) თვის ოდენობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, კერძოდ, სასამართლოს განმარტების თაობაზე მომართა მხარემ, ამასთან მოთხოვნილ ნაწილში გადაწყვეტილება არ არის აღსრულებული, ასევე არ არის გასული ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. პალატამ მიიჩნია, რომ მითითებული გარემოებების გამო, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, დაკმაყოფილდა განმცხადებლების შუამდგომლობა გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 15 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 მარტის განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, დადგა საკითხი მომხდარიყო გადაწყვეტილების აღსრულება. აღსრულების პროცესში წარმოიშვა საჭიროება, რომ სასამართლოს მიერ მომხდარიყო გადაწყვეტილების განმარტება. პირველი საკითხი, რაც ბუნდოვნებას წარმოადგენდა იყო, თუ რა პერიოდის (რამდენი თვის) შრომითი გასამრჯელო უნდა ანაზღაურებოდა ლ. ს-ას, რადგან არ იყო დაკონკრეტული გასაცემლის ზუსტი ოდენობა. კერძო საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ მათვების განმარტებას საჭიროებს, როგორ უნდა განხორციელებულიყო კონკრეტული საჯარო მოსამსახურის აღდგენა იმ საჯარო თანამდებობაზე, რომელზეც აღსადგენი პირის გათავისუფლების შემდეგ, განხორციელებული 2 რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა ეს საჯარო თანამდებობა და შეიქმნა ახალი საჯარო თანამდებობა, რომელზეც კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკურსის წესით შერჩეული და დანიშნულია სხვა საჯარო მოხელე. ამასთან, ლ. ს-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ სამინისტროს ... დეპარტამენტმა და მასში შემავალმა ... სამმართვე-

ლომ ორჯერ განიცადა რეორგანიზაცია. აღნიშნული რეორგანიზაციის შედეგად ნაწილობრივ შეიცვალა როგორც სამმართველოს დასახელება, ასევე მისი ფუნქციები, ამოცანები და საშტატო ნუსხა. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების“, მასში შეტანილი ცვლილებებისა და მათ საფუძველზე მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით დამტკიცებული – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ... დეპარტამენტის დებულებებიდან ირკვევა, რომ (გარდა სამმართველოს დასახლების ნაწილობრივი ცვლილებისა, რაც სამმართველოს ფუნქციების ნაწილობრივი შეცვლით არის განპირობებული) სამმართველოში შეიქმნა სამი განყოფილება და სამმართველოს მუშაკთა რაოდენობა ჯერ შემცირდა 9 საშტატო ერთეულამდე, შემდეგ კი გაიზარდა 33 ერთეულამდე. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტამდე სამინისტროში განხორციელდა რეორგანიზაცია და სამართველოს, რომლის უფროსის თანამდებობაზე სააპელაციო სასამართლოს მიერ მოხდა ლ. ს-ას აღდგენა, უკვე ნაწილობრივ შეცვლილი ჰქონდა სახელი და მას ეწოდებოდა არა „.... სამმართველო“, როგორც ეს მითითებულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში, არამედ – „.... სამართველო“. ამასთან, სამმართველოს შეცვალა ფუნქციებიც.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სამინისტრო ითხოვდა განმარტებას ორ საკითხთან დაკავშირებით: 1. როგორ უნდა განხორციელებულიყო ლ. ს-ას აღდგენა იმ საჯარო თანამდებობაზე (... დეპარტამენტის ... სამმართველოს უფროსი) რომლიდანაც იგი გათავისუფლდა 2012 წლის 6 დეკემბერს, მაშინ როდესაც სამინისტროში განხორციელებული 2 რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა საჯარო თანამდებობა და შეიქმნა ახალი საჯარო თანამდებობა (... სამმართველოს უფროსი) და ამ საჯარო თანამდებობაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო კონკურსის წესით შერჩეული და დანიშნულია სხვა საჯარო მოხელე. 2. რა პერიოდის (რამდენი თვის) შრომითი გასამრჯელო უნდა აუნაზღაურდეს ლ. ს-ას. კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 ივლისის განჩინებით მომხდარი განმარტე-

ბის საფუძველზე, მათი ინტერესი სრულად დაკმაყოფილდა და არანაირი ბუნდოვანება აღსრულების საკითხის ამ ნაწილში აღარ არსებობს. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით ლ. ს-ას სამუშაოზე აღდგენასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ არ მომხდარა სათანადო განმარტება და არსებული ბუნდოვანება არ არის აღმოჩერილი, რადგან სასამართლოს არ უმსჯელია, როგორ უნდა მოხდეს პირის აღდგენა იმ საჯარო თანამდებობაზე, რომელიც ფაქტიურად აღარ არსებობს – იმის გათვალისწინებით, რომ მონაცემები საჯარო თანამდებობაზე უკვე დანიშნულია სხვა პირი კონკურსის წესით. ლ. ს-ას აღდგენა დაკავშირებული იქნება განჩინებაში მითითებული თანამდებობიდან სხვა პირის გათავისუფლებასთან. სწორედ ამ სამართლურთიერთობის თაობაზეა საჭირო სრულფასოვანი განმარტების არსებობა, რომ აღსრულების განხორცილების პროცესში დაცული იყოს კანონიერი და სამართლიანი ბალანსი კონკრეტულ პირთა ინტერესებს შორის, რაც შესაძლებლობას მისცემს არ დაუშვან სამართლებრივი ხასიათის შეცდომები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კერძო საჩივრი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 15 ივლისის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 15 ივლისის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს განცხადება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდა ნანილობრივ; განემარტა განმცხადებელს, რომ ლ. ს-ას უნდა აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური მრომითი გასამრჯელო 3 (სამი) თვის ოდენობით; ლ. ს-ას განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტის შესახებ, დაკმაყოფილდა; ლ. ს-ა აღდგენილ იქნა საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ... სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო კერძო საჩივრით ითხოვს იმის გარკვევას, თუ, როგორ უნდა მოხდეს აღსაზღვრის პირის აღდგენა იმ საჯარო თანამდებობაზე, რომელიც ფაქტიურად აღარ არსებობს – იმის გათვალისწინებით, რომ მონაცვლე საჯარო თანამდებობაზე უკვე დანიშნულია სხვა პირი კონკურსის წესით. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით აღნიშნული საკითხი სასამართლოს სათანადოდ არ განუმარტავს და გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განჩინების გამოტანამდე არსებული ბუნდოვანება არ აღმოქმედია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართლნარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების (განჩინების) განმარტება დაიშვება მხოლოდ გადაწყვეტილების (განჩინების) აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, ამასთან, გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად და იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. გადაწყვეტილების განმარტება მისი ნაკლოვანების აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალებაა. გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში განიმარტება, როდესაც მისი შინაარსი არის ბუნდოვანი, გაურკვეველი ან ნინააღმდეგობრივი. გაურკვევლობა უნდა ეხებოდეს სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს. სამოქალაქო საპროცესო კოდექ-

სის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების განმარტების წინაპირობა გადაწყვეტილების სარეზოლუციის ნაწილის ბუნდოვნებაა. გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების განმარტების მიცემაში პრიორიტეტულია არა მხარის სურვილი, მოისმინოს მიღებული გადაწყვეტილების დამატებითი არგუმენტები, არამედ გადაწყვეტილების სარეზოლუციის წინაარსის ბუნდოვანება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების სარეზოლუციი ნაწილში არსებული ბუნდოვანება ამავე სასამართლოს 2014 წლის 15 ივნისის განჩინებით აღმოფხვრილია და იგი არ საჭიროებს დამატებით განმარტებას, მისი დასაბუთება მოცემულია ამავე გარჩინების სამოტივაციო ნაწილში, ხოლო სარეზოლუციი ნაწილის შინაარსი სავსებით ცხადია. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში და წესით განმარტებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების სარეზოლუციი ნაწილი. ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი იძლევა გადაწყვეტილების განმარტების შესაძლებლობას მისი შინაარსის შეუცვლელად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გადაწყვეტილების განმარტების მოტივით, თუნდაც ნაწილობრივ შეცვალოს იგი ან შეეხოს ისეთ საკითხს, რომელიც არ იყო მისი მსჯელობის საგანი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 15 ივნისის განჩინებით ლ. ს-ას განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებაზე აღსრულების საკითხის გადაწყვეტის შესახებ, დაკმაყოფილდა; ლ. ს-ა აღდგენილ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ... სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. ამდენად, კერძო საჩივრის ავტორის მომართვა იმის შესახებ, თუ, როგორ უნდა განხორციელდეს კონკრეტული საჯარო მოსამსახურის აღდგენა იმ საჯარო თანამდებობაზე, რომელიც სამინისტროში განხორციელებული 2 რეორგანიზაციის შემდეგ გაუქმდა, ამასთან, დღეისათვის შექმნილ ახალ საჯარო თანამდებობაზე კანონმდებლობით გათ-

ვალისწინებული საჯარო კონკურსის წესით შერჩეული და დანიშნულია სხვა საჯარო მოხელე, საკასაციო პალატის აზრით სცილდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების განმარტების ფარგლებს და არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების გამარტების გზით მისი გარკვევის შესაძლებლობა. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არსებული ბუნდოვანება აღმოფხვრილია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 ივლისის განჩინებით, გადაწყვეტილების ყველა ნაწილი გასაგებადა ჩამოყალიბებული და აღარ შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს, ხოლო გადაწყვეტილების განმარტების ფორმით გადაწყვეტილების შეცვლა ან ახალი გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 15 ივლისის განჩინების გაუქმების და ამავე სასამართლოს 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების დამატებითი განმარტების მიზნით საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაქმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე, 419-420-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 15 ივლისის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაცევის მიღების განმარტების წილაპირობები

განხილვა

№ბს-683-675(2) 15)

18 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,

3. როინიშვილი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე
მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა აჭა-
რის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმარ-
თველოსა და მ. მ-ის განცხადებები საქართველოს უზენაესი სა-
სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11
თებერვლის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 23 მაისს მ. მ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმარ-
თა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – აჭარის ა/რ
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს
მიმართ.

მოსარჩელემ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი
რესურსების სამმართველოს უფროსის 2014 წლის 23 აპრილის
№01-05/09 ბრძანების, 2014 წლის 13 მაისის №01-06/17 ბრძა-
ნების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და მოპასუხის-
თვის სამი თვის განაცდურო ხელფასის ანაზღაურების დაკის-
რება მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელემ აჭარის ა/რ გარემოს
დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის
2014 წლის 13 მაისის №01-06/17 ბრძანების მოქმედების შეჩე-
რების თაობაზე იშუამდგომლა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გან-
ჩინებით მ. მ-ის შუამდგომლობა გასაჩივრებული ადმინისტრა-
ციულ-სამართლებრივი აქტის – აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2014
წლის 13 მაისის №01-06/17 ბრძანების მოქმედების შეჩერების
თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2014 წლის 10 ივნისს მ. მ-ემ შუამდგომლობით მიმართა სა-
სამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კო-
დექსის მე-16 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად აჭა-

რის ა/რ მთავრობის ჩაბმისა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოცემული დაცის დასრულებამდე აჭარის ა/რ მთავრობისათვის მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს რეორგანიზაციის დროს ამავე ორგანოს ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების და საკადრო რესურსების მართვის განყოფილების უფროსის თანამდებობრივი პოზიციის გაუქმების აკრძალვის მოთხოვნით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 11 ივნისის განჩინებით მ. მ-ის შუამდგომლობა საქმეში მესამე პირად აჭარის ა/რ მთავრობის ჩაბმის და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 11 ივნისის განჩინების გაუქმების მოთხოვნით საჩივარი და კერძო საჩივარი წარადგინა მ. მ-ემ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 20 ივნისის განჩინებით მ. მ-ის საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის ნაწილში ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 11 ივნისის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და იგი საქმის მასალებთან ერთად ზემდგომ - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას გადაეცევა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ივლისის განჩინებით მ. მ-ის საჩივარი და კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 11 ივნისის განჩინება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 6 იანვრის სხდომაზე მოსარჩელემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2014 წლის 13 მაისის №01-06/17 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ შ. ი-ე, ნ. ჯ-ე და ნ. თ-ა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით მ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2014 წლის 23

აპრილის №01-05/09 ბრძანება; აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არაუმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; მ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის განჩინებით მ. მ-ის შუამდგომლობა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-ემ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ამასთან, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე უარის თქმის შესახებ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. მ-ემ, რომელმაც გასაჩივრებულ განჩინების გაუქმება და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე მისი შუამდგომლობის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 14 მაისის განჩინებით მ. მ-ის საპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებაზე, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი.

2015 წლის 28 მაისს მ. მ-ემ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარადგინა შეგებებული საპელაციო საჩივარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივნისის განჩინებით აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სააპელაციო საჩივარი, მ. მ-ის შეგებებული საპელაციო და კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის

საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის განჩინება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე უარის თქმის შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად ნარმოებაში იქნა მიღებული მ. მ-ისა და აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 3 დეკემბრის განჩინებით მ. მ-ისა და აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივნისის განჩინება მ. მ-ის თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდეურის სრულად ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; მ. მ-ე აღდგენილ იქნა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ადმინისტრაციული სამსახურის მთავრი სპეციალისტის თანამდებობაზე; მოპასუხეს – აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს დაევალა მ. მ-ისათვის იძულებითი განაცდეურის ანაზღაურება

სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენის დღემდე; უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივნისის განჩინება მ. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2014 წლის 23 აპრილის №01-05/09 ბრძანების ბათოლად ცნობის ნაწილში.

2016 წლის 11 მარტს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველომ, რომელმაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა.

განმცხადებლის მითითებით, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა მ. მ-ის აღდგენა ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. ადმინისტრაციულ სამსახურში გათვალისწინებული იყო მთავარი სპეციალისტის სამი შტატი, რომელიც კანონის მოთხოვნათა დაცვით დანიშნულნი იყვნენ საქმეში მონაწილე მესამე პირები. აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად, გაუქმდა ადმინისტრაციული სამსახურის საქმის წარმოებისა და საკადრო რესურსების მართვის განყოფილება და შესაბამისად, განყოფილების უფროსის თანამდებობა, რომელზეც მუშაობდა მ. მ-ე. მთავარი სპეციალისტის თანამდებობა არ შექმნილა განყოფილების უფროსის თანამდებობის ხარჯზე. შესაბამისად, მესამე პირები არ დანიშნულან მ. მ-ის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე ან/და ანალოგიური ფუნქციების მქონე საშტატო ერთულზე. აღნიშნული პირები მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე მუშაობდნენ წლების განმავლობაში.

ამდენად, განმცხადებლის მითითებით, მ. მ-ის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე აღდგენისათვის აუცილებელი იყო ერთ-ერთი თანამშრომლის გათავისუფლება, რაც თავის მხრივ ენინაალმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით განმტკიცებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

განმცხადებლის მითითებით, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავდა მითითებას, რომ მ. მ-ის სამსახურში აღდგენა უნდა მომხდარიყო ახალი შტატის შექმნის გზით, რაც დაკავშირებულია დამატებით ფინანსურ ვალდებულებებთან, კერძოდ, სამმართველოს საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრე-

ბა აჭარის ა/რ ბიუჯეტით და მასში შესაბამისი კორექტირებისა და ფინანსური რესურსის მოძიების გარეშე, საშტატო ერთეულის დამატება შეუძლებელია. ამასთან, აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო არაა უფლებამოსილი მიიღოს აღნიშნული გადაწყვეტილება. სამმართველოს საშტატო ერთეულის დამატებისა და ბიუჯეტის კორექტირების ინიციატივა აჭარის ა/რ მთავრობის პრეროგატივა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა მიიჩნია, რომ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან არ იკვეთებოდა რა მექანიზმით უნდა მომხდარიყო მ. მ-ის სამსახურში აღდგენა, რასაც ასევე უკავშირდებოდა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი.

ამდენად, განმცხადებელმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 და მე-6 პუნქტების განმარტება.

2016 წლის 17 მარტს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ასევე მ. მ-ემ, რომელმაც მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება, კერძოდ, მოიცავდა თუ არა ასანაზღაურებელი განაცდური თანამდებობრივ სარგოსთან ერთად ყოველთვიურად გასაცემ პრემიას; განაცდურის ანაზღაურება უნდა მომხდარიყო მ. მ-ის გათავისუფლებამდე არსებული სახელფასო განაკვეთის, თუ აღსადგენ თანამდებობაზე დაწესებული სახელფასო განაკვეთის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადებების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და მ. მ-ის განცხადებები საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფ-

ლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული გადაწყვეტილების აღსრულების დამაპარკოლებელი გარემოებები, ხოლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ არის ბუნდოვანი, იგი ცალსახად შეიცავს მითითებას მ. მ-ის აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე აღდგენისა და მისთვის სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენის დღემდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ.

მ. მ-ის სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასმული საკითხები სცილდება გადაწყვეტილების განმარტების ფარგლებს. საკასაციო სასამართლომ 2016 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ მ. მ-ის გათავისუფლების შესახებ ბრძანება არ იყო გამოცემული „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე – რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო. სადაც ბრძანებით მ. მ-ე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა 2015 წლის 23 აპრილს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო, ხოლო აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში რეორგანიზაცია შტატების შემცირებით გამოცხადდა რამდენიმე თვის შემდეგ.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მ. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების მიღებისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეული იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმპერატიული დანაწესი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოხელის გათავისუფლებამდე საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის თაობაზე.

აღნიშნულის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიერ განიმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდება-

რება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობდა აღდგენაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო სანარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავდა ბუნდოვან დებულებებს, ხოლო ის გარემოება, თუ რა მექანიზმების გამოყენებით უნდა მოხდეს საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება და მ. მ-ის აღდგენა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე, მოხდება ეს შესაბამისი პროცედურების დაცვით ახალი საშტატო ერთეულის დაშვებით, თუ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს განეკუთვნება.

რაც შეეხება იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების აღსრულების საკითხს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილშიც გადაწყვეტილება არ არის ბუნდოვანი და აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებები სახეზე არ არის. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა მ. მ-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენის დღემდე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. მოხელისათვის პრემიის გაცემა წარმოადგენს წახა-

ლისების ერთ-ერთ ფორმას, რომელიც გაიცემა მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსწორი სიერო სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის. ამავე კანონის 112-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. შესაბამისად, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება თავის თავში არ მოიცავს სამომავლო ან სავარაუდო უფლების აღდგენას.

საკასაციო სასამართლო იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით მიუთითებს საკასაციო სასამართლოს არსებულ პრატიკაზე (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 13 სექტემბრის განჩინება საქმე №ბს-171-160(კ-07)).

„საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამსახურმი აღდგენის ფაქტი წარმოშობს იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ვალდებულებას, რომელიც მიზნად ისახავს პირის უფლებებში აღდგენას. იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მიმართულია იმ უფლებებში აღდგენისაკენ, რომელშიც პირი იმყოფებოდა სამსახურიდან გათავისუფებამდე, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა არ ითვალისწინებს სამომავლო უფლების აღდგენას. კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით სამსახურიდან გათავისუფლების დადგენა, თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ 05.01.05ნ. №24-კ ბრძანების ბათილად ცნობა წარმოშობს ადმინისტრაციის ვალდებულებას აღადგინოს მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა არ ადასტურებს იმას, რომ მუშავი იმავდროულად პასუხობდა იმ საღიკვიდაციო მოთხოვნებს, რომლებიც წარედგინებოდა ა. ი-ს სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომ გაზრდილი ხელფასის მქონე მოსამსახურეს. კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება აუნაზღაუროს ა. ი-ს განაცდური ხელფასი გათავისუფლებიდან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამდე ანუ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე ნიშნავს იმას, რომ განაცდური ხელფასის ოდენობის გაანგრიშებას საფუძვლად უნდა დაედოს ის საშუალო ანაზღაურება,

რომელსაც ა. ი. იღებდა მისი გათავისუფლების შესახებ პრძანების გამოცემამდე, განაცდური ხელფასის ანაზღაურება უნდა მოხდეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად ცნობილი აქტის გამოცემამდე არსებული ანაზღაურების შესაბამისად.

სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნის ის გარემოება, რომ „საჯარო სამსაჯურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის თანახმად მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. იძულებითი განაცდურის ანაზღაურების არსი გამორიცხავს ისეთ ანაზღაურებას, როგორიცაა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ხარჯების საკომპენსაციო ანაზღაურება (კვების დანამატი), შრომითი შედეგების მიხედვით დაჯილდოვების თანხების (პრემიის) ანაზღაურება“.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და მ. მ-ის განცხადებები არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტების წინაპირობების არსებობის თაობაზე, გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებები სახეზე არ არის, ხოლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს ბუნდოვანებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და მ. მ-ის განცხადებები საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩიტოდება.

3. მესამე პირის ჩართვა ადმინისტრაციულ პროცესში

მესამე პირად გარტივი ფორმით ჩატანა

განხილვა

№ბს-554-541(ქს-14)

10 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილების განმარტება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება;

აღნერილობითი ნაწილი:

ა. ზ-მა 2011 წლის 18 მარტს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 16 ნოემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 მარტის განჩინებით საქმეში მე-სამე პირად ჩაება (ც. კ-ე).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 7 აპრილის განჩინებით საქმეში მე-სამე პირად ჩაება შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „....“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით ა. ზ-ის სარჩელი უსაფუძვლობის გამო არ დაქმაყოფილდა.

2011 წლის 27 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში წარმოდგენილ იქნა ა. ზ-ის წარმომადგენლის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალა-

ქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 27 პარილის გადაწყვეტილებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 19 ივლისის განჩინებით ა. ზ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2011 წლის 2 სექტემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 19 ივლისის განჩინებაზე წარმოდგენილ იქნა ა. ზ-ის წარმომადგენლის – მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მაისის განჩინებით ა. ზ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 19 ივლისის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილებით ა. ზ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება; მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სადაც საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 16 ნოემბრის №... გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ. დაევალა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და სრული გამოკვლევის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება, ც. კ-ის 2010 წლის 10 ნოემბრის №... განცხადებაზე; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დაეკისრა ა. ზ-ის სასარგებლობდ, მის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 04 თებერვლის განჩინებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

2013 წლის 13 აგვისტოს ა. ზ-ის წარმომადგენელმა-მ. ბ-მა განცხადებით მომართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის

21 აგვისტოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 20 სექტემბრის განჩინებით ა. ზ-ის წარმომადგენლის მ. ბ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილების განმარტების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

2014 წლის 02 ივნისს მ. ჩ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილების განმარტება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ, სასამართლოს მიერ განმარტებული ყოფილიყო ბათილად იქნება თუ არა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 16 ნოემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შედეგად, მ. ჩ-ის რეგისტრაცია უძრავ ნივთზე მდებარე: ქ. თბილისი, ... ქ. №42, ბინა 10, ს/კ

2014 წლის 27 ივნისს, მ. ჩ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 14 ივლისის განჩინებით მ. ჩ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; მ. ჩ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-265-ე, 421.1, 423-ე მუხლებზე და განმარტა, რომ საპროცესო კანონმდებლობა უშვებს არა ყოველი ახალი გარემოების ან მტკიცებულების შეტყუბის პირობებში საქმის ხელახლა გადასინჯვის შესაძლებლობას, არამედ მხოლოდ ისეთი გარემოებები შეიძლება დაედოს საფუძვლად დასრულებული დამარტინირებული გარემოებების შემთხვევაში და განმარტების პალატის მიერ განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; მ. ჩ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

ლი საქმის წარმოების განახლებას, რომლებიც მხარისათვის მისი ბრალის გარეშე არ იყო ცნობილი საქმის წარმოების პროცესში და ამასთან, აღნიშნული გარემოებები ან მტკიცებულებები ხელსაყრელი გადაწყვეტილების დადგენას გამოიწვევდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მ. ჩ-ი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და საქმის წარმოების განახლებას ითხოვს იმ საფუძვლით, რომ იგი არის პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება და არ იყო მხარედ მოწვეული საქმის განხილვისას.

სააპელაციო პალატამ საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ ა. ზ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლითაც განხორციელდა ც. კ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია ბინაზე, მდებარე ... ქუჩა №42, ზონა თბილისი, სექტორი ჩუღურეთი.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ 2010 წლის 16 ნოემბერს, საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ც. კ-ის საკუთრების უფლება ქ. თბილისში, ... ქ. №42-ში მდებარე 35,63 კვ. მეტრი ფართის საცხოვრებელ ბინაზე. საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი გახდა 1993 წლის 10 ნოემბრის ჩუქების ხელშეკრულება, გაფორმებული ნ. ბ-სა და ც. კ-ეს შორის, სანოტარო წესით. უძრავ ნივთს მინიჭებული აქვს საკადასტრო კოდი №....

სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოკვლეულ იქნა ის გარემოება, რომ სადავო ფართი რეგისტრირებული იყო ორი სხვადასხვა საკადასტრო კოდით. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საჯარო რეესტრის წარმომადგენლის განმარტება იმის შესახებ, რომ საერთაშორისო კოორდინატთა სისტემაში დამზადებული ნახაზის (გეგმის) საფუძველზე, რადგან უძრავი ქონება არ იყო საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა აღნიშნულ უძრავ ქონებათა ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა, №... და №... საკადასტრო კოდების მქონე უძრავ ნივთთა იდენტურობა ვერ დადგინდებოდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაცი-

ულ ორგანოს სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცა საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივი გარემოებებისათვის და უნდა შეემონმებინა, არსებობდა თუ არა წინააღმდეგობა მასთან ჯერ კიდევ 2002 წელს დ. ხ-ზე, 2009 წელს ა. ზ-ზე და შემდგომ უკვე ც. კ-ის სახელზე რეგისტრირებულ მონაცემებს შორის და მასზე დაყრდნობით გამოიცა ახალი აქტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე საქმის განხილვაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირის სტატუსით ჩაბმული იყო ც. კ-ე, იმ საფუძვლით, რომ 2010 წლის 16 ნოემბერს საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ც. კ-ის საკუთრების უფლება ქ. თბილისში, ... ქ. №42-ში მდებარე 35,63 კვ. მეტრი ფართის საცხოვრებელ ბინაზე და შესაბამისად აღნიშნული რეგისტრაციის გაუქმება უშუალოდ ც. კ-ის უფლებებსა და ინტერესებს ეხებოდა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამართლწარმოება წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავის გადაწყვეტის მიზნით საქმისწარმოების პროცესს, რომელიც მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების რეალიზების პროცესუალური საშუალებაა. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირად ჩაბმა უზრუნველყოფს ამ პირის სამართლებრივი (სამართლის ნორმებით დაცული) ინტერესებისა და უფლებების დაცვას, საქმის ყოველმხრივ განხილვას, პროცესის ეკონომიკურობას, სამართლებრივ უზრუნველყოფას. საქმეში მესამე პირად ჩასაბმელი პირის სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება მისი როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ასევე პროცესუალურ-სამართლებრივი დაინტერესებით საქმის მსვლელობისადმი. მესამე პირთა ინსტიტუტი, რომელიც ადმინისტრაციული პროცესის მნიშვნელოვან ინსტიტუტს განეკუთვნება, შესაძლებლობას ანიჭებს საქმეში ამ სტატუსით მონაწილე პირებს მოახდინონ თავიანთი კერძო, სუბიექტურ ინტერესების დაცვა ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში. მესამე პირთა ინსტიტუტი მოქმედებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ წარმოადგენენ ადმინისტრაციული პროცესის მხარეებს, მაგრამ შესაძლოა სასამართლოს გადაწყვეტილებით განესაზღვროთ გარკვეული უფლებები და მოვალეობები. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა განასხვავებს მესამე პირთა ორ კატეგორიას – მარტივ და სავალდებულო მოწვევის მესამე პირებს.

ამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირთა

მარტივი მოწვევა სასამართლოს უფლებამოსილებას განეკუთვნება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სავალდებულო მოწვევა – სასამართლოს ვალდებულებას.

მესამე პირების ინსტიტუტი უფლებას აძლევს მათ მოახდინონ საკუთარი კერძო, სუბიექტური ინტერესების დაცვა და რეალიზება ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში. მესამე პირების ინსტიტუტის საფუძველს ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი ქმნის. საპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი მესამე პირებად საქმეში ჩაბმის აუცილებლობას ადგენს იმ პირების მიმართ, რომლებიც არიან სადაც სამართალურთობის მონაწილეები, რომელთან მიმართებაშიც მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი, ანუ ასეთი პირები იმგვარად არიან დაკავშირებული სადაც სამართალურთობასთან, რომ სასამართლოს მიერ ამ დავის გადაწყვეტის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება გავლენას მოახდენს ამ ურთიერთობასთან დაკავშირებულ, კანონით დაცულ მათ უფლებებსა და ინტერესზე.

საპელაციო სასამართლო მიიჩნია, რომ განმცხადებელი მ. ჩ.-ი არ წარმოადგენს იმ სამართალურთოერთობის მხარეს, რაზედაც გასაჩივრებული გადაწყვეტილებაა გამოტანილი, ამასთან მის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ არ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, შესაბამისად, იგი მხარედ არ უნდა ყოფილიყო მოწვეული ა. ზ.-ის სარჩელით წარმოებულ საქმეში, ხოლო მისი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირის სტატუსით საქმეში ჩართვა სასამართლოს უფლებამოსილებას განეკუთვნება და არა ვალდებულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლები, რის გამოც მ. ჩ.-ს განცხადების დაკმაყოფილებაზე უნდა ეთქვას უარი.

რაც შეხება განმცხადებლის მოთხოვნას საქართველოს სამქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად,

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მ. ჩ-ი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილების მხარე არ არის. მითითებული გადაწყვეტილება მიღებულია ა. ზ-ის სარჩელისა გამო აღმრულ დავაზე, მოპასუხე – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ.

გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების განმარტების შიზანია მხარეთა ან აღმასრულებლის მოთხოვნით გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არსებული ბუნდოვანების აღმოფხვრა, რაც ემსახურება გადაწყვეტილების აღსრულების მიზანს. პირი, რომელიც საქმეში არ წარმოადგენს მხარეს, საპროცესო კანონმდებლობა არ ანიჭებს უფლებამოსილებას, მოითხოვოს გადაწყვეტილების განმარტება, ვინაიდან მის ინტერესს გადაწყვეტილების აღსრულება არ წარმოადგენს.

შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მ. ჩ-ს უარი უნდა ეთქვას გადაწყვეტილების განმარტებაზე, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი მხოლოდ მხარეებს და აღმასრულებელს აძლევს საშუალებას მოითხოვოს გადაწყვეტილების განმარტება, მხოლოდ მისი აღსრულების ხელშეწყობის მიზნით.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ჩ-მა, რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 14 ივლისის განჩინების გაუქმება მოითხოვა, კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოში ა. ზ-ის სარჩელისა გამო წარმოებულ საქმის განხილვის პროცესში მ. ჩ-ი, როგორც სადაცო ქონების მესაკუთრე, არ იყო ჩაბმული საქმეში მხარედ. მისი მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა 2012 წელს და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანა 2010 წლის 16 ნოემბრის საჯარო რეესტრის ამონანერის საფუძველზე, არის უკანონო, სრული და ობიექტური განხილვის გარეშე მიღებული, მაშინ როდესაც მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი უთითებდა ორი საკადასტრო კოდის არსებობის გამო უძრავი ქონების იდენტურობის დადგენის შესაძლებლობაზე.

კერძო საჩივრში აღნიშნულია, რომ მ. ჩ-ის, როგორც მესაკუთრის კანონით გათვალისწინებულ, საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ საკუთრების უფლებას და სამოქალაქო

კოდექსით გათვალისწინებულ მესაკუთრის ინტერესს შეეხო უშუალოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ვინაიდან გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას უშუალოდ მის მიმართ მოჰყვა სამართლებრივი შედეგი-საჯარო რეესტრში უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. თბილისი, ... ქ. №42, ბინა №10 ს.კ ..., მ. ჩ-ის 2011 წლის 9 დეკემბრიდან რეგისტრირებული საკუთრების უფლების რეგისტრაცია გაუქმდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 14 ივლისის განჩინების გაუქმება, რომლითაც არ დაემაყოფილდა მ. ჩ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე და ამავე გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და წარმოდგენილი კერძო საჩივრის მოტივების გაცნობის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ. ჩ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 14 ივლისის განჩინება, შემდევ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წანამდღვრები. ამავე კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე. ამავე მუხლის მეორე ნაწილით, აღნიშნული საფუძვლებით გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ შეიძლება, თუ მხარეს შეეძლო ამ საფუძვლების წამოყენება საქმის განხილვისას, შესაბამისად, პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

საქმის მასალების მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილებით ა. ზ-ის საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

აპელაციონ საჩივარი დაქმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება; მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 16 ნოემბრის №... გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და სრული გამოკვლევის შემდეგ ახალი გადაწყვეტილების მიღება, ც. კ-ის 2010 წლის 10 ნოემბრის №... განცხადებაზე.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 16 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით, რომელიც წარმოადგენდა მოცემულ საქმეზე სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, განხორციელდა ც. კ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია ბინაზე, მდებარე ... ქუჩა №42, ზონა თბილისი, სექტორი ჩუღურეთი.

საქმეში დაცული მასალებით ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 მარტის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირის სტატუსით ჩაბმული იქნა ც. კ-ე, რომელსაც უშუალოდ ეხებოდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად ცნობილი სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღება ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

ც. კ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი გახდა 1993 წლის 10 ნოემბრის ჩუქების ხელშეკრულება, გაფორმებული ნ. შ-სა და ც. კ-ეს შორის, სანოტარო წესით. უძრავ ნივთს მიზიჭებული აქვს საკადასტრო კოდი №.... . სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოკვლეულ იქნა ის გარემოება, რომ სადავო ფართი რეგისტრირებული იყო ორი სხვადასხვა საკადასტრო კოდით. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საჯარო რეესტრის წარმომადგენლის განმარტება იმის შესახებ, რომ რადგან უძრავი ქონება არ იყო საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული საერთაშორისო კოორდინატთა სისტემაში დამზადებული ნახაზის (გეგმის) საფუძველზე, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა აღნიშნულ უძრავ ქონებათა ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა, №... და №... საკადასტრო კოდების მქონე

უძრავ ნივთთა იდენტურობა ვერ დადგინდებოდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცა საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივი გარემოებებისათვის და უნდა შეემოწმებინა, არსებობდა თუ არა წინააღმდეგობა მასთან ჯერ კიდევ 2002 წელს დ. ხ-ზე, 2009 წელს ა. ზ-ზე და შემდგომ უკვე ც. კ-ის სახელზე რეგისტრირებულ მონაცემებს შორის და მასზე დაყრდნობით გამოიცა ახალი აქტი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სასამართლოსათვის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით მინიჭებული პროცესუალური უფლებამოსილებაზე – სადაც ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა დავის გადაუწყვეტლად და ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი აქტის გამოცემის დავალება, რომლის გამოყენება გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მიზნით სრული ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გალლებულებას, ყველა პროცედურული სტადიის გათვალისწინებით, რომელიც კანონით დაგენილია ამგვარი აქტის გამოსაცემად.

საკასაციო სასამართლო სრულიად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებებს მესამე პირის პროცესუალურ ინსტიტუტის მნიშვნელობასთან დაკავშირებით და დამატებით განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში პირის პროცესუალური უფლებების უზრუნველყოფა პირდაპირ კავშირშია მის მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების არსებობის ფაქტთან. მესამე პირის პროცესუალური ინსტიტუტი პირს აძლევს შესაძლებლობას, საპროცესო უფლებების გამოყენების გზით უზრუნველყოს მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების დაცვა. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სარჩელის ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები და მოცემულ საქმეში წარმოდგენილი დავის საგანი (რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 16 ნოემბრის №... გადაწყვეტილების კანონიერების შესწავლის საკითხი) არ ქმნის გამოცხადებლის უშუალოდ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი სადაც მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ მიჩნევის საფუძვლს, რაც გამორიცხავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს მ. ჩ-ის კერძო საჩიგარს გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

262-ე მუხლის საფუძველზე გადაწყვეტილების განმარტება ემ-სახურება გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობას, ამი-ტომ აღნიშნული მუხლის დეფინიცია მხოლოდ მხარეებს და აღ-მასრულებელს აძლევს საშუალებას მოითხოვონ გადაწყვეტი-ლების განმარტება, შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორი გა-დაწყვეტილების განმარტების თაობაზე განცხადების წარმდგენ სუბიექტს არ წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამარ-თლოს მიაჩნია, რომ მ. ჩ-ის კერძო საჩივარი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას, შესაბამისად არ არსებობს თბილისის საპე-ლაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების მატერიალური და პროცესუალური საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილით, 422-ე, 262-ე, 420-ე, 429-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ჩ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 14 ივნისის გან-ჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

სავალდეპულო მონიციალის მესამე პირად ჩაბეჭა

განერიცხა

№ბს-399-393(ქს-15)

17 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: საქმეში მესამე პირად ჩაბმა

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 10 აპრილს ნა. გ-მა სასარჩელო განცხადებით მი-
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მობასუხის – საქარ-
თველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2004 წელს, მამის გარდაცვალე-
ბის შემდეგ, მას და მის და-ძმას მემკვიდრეობით ერგოთ მამის
დანაშთი ქონება, მათ შორის გორის რაიონის, სოფ. ... მდებარე
მცირე ჰიდროელექტროსადგური „...“. მოსარჩელის მამამ – გი.
გ-მა ეს ქონება მიიღო ან გარდაცვლილი მეუღლისგან – ზ. ე-
ისგან, რომელმაც ეს უკანასკნელი შეიძინა 1993 წელს აუქციო-
ნის წესით. გ., ნა. და ზ. გ-ებისთვის ცნობილი გახდა, რომ მათი
ქონება ეკონომიკის სამინისტრომ 2011 წლის 4 ნოემბრის წერი-
ლების: №05/25157, №05/25158, №05/25159 საფუძველზე, ...,
..., ... საკადასტრო კოდებით, დაარეგისტრირა სახელმწიფოს სა-
ხელზე, ხოლო შემდეგ 2012 წლის 14 თებერვლის №1-1/478 პრდა-
ნების საფუძველზე ჩატარებული აუქციონის შედეგად და 2012
წლის 12 მარტის №201202149301 ხელშეკრულების საფუძველ-
ზე გაასხვისა.

2013 წლის 14 ნოემბერს ნა. გ-მა საჩივრით მიმართა საქარ-
თველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
და აუქციონის შედეგებისა და გასხვისების ხელშეკრულების ბა-
თილად ცნობა მოითხოვა, მაგრამ ნა. გ-მა ეკონომიკის სამინის-
ტროს 2014 წლის 5 მარტის №16/1307 წერილით საჩივრის დაკ-
მაყოფილებაზე უარი მიიღო იმ მოტივით, რომ ..., ..., ... საკადას-
ტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ნივთებზე სახელმწი-
ფოს საკუთრების დარეგისტრირებამდე არ დგინდებოდა გ., ნა.
და ზ. გ-ების საკუთრების ან/და სარგებლობის უფლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნა. გ-მა უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 4 ნოემბრის №05/25157, №05/25158, №05/25159 აქტების, აუქციონის ჩატარების შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 14 თებერვლის №1-1/478 ბრძანებისა და მის საფუძველზე ჩატარებული აუქციონის შედეგების, ასევე, აუქციონის შედეგების გადასინჯვისა და ქონების დაბრუნებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2014 წლის 5 მარტის №16/1307 აქტის ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 აპრილის განჩინებით ნა. გ-ის სასარჩელო განცხადება, მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, განსჯადობით გადაეცა უფლებამოსილ – გორის რაიონულ სასამართლოს.

გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 29 აპრილის განჩინებით საქმეში მესამე პირებად ჩაეტან 6. და გ. გ-ები, შპს „...“ და სს „...“.

გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 19 ივნისის გა-
დაწყვეტილებით ნა. გ-ის სარჩევი არ დაკმაყოფილდა.

გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ნა., 6. და გ. გებმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

ნა., ნ. და გ. გ-ებმა სააპელაციო სასამართლოში წარმოადგინეს დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი, რომლითაც აღდრეს შეუძლებელობა სისი შემოსავლების სამსახურის საქმეში მე-3 პირად ჩართვის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე სსიპ შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმა ასევე სსიპ შემოსავლების სამსახურის საქმეში მე-3 პირად ჩართვის თაობაზე იშუამდგომლა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის საოქმო განჩინებით აპელაციების: გ., ნა. და ნ. გ-ების, აგრეთვე სსიპ შემოსავლების სამსახურის შუამდგომლობა ამ უკანასკნელის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით საქმეში მე-3 პირად ჩართვის შესახებ, არ დაკმაყო-

ფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 4 ნოემბრის №05/25157, №05/25158, №05/25159 აქტების, აუქციონის ჩატარების შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 14 თებერვლის №1-1/478 ბრძანებისა და მის საფუძველზე ჩატარებული აუქციონის შედეგების, ასევე, აუქციონის შედეგების გადასინჯვისა და ქონების დაბრუნებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2014 წლის 5 მარტის №16/1307 აქტის ბათილად ცნობა. შესაბამისად, დავის საგნიდან გამომდინარე, სსიპ შემოსავლების სამსახური არ იყო იმ სამართლურ-თიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის საოქმო განჩინებაზე კერძო საჩივრარი წარადგინეს გ., ნა. და ნ. გ-ებმა, რომლებმაც გასაჩივრებული საოქმო განჩინების გაუქმება მოითხოვეს.

კერძო საჩივრის ავტორების განმარტებით, მემკვიდრეობის მიღებისას მცირე ჰიდროელექტროსადგურ „...“ შენობა-ნაგებობებზე, სსიპ შემოსავლების სამსახურის 282 000 ლარის ოდნობით დავალიანების უზრუნველსაყოფად, რეგისტრირებული იყო გირავნობა/იპოთეკა და ყადაღა. აქედან გამომდინარე, მათ მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოტივირებული შუამდგომლობით, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში მე-3 პირად ჩაერთო სსიპ შემოსავლების სამსახური.

კერძო საჩივრის ავტორების მითითებით, მიუხედავად მათი და სსიპ შემოსავლების სამსახურის დასაბუთებული მოთხოვნისა, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ისე თქვა უარი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რომ არ უმსჯელია უარის მიზეზზე. ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა არც სახელმწიფოს და არც გ., ნა. და ნ. გ-ების ინტერესები იმის შესახებ, რომ 2015 წლის 22 აპრილის საოქმო განჩინებით ზიანი ადგება როგორც სახელმწიფოს, ისე მათ, რადგან ვერც სსიპ შემოსავლების სამსახური შეძლებს თავისი ინტერესის დაცვას და ვერც გ-ები დაფარავენ დავალიანებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ივნისის განჩინებით წარმოებაზე იქნა მიღებული გ., ნა. და ნ. გ-ების კერძო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შემოწმა გ., ნა. და ნ. გ-ების კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული საოქმო განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის საოქმო განჩინებით გ., ნა. და ნ. გ-ებს და სსიპ შემოსავლების სამსახურს უარი ეთქვათ ამ უკანასკნელის საქმეში მე-3 პირად ჩართვაზე იმ მოტივით, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩართული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. მოცემულ საქმეზე კი დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მესამე პირების ინსტიტუტი უფლებას აძლევს მათ მოახდინონ საკუთარი, კერძო, სუბიექტური ინტერესების დაცვა და რეალიზება ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში. მესამე პირების ინსტიტუტის საფუძველს ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი ქმნის. ამასთან, აღნიშნული მუხლის თანახმად, კანონმდებელი განასხვავებს მესამე პირების ჩვეულებრივ და სავალდებულო (აუცილებელ) ჩაბმას. მე-16 მუხლის პირველი ნაწილი მესამე პირთა ჩვეულებრივი წესით ჩაბმის ფორმულირებას შეიცავს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილი – სავალდებულო, აუ-

ცილებელი ჩაბმის ფორმულირებას. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა ჩვეულებრივ და სავალდებულო ფორმით ჩაბმას შორის განსხვავებას მნიშვნელობა ენიჭება სწორედ მათთვის საპროცესო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მინიჭების თვალსაზრისით. საყურადღებოა, რომ ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივი ჩაბმის დროს გადამწყვეტია მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესი, ხოლო რაც შეეხება ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა აუცილებელ, სავალდებულო ჩაბმას, ამ დროს სამართლებრივი ინტერესის პარალელურად მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით მესამე პირთა უფლებები და მოვალეობები შეიძლება განისაზღვროს.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქმეში მესამე პირების ჩაბმაზე უარის თქმა სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს, რაზეც გამოაქვს მოტივირებული განჩინება მესამე პირის საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ, რაც შემდგომ დაინტერესებულმა მხარემ შეიძლება კერძო საჩივრით გაასაჩივროს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურს გ., ნა. და ნ. გ-ების უძრავ ქონებაზე გირავნობა/იპოთეკა ჰქონდა გაფორმებული, მის მიმართ ერიცხებოდათ დავალიინება და ამით ზიანი ადგებოდა სსიპ შემოსავლების სამსახურს, ვინაიდნა საქმის მასალებით დადგენილია, რომ სს „გა...“ და სს „გ...“ შორის 1999 წლის 16 მარტს დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა იმ დროისათვის სს „გ...“ საკუთრებაში არსებული „...“ შენობა-ნაგებობები. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 17 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სს „გა...“ სარჩელი დაკმაყოფილდა და სს „გ...“ მის სასარგებლოდ დაეკისრა 323,059,62 ლირარის გადახდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2010 წლის 10 სექტემბერს, თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 17 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საფუძველზე, გაიცა სააღსრულებო ფურცელი, სადაც კრედიტორად სს „გა...“ ნაცვლად მიეთითა სს „...“, ხოლო მოვალედ სს „გ...“ ნაცვლად – გ., ნა. და ნ. გ-ები. ამდენად, შემოსავლების სამსახურის გირავნობა/იპოთეკა გაფორმებული იყო გ-ების საკუთრებაში არსებულ მინის ნაევეთზე, საკადასტრო კოდი ..., რომელზეც 2010 წლის 10 სექტემბერს სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი აღსრულ-

და და აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე გახდა „...“, რომელმაც ასევე დაფარა დავალიანება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ გ., ნა. და ნ. გ-ებს სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ არავითარი დავალიანება არ გააჩნიათ.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2011 წლის 4 ნოემბრის ნერილების №05/25157, №05/25158, №05/25159 საფუძველზე სულ სხვა ..., ..., ... საკადასტრო კოდებით სახელმწიფოს სახელზე დაარეგისტრირა უძრავი ქონება. აღნიშნული აქტები გასაჩივრებულია გ., ნა. და ნ. გ-ების მიერ, მაგრამ საჯარო რეესტრის ამონანერებიდან ჩანს, რომ მათზე არავითარი გირავნობა/იპოთეკა არ არის რეგისტრირებული და არც გუბს გააჩნიათ დავალიანება შემოსავლების სამსახურის მიმართ. ასევე, შემოსავლების სამსახურის ნერილებში არ არის მითითება, რომ ნამდვილად არსებობს დავალიანება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის საოქმო განჩინებით განსახილველი სამართალურთიერთობის მიმართ გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებას და მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩართული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. მოცემულ საქმეზე კი დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, შესაბამისად, სსიპ შემოსავლების სამსახური არ არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. ამასთან, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკასა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2011 წლის 4 ნოემბრის ნერილების №05/25157, №05/25158, №05/25159 საფუძველზე ..., ..., ... საკადასტრო კოდებით სახელმწიფოს სახელზე დარეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე არავითარი გირავნობა/იპოთეკა არ არის რეგისტრირებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ., ნა. და ნ. გ-ების კერძო საჩივარი უსაფუძლოა და არ უნდა დაკავშიროვილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული საოქმო განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ., ნა. და ნ. გ-ების კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისს საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის სა-ოქმო განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

მესამე პირად მარტივი ფორმით ჩატანა

განცილება

№ბს-739-731(ქს-15)

28 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
3. როინიშვილი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღნერილობითი ნაწილი:

2014 წლის 17 სექტემბერს თ. ა-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – ქ. ბათუმის მერიისა და ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენის გა-მო თ. ა-ის დაჯარიმების, უნებართვოდ განხორციელებული მშე-ნებლობის დემონტაჟის თაობაზე ქ. ბათუმის მერიის ზედამხედ-ველობის სამსახურის 2014 წლის 18 ივნისის №305 დადგენილე-ბისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უა-რის თქმის შესახებ ქ. ბათუმის მერიის 2014 წლის 1 სექტემბრის

№503 ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელემ ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2014 წლის 18 ივნისის №305 დადგენილების მოქმედების შეჩერების თაობაზე იშუამდგომლა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2014 წლის 19 სექტემბრის განჩინებით თ. ა-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; შეჩერდა სამშენებლო სამართლდარღვევის ჩადენის გამო თ. ა-ის დაჯარიმების, უნებართვოდ განხორციელებული მშენებლობის დემონტაჟის თაობაზე ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2014 წლის 18 ივნისის №305 დადგენილების მოქმედება, დავაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

2014 წლის 21 ნოემბრს 6. ვ-ემ განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომლითაც საქმეში მესამე პირად ჩაბმა მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2014 წლის 25 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება 6.

3-ე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2015 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით თ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2014 წლის 18 ივნისის №305 დადგენილება და ქ. ბათუმის მერიის 2014 წლის 1 სექტემბრის №503 ბრძანება უნებართვო მშენებლობის დემონტაჟის ნაწილში; თ. ა-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2015 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა 6. ვ-ემ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ივნისის განჩინებით მესამე პირის 6. ვ-ის სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებაზე დაუშვებლობის გამო განუხილველი დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 6. ვ-

ე მესამე პირის სახით განსახილველი ადმინისტრაციული საქმის განხილვაში ჩაბმულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით. ამ მიმართებით საპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო უფლებამოსილია აცნობოს პირს, რომლის ინტრესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში შესამე პირად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელი. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე, 89-ე და 364-ე მუხლებზე.

სააპელაციო სასამართლომ მიჩნია, რომ ვინაიდნ სააპელაციო საჩივრის ავტორი საქმეში ჩაბმული იყო მესამე პირად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ე.ო. იმ საფუძვლით, რომ სასამართლო აქტი შეიძლება შეხებოდა მის ინტერესებს, იგი არ იყო უფლებამოსილი გაესაჩივრებინა გადაწყვეტილება სააპელაციო ნესით, მითუმეტეს, როდესაც აპელანტი სააპელაციო საჩივრით მისი მესამე პირად ჩაბმის განჩინების კანონიერებას სადაც არ ხდის. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ სასამართლო სხდომაზე შეამონება გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დამდგარი სამართლებრივი შედეგი აპელანტის უფლებებსა და მოვალეობებზე გავლენის მოხდენის და შესაბამისად მისი, როგორც მესამე პირის მხარედ (სასკ-ის 16.2 მუხლი) მიჩნევის თავალსაზრისით და მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გააძახვილა იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ შენობანაგებობის დემონტაჟის ნაწილში გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის საფუძვლად მიუთითა ამ აქტების გამოცემამდე რეკონსტრუირებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში მოსარჩელის საკუთრების უფლებით რეგისტრაცია, რა მიმართებით სასამართლომ გამოიყენა დადგენილი პრაქტიკა. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რეკონსტრუირებული უძრავი ქონების მიმართ საჯარო რეესტრში 2010 წლის 20 ოქ-

ტომბერს განხორციელებული რეგისტრაცია და მისი საფუძველი – ამხანაგობა „...“ კრების ოქმი №9, აპელანტს სადაცოდ არ გაუხდია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მიხედვით კი, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმაცია. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტს კანონით დაცული უფლების დარღვევის შემთხვევაში, თუკი იგი თვლიდა, რომ ამ მშენებლობით შეიღახა იმავე ამხანაგობის კრების ოქმით მასზე გადაცემულ სხვენზე საკუთრების უფლება, შეეძლო სარჩელი შეეტანა ამხანაგობის კრების ოქმის ან რეესტრის ჩანაწერის მიმართ, ხოლო ამ ჩანაწერის და მისი საფუძვლის უდავონობის პირობებში აპელანტი ვერ მიიჩნევა სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების მქონე სუბიექტად.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 25 ნოემბრის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეში 6. ვ-ის მესამე პირად ჩაბმის შესახებ, მიუთითა, რომ იგი არ წარმოადგენდა სამართალურთიერთობის სავალდებულო მონაწილეს, საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება შეხებოდა მის ინტერესებსაც, თუმცა მოცემული დავის განხილვის შედეგად სასამართლოს მიერ არ მიიღებოდა საერთო გადაწყვეტილება.

ფაქტობრივი გარემოებებისა და მითითებული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებულმა გადაწყვეტილებამ არ შეიძლება რაიმე უარყოფითი გავლენა იქონიოს აპელანტის, როგორც მესამე პირის კანონით დაცულ უფლებებსა და ინტერესზე. შესაბამისად, იგი არ წარმოადგენს იმ სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტს, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელი, რაც სწორად იქნა შეფასებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან მისი შესამე პირად ადმინისტრაციულ პროცესში ჩაბმისას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ივლისის განჩინება კერძმი საჩივრით გაასაჩივრა 6. ვ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპიდან საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა.

კერძმი საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015

წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება გაასაჩივრა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საქმეში ჩაბმული მესამე პირის სტატუსით, ვინაიდან, სასამართლომ დაუსაბუთებლად ჩააბა იგი საქმეში მესამე პირად სავალდებულო მოწვევის გარეშე. ამასთან, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განჩინება პირის მესამე პირად საქმეში ჩაბმის შესახებ არ საჩივრდება, იგი იძულებული იყო დაჰყოლოდა სასამართლოს ნებას.

კერძო საჩივრის ავტორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს გასაჩივრებულ განჩინებას და მიუთითებს, რომ უნებერთვო მშენებლობის შედეგად თ. ა-ს მითვისებული აქვთ მისი საკუთრება. აღნიშნულის მიუხედავად, გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ ჩათვალა, რომ იგი არ იყო უფლებამოსილი გაესაჩივრებინა მისი საკუთრების ხელყოფა, რამიც დამატებით ხელს უშლის დადგენილი სასამართლო პრაქტიკაც. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, თუ დადგენილი სასამართლო პრაქტიკა იცავს მოწინააღმდეგ მხარეს, მის საკუთრების უფლებას იცავს საქართველოს კონსტიტუცია.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მასზე უნდა გავრცელდეს სამართლიანი სასამართლოს უფლების შესახებ ჩამოყალიბებული სტანდარტები. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მითითებას კი კერძო საჩივრის ავტორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს, ვინაიდან, მისი მტკიცებით, განსახილველი დავა განსხვავდება მითითებული შემთხვევისგან; მიღებული გადაწყვეტილების დასასაბუთებლად მოხმობილი უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება განსახილველი სამართალურთიერთობის ანალოგიური უნდა იყოს.

კერძო საჩივრის ავტორი ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებისას სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებზე მითითებას.

ამასთან, კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტზე პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მიზნით მისგან მიტაცებული საკუთრების რეესტრში უკანონო რეგისტრაცია არ უნდა ხდებოდეს უძრავი ქონების დაკანონების საშუალება.

კერძო საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ სადაცო ფართის თ. ა-ის საკუთრებად რეგისტრაციაზე მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით მი-

სი სარჩელი ბათუმის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 დეკემბრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული ნ. ვ-ის კერძო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიმჩნევს, რომ ნ. ვ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ივლისის განჩინებით მესამე პირის ნ. ვ-ის სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებაზე დაუშვებლობის გამო განუხილველი დარჩა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან სააპელაციო საჩივრის ავტორი საქმეში ჩაბმული იყო მესამე პირად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ე.ო. იმ საფუძვლით, რომ სასამართლო აქტი შეიძლება შეხებოდა მის ინტერესებს, იგი არ იყო უფლებამოსილი გაესაჩივრებინა გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. ამასთან, ფაქტობრივი გარემოებებისა და მითითებული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებულმა გადაწყვეტილებამ არ შეიძლება რაიმე უარყოფითი გავლენა იქნიოს აპელანტის, როგორც მესამე პირის კანონით დაცულ უფლებებსა და ინტერესზე. იგი არ წარმოადგენს იმ სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტს, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

საკასაციონ სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას სადაც საკითხის მიმართ და დამატებით განმარტავს, რომ მესამე პირების ინსტიტუტი უფლებას აძლევს მათ მოახდინონ საკუთარი კერძო, სუბიექტური ინტერესების დაცვა და რეალიზება ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში. მესამე პირების ინსტიტუტის საფუძველს ადმინისტარციულ კანონმდებლობაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი ქმნის. ამასთან, აღნიშნული მუხლის თანახმად, კანონმდებელი განასხვავებს მესამე პირების ჩვეულებრივ და სავალდებულო (აუცილებელ) ჩაბმას. მე-16 მუხლის პირველი ნაწილი მესამე პირთა ჩვეულებრივი წესით ჩაბმის ფორმულირებას შეიცავს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილი – სავალდებულო, აუცილებელი ჩაბმის ფორმულირებას. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა ჩვეულებრივ და სავალდებულო ფორმით ჩაბმას შერის განსხვავებას მნიშვნელობა ენიჭება სწორედ მათვის საპროცესო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მინიჭების თვალსაზრისით. საყურადღებოა, რომ ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივი ჩაბმის დროს გადამწყვეტია მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესი, ხოლო რაც შეეხება ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა აუცილებელ, სავალდებულო ჩაბმას, ამ დროს სამართლებრივი ინტერესის პარალელურად მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით მესამე პირთა უფლებები და მოვალეობები შეიძლება განისაზღვროს.

ამასთან, საკასაციონ სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში მესამე პირების სავალდებულო მოწვევა სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა უფლებით და მას ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით მესამე პირთა ჩაბმა სასამართლოს უფლებამოსილებაა. ასეთი წესით ჩაბმული მესამე პირები არ სარგებლობენ მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა უფლებით.

საკასაციონ სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16-ე მუხლის მე-2 ნაწილი მესამე პირებად საქმეში ჩაბმის აუცილებლობას ადგენს იმ პირების მიმართ, რომლებიც არიან სადაც სამართალურითერობის მონაწილეები, რომელთან მიმართებაშიც მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი, ანუ ასეთი

პირები იმგვარად არიან დაკავშირებულნი სადაც სამართა-ლურთიერთობასთან, რომ სასამართლოს მიერ ამ დავის გადაწყვეტილების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება გავლენას მოახდენს ამ ურთიერთობასთან დაკავშირებულ, კანონით დაცულ მათ უფლებებსა და ინტერესზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებაზე დაუშვებლობის გამო ნ. ვ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებასთან დაკავშირებით და მიუთითებს, რომ განსახილველ სამართლურთიერთობაში ნ. ვ-ე არ წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ და შესაბამისად, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების საპელაციო წესით გასაჩივრების უფლების მქონე პირს, რადგან მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია სამშენებლო სამართლდარღვევის ჩადენის გამო თ. ა-ის დაჯარიმების, უნებართვოდ განხორციელებული მშენებლობის დემონტაჟის თაობაზე ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2014 წლის 18 ივნისის №305 დადგენილებისა და თ. ა-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკავშირების უარის თქმის შესახებ ქ. ბათუმის მერიის 2014 წლის 1 სექტემბრის №503 პრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც მოსარჩელეს – თ. ა-ს დაეკისრა ფულადი ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით და დაევალა სამშენებლო სამუშაოების შეჩერება და ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა. განსახილველ შემთხვევაში, ნ. ვ-ე არ წარმოადგენს სადავო სამართლურთიერთობის მონაბილეს, რომელთან მიმართებაშიც მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ მიიჩნია ნ. ვ-ე იმ პირად, რომლის უფლებებსა თუ კანონით დაცულ ინტერესთან მიმართებაში რაიმე სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. სადავო საკითხის გადაწყვეტილი შედეგი გავლენას ვერ მოახდენს ნ. ვ-ის უფლებებსა და ინტერესებზე, რის გამოც იგი არ წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით მოცემულ საქმეში სავალდებულო წესით ჩასაბმელ მესამე პირს და სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილ სუბიექტს.

საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ ნ. ვ-ე სადავოდ ხდის თ. ა-ის საკუთრების უფლებას ქ. ბათუმში, ... ქ. №9-ში მდებარე სხვენზე. შესაბამისად, განსახილველი დავის

ფარგლებში, იმ პირობებში როდესაც სასამართლოს შეფასების საგანს თ. ა-ის დაჯარიმებისა და უნებართვოდ განხორციელებული მშენებლობის დემონტაჟის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების დადგენა წარმოადგენს, შეუძლებელია ნ. ვ-ემ იდავოს უძრავი ქონების თ. ა-ის სახელზე განხორციელებული რეგისტრაციის კანონიერებაზე. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მსჯელობის საგანს სცილდება და-ვა საკუთრების უფლებაზე ნ. ვ-ესა და თ. ა-ს შორის, ხოლო თა-ვის მხრივ ნ. ვ-ეს სადავო უძრავი ქონების თ. ა-ის სახელზე განხორციელებულ რეგისტრაციის გასაჩივრებით შესაძლებლობა ეძლევა იდავოს ქ. ბათუმში, ... ქ. №9-ში მდებარე სხვენის სა-კუთრების უფლებაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს საა-პელაციო სასამართლოს დასკვნას მოცემულ შემთხვევაში და-უშვებლობის გამო ნ. ვ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილვე-ლად დატოვებასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ ნ. ვ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაემაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ვ-ის კერძო საჩივარი არ დაემაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ივლისის გან-ჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

მესამე პირის ჩაბოლის საკითხები

განერიცვა

№ბს-185-184(ქს-16)

26 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

კ. ა-ემ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში
ქ. ბათუმის მერიისა და ა. ჯ-ის მიმართ, რომლითაც მოითხოვა
„არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის
ნებართვის გაცემის შესახებ“ ქ. ბათუმის აღმასრულებელი ორ-
განოს – საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 1 აგვისტოს
№02/1567 ბრძანების ბათილად ცნობა, ქ. ბათუმის აღმასრუ-
ლებელი ორგანოს – საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 2013
წლის 1 აგვისტოს გაცემული, სმ №000413 მშენებლობის სანე-
ბართვო მოწმობის ბათილად ცნობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 ოქტომბრის
გადაწყვეტილებით კ. ა-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-
და; ბათილად იქნა ცნობილი „არქიტექტურული პროექტის შე-
თანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“
თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს –
საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 1 აგვისტოს №02/1567
ბრძანება, ქ. ბათუმში, ... გამზ. №56-ში მდებარე 2136 კვ.მ არა-
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთზე არსებუ-
ლი საცხოვრებელი სახლის სარდაფზე კარის და ჩასასვლელი
კიბის (ვიტრაჟის) მოწყობის მიზნით მშენებლობის ნებართვისა
და მის საფუძველზე მშენებლობის სანებართვო მოწმობის გა-
ცემის ნაწილში; კ. ა-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმა-
ყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 ოქტომბრის
გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. ბათუმის
მუნიციპალიტეტის მერიამ, ა. ჯ-მა და კ. ა-ემ.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე ა. ჯ-ის წარმომადგე-
ნელმა ვ. ლ-ამ მოცემულ საქმეში მესამე პირად ბინათმესაკუთ-

რეთა ამხანაგობა „....“ ჩაბმა მოითხოვა, იმ საფუძვლით, რომ იგი არის სადაც სამართალურთიერთობის მონაწილე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 12 თებერვლის განჩინებით ა. ჯ-ის წარმომადგენელის – ვ. ლ-ას შუამდგომლობა საქმეში მესამე პირად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „....“ ჩაბმის შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეეხება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „....“ ინტერესებს, ამასთან, იგი ასევე მიჩნეული ვერ იქნება სავალ-დებულო მესამე პირად, რამდენადაც არ წარმოადგენს სადაც სამართალურთიერთობის მონაწილეს, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული დავის საგანს წარმოადგენს „არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“ ქ. ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს – საკურებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 1 აგვისტოს №02/1567 ბრძანების კანონიერება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „....“ კრების ოქმების კანონიერება, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით არ განიხილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ა. ჯ-მა კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი აზრით, სასამართლო გადაწყვეტილება გაულენას მოახდენს ბმა „....“ საკუთრებაზე, რაც სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება და მიიჩნევს, რომ ა. ჯ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

საკასაციო სასამართლო ამონტებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ხოლო 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივრს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ არ არსებობს მოცემულ საქმეში ბმა „...“ მესამე პირად ჩაბმის საფუძველი.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო უფლებამოსილია აცნობოს პირს, რომლის ინტრესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩაბას იგი საქმეში მესამე პირად. მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელი.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, კანონმდებელი განასხვავებს მესამე პირების მარტივ და სავალდებულ (აუცილებელ) ჩაბმას. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა სავალდებულო ჩაბმის ფორმა სახეზე, თუ მესამე პირი იმ სამართალურთიერთობის მონაწილეა, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივი ჩაბმის დროს გადამწყვეტია მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესები, ხოლო რაც შეეხება აუცილებელ, სავალდებულო ჩაბმას, ამ დროს სამართლებრივი ინტერესის პარალელურად მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით მესამე პირთა უფლებები და მოვალეობებიც შეიძლება განისაზღვროს. სასკ-ის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირების იურიდიულ ინტერესებს სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება შეეხოს პოტენციურად, სავარაუდოდ. მესამე პირთა ასეთ დიფერენციაციას განაპირობებს ის გარემოება, რომ სავალდებულო მოწვევის მესამე პირის (16.2 მუხლი) საქმეში ჩაბმა იმპერატიულად არის რეგლამენტირებული, ანუ პირი იმ სამართალურთიერთობის სუბიექტია, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანის არეალში.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ განსახილველი დავა ბმა „...“ იურიდიულ ინტერესს

საერთოდ არ ეხება.

მოცემული დავის საგანს წარმოადგენს „არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“ ქ. ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს – საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 1 აგვისტოს №02/1567 ბრძანების კანონიერება.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ბათუმის საქალაქო სასა-მართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით, რომელიც დღეისათვის კანონიერ ძალაშია შესული, კ. ა-ის სარჩელი ა. ჯ-ისა და ბინათმესაკუთრეთა ამხა-ნაგობა „...“ მიმართ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“ 2009 წლის 8 მაისის №42 კრების ოქმი, ქ. ბათუმში, ... გამზ. №56-ში მდებარე სახლის №36 ბინის ქვეშ არსებული 8,03 კვ.მ სარდაფისა და 3,84 კვ.მ. დე-რეფნის ა. ჯ-ისათვის საკუთრებაში გადაცემის ნაწილში. ასევე ბათილად იქნა ცნობილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“ 2013 წლის აპრილის №38 კრების ოქმი, ა. ჯ-ისათვის ვიტრაჟის მოწყობაზე ნებართვის გაცემის ნაწილში, ანუ, ამხანაგობის კრების ოქმები, რომლებიც წინ უსწრებდა მშენებლობის ნებარ-თვის გაცემას, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწ-ყვეტილებით უკვე ბათილადაა ცნობილი და ამ ოქმების კანო-ნიერების საკითხი განსახილველი ადმინისტრაციული დავის ფარგლებში არ განიხილება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ ამ საქმეზე მიღებულმა გადაწყვე-ტილებამ შეიძლება, რაიმე გავლენა მოახდინოს ამხანაგობის სა-კუთრების უფლებაზე, ვინაიდან, როგორც ზემოთ უკვე აღი-ნიშნა, ამხანაგობის კრების ოქმი, რომლითაც სადაც სარდა-ფის ნაწილი და დერეფანი ა. ჯ-ს გადაეცა, სასამართლოს კანო-ნიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილადაა ცნობილი. მოცემული დავის ფარგლებში სადაც ფართზე რომელიმე სუ-ბიქტის საკუთრების უფლების საკითხი არ განიხილება. დავის გადაწყვეტილებისათვის არსებითი გარემოება (ის ფაქტი, რომ სარ-დაფი, რომელზეც სადაც მშენებლობის ნებართვა გაიცა ა. ჯ-ის საკუთრება არა) უდავოდ დადგენილია სასამართლოს კანო-ნიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. ამ დავის ფარგლებში სასამართლოს კომპეტენციას არ წარმოადგენს იმ საკითხს გა-დაწყვეტა, რეალურად ვის ეკუთვნის სარდაფი, ამხანაგობის წევრების საერთო საკუთრებაა, თუ კ. ა-ის ინდივიდუალური სა-კუთრება.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამარ-

თლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ პმა „...“ მოცემული დავაში არ წარმოადგენს ასკ-ის მე-16 მუხლის არც პირველი და არც მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირს, ამდენად, მისი საქმეში ჩაბმის საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-16 მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ჯ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 12 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. საპროცესო ვალები

გასაჩივრების ვალის დენის დახურების პირობები

განვითარება

№ბს-343-333(ქს-13)

9 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღნერილობითი ნაწილი:

2011 წლის 23 აგვისტოს ტ. ნ-ემ სარჩელით მიმართა თბილი-
სის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე საქართველოს ფინან-
სთა სამინისტროს მიმართ ფულადი კომპენსაციის 20 000 ლა-
რის გადახდის თაობაზე „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტი-
კური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირე-
ბულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის
შესაბამისად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2013 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით
ტ. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს
ფინანსთა სამინისტროს ტ. ნ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 310
ლარის ანზაღაურება; დანარჩენ ნაწილში ეთქვა უარი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივ-
რა ტ. ნ-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტი-
ლების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკ-
მაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მაისის განჩინებით ტ. ნ-ის საა-
პელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად გადაწყვეტილების
სააპელაციო წესით გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი
14-დღიანი ვადის დარღვევის გამო.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბი-
ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-
ლეგიის 2013 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება აპელანტის
ჩაბარდა 2013 წლის 4 აპრილს, სააპელაციო საჩივარი კი ფოს-

ტის მეშვეობით წარადგინა 2013 წლის 19 აპრილს. სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა იწურებოდა 2013 წლის 18 აპრილის ოცდაოთხს საათზე, რაც გახდა ტ. ნ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ტ. ნ-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა იმ მოტივით, რომ სა-სამართლოს გზავნილი ჩაბარდა მის შვილს – ნ. ნ-ეს, რომელმაც დაახლოებით 7 დღის შემდეგ მამის სახლში დაბრუნებისას შემ-დეგ გადასცა მას სასამართლოს გზავნილი. კერძო საჩივრის ავ-ტორის მითითებით, სააპელაციო საჩივარს თანდართული ჰქონ-და განცხადება აღნიშნულის თაობაზე, რაზეც სასამართლოს არ უმსჯელია განჩინების გამოტანისას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკავაციო სასამართლო წარმოდგენილი მასალების, კერძო საჩივრის მოტივების გაცნობისა და გასაჩივრებული განჩინე-ბის კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მი-ვიდა იმ დასკვნამდე, რომ ტ. ნ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკ-მაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად დარჩეს თბილისის სა-აპელაციო სასამართლოს 2013 წლის 7 მაისის განჩინება, შემ-დეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გა-მოტანისას არ დაურღვევია სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნ-და გამოიყენებინა; სასამართლოს არ დაურღვევია საპროცესო ნორმები; სწორი შეფასება მიეცა საქმის მასალებს და განჩინე-ბა გამოტანილია მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის შესა-ბამისად.

საქმის მასალების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამარ-თლოს გადაწყვეტილება ტ. ნ-ეს გაეგზავნა მის მიერ მითითე-ბულ მისამართზე: ხელვაჩაური, სოფ. ... და ჩაბარდა ადრესატის სრულწლოვან შვილს – ნ. ნ-ეს (პირადი ნომერი ...) 2013 წლის 4 აპრილს, სააპელაციო საჩივარი კი ტ. ნ-ის მიერ სააპელაციო სა-სამართლოში წარდგენილ იქნა ფოსტის მეშვეობით 2013 წლის 19 აპრილს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 369.1. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად მიიჩნევა დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად.

საპროცესო კოდექსის VIII თავში, 70-78-ე მუხლებში რეგლამენტირებულია სასამართლო შეტყობინების და დაბარების წესი, რომელიც ასევე გამოიყენება დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარებასთან დაკავშირებით, რამდენადაც კანონმდებელი სსსკ-ის 369.1. მუხლი სწორედ მითითებულ წესთან აიგივებს დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის გადაცემას.

სსსკ-ის 71-ე მუხლის 1-ლი მუხლის შესაბამისად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით, ხოლო ამავე კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, უწყების მიმღები ვალდებულია, უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება, დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყება დაუყოვნებლივ ჩაბაროს ადრესატს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 12.1 მუხლის შესაბამისად, გასაჩივრების ვადის დენა იწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილე პირს სასამართლოს აქტით განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 13.2 მუხლი კი ავალდებულებს სასამართლოს ყველა გადაწყვეტილების, გან-

ჩინების, ბრძანების, დადგენილების ასლი, რომელიც ექვემდებარება იმავე ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრებას გაუგზავნოს მხარეებს ან მათ ნარმომადგენლებს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, და განმარტავს, რომ ტ. ნ-ეს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაეგზავნა საქმეში მითითებულ მისამართზე: ხელვაჩაური, სოფ. ..., 2013 წლის 1 აპრილს და ჩაბარდა შვილს – ნ. ნ-ეს 2013 წლის 4 აპრილს, შესაბამისად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 12.1 მუხლის საფუძველზე გასაჩივრების ვადის დენის დაწყება უკავშირდება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაგზავნის კანონისმიერი ვალდებულების შესრულებას. ანუ ვადის დენა დაიწყება, თუ მხარეს გაუგზავნილი გადაწყვეტილებით (განჩინებით, ბრძანებით, დადგენილებით) სწორად განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი, რაც მოცემულ შემთხვევაში დაცულია სააპელაციო სასამართლოს მიერ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია ვადები ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისათვის, როგორც სასამართლო-სათვის, ასევე მხარეთათვის, ამასთან, დადგენილია მხარეთათვის განსაზღვრულ საპროცესო ვადაში საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის შედეგები, კერძოდ: თუ მხარემ კანონით დადგენილ საპროცესო ვადაში არ შეასრულა საპროცესო მოქმედება, იგი კარგავს ამ მოქმედების შესრულების შესაძლებლობას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ტ. ნ-ის სრულწლოვან შვილს – ნ. ნ-ეს ჩაბარდა 2013 წლის 4 აპრილს სააპელაციო საჩივარი კი ტ. ნ-ის მიერ შეტანილია ფოსტის მეშვეობით 2013 წლის 19 აპრილს, სსსკ-ის 369.1. მუხლით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით, რამდენადაც სსსკ-ის 60.1. მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარის შეტანის ვადის დენა დაიწყო ტ. ნ-ის შვილის – ნ. ნ-ისათვის ჩაბარების დღიდან.

საკასაციო სასამართლო ვერ გაითვალისწინებს კერძო საჩივრის ავტორის მიერ კერძო საჩივარში მითითებულ გარემოებას იმის თაობაზე, რომ მისთვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარება მოხდა არა 4 აპრილს (როდესაც შვილმა ჩაიბარა), არამედ დაახლოებით 7 დღის შემდეგ, როდესაც შვილმა მას გზავნილი გადასცა უშუალოდ, საიდანაც უნდა დაიწყოს მისთვის გასაჩივრების ვადის ათვლა, შემდეგ გარემოებათა გამო: საპრო-

ცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საგამონაკლისო შემთხვევებს სასამართლო აქტის გასაჩივრების ვადის ათვლისას, კანონისმიერი საპროცესო ვადა სავალდებულოა ყველა პროცესუალური მონაწილისათვის, რაც გულისხმობს, რომ საპროცესო მოქმედება უნდა შესრულდეს კანონით დადგენილ ვადაში, შესაბამისად კონკრეტულ შემთხვევაში ვადის ათვლა უნდა დაიწყოს ტ. 6-ის შვილის – 6. 6-ის ჩაბარების დღიდან, ვინაიდან სასამართლო აქტის გასაჩივრების ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მხარეს ან ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს ჩაბარდა სასამართლო აქტი, კონკრეტულ შემთხვევაში კი, ტ. 6-ის შვილმა – 6. 6-ემ ჩაიბარა 2013 წლის 4 აპრილს, რასაც თავად კერძო საჩივრის ავტორიც ადასტურებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია არა მხოლოდ მხარეთა საპროცესო უფლებები, არამედ საპროცესო მოვალეობები. მხარის ერთ-ერთი ძირითადი უფლება – სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა შეიცავს საპროცესო ვალდებულებას, გაასაჩივროს გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში, რაც კონკრეტულ შემთხვევაში ტ. 6-ის მიერ უგულებელყოფილია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ტ. 6-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რამდენადაც სახეზე არ არის კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური წინაპირობები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური უმრავლესობამ იხელ-მძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 247.2-ე, 390-ე, 399-ე, 396-ე, 414-419-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. ტ. 6-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მაისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნის ვადა

განხილვა

№ბს-390-397(კ-კს-13) 3 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა

აღნერილობითი ნაწილი:

2012 წლის 27 აგვისტოს რ. ა-მა სასარჩელო განცხადებით
მიმართა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის –
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ. მო-
სარჩელებ თეთრიწყაროს რაიონის გამგეობის 2000 წლის 2 მაი-
სის №14/1 დადგენილების, თეთრიწყაროს რაიონის გამგეობის
2000 წლის 2 მაისის №14/1 დადგენილებით დამტკიცებული სა-
სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი კო-
მისისის 2000 წლის 21 აპრილის №3 სხდომის ოქმის და მისი და-
ნართის ნაწილობრივ, კერძოდ, მოსარჩელის მიერ კონტურ „....“
43.6 ჰა სათიბის საკრებულოს ფონდში დაბრუნების ნაწილში არა-
რად აღიარება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ თეთრიწყაროს რაიონის გამგეო-
ბის 1996 წლის 25 დეკემბრის №3 დადგენილებით და სასოფლო-
სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი კომისიის №3
სხდომის ოქმის საფუძველზე, მოსარჩელეს გაუფორმდა იჯა-
რის ხელშეკრულება (სარეგისტრაციო №75) და გადაეცა 60 ჰა
მიწის ნაკვეთი, სოფელ ... საკრებულოს ტერიტორიაზე, კერძოდ,
17.9 ჰა კონტურ „....“, ხოლო 42.1 ჰა კონტურ „ქ...“. ამ უკანას-
კელ ნაკვეთში 6 ჰა მიწის ნაკვეთი გახდა სადავო სოფელ პატა-
რა ... მცხოვრებ ზ. მ-თან, რომელსაც მოსარჩელეზე ხუთი თვით
ადრე ჰქონდა გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება, რის გა-
მოც სადავო ფართობი მისი მხრიდან დათმობილ იქნა.

მოსარჩელის განმარტებით, ზ. მ-ს ისე გაუფორმდა იჯარის
ხელშეკრულება, რომ არ არსებობდა გამგეობის შესაბამისი და-
გენილება. ამასთან, მოსარჩელემ მიუთითა თეთრიწყაროს რაი-
ონის მიწის იჯარით გამცემი კომისიის 2000 წლის 21 აპრილს

გაფორმებულ №3 სხდომის ოქმზე, რომლის მიხედვითაც მოსარჩელემ საიჯარო ფონდში უკან დააბრუნა 43.6 ჰა მინის ნაკვეთი კონტურ „...“, მაშინ როდესაც მას კონტურ „....“ მხოლოდ 34.2 ჰა მინის ნაკვეთი გააჩნდა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ 2000 წლის 21 აპრილს თეთრიწყაროს რაიონის მინის იჯარით გამცემი კომისიის №3 ოქმის შესრულება შეუძლებელი იყო და იგი არარა აქტად უნდა აღიარებულიყო.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2012 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება ზ. მ-ი.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით რ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2012 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ა-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 18 აპრილის საოქმო განჩინებით მესამე პირის – ზ. მ-ის უფლებამონაცვლებად დადგენილ იქნება – თ. მ-ი, მ. მ-ი-ბ-ი, თ. მ-ი, მ. მ-ი-ნ-ე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ სამეთა პალატის 2013 წლის 8 მაისის განჩინებით რ. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2012 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება.

2013 წლის 13 ივნისს რ. ა-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა მოითხოვა, იმ საფუძვლით, რომ მისი მოსაზრებით სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება საერთოდ არ ეხებოდა სააპელაციო საჩივარში დასმულ ფაქტორივ და სამართლებრივ საკითხებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 20 ივნისის განჩინებით რ. ა-ის განცხადება დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლზე, რომელიც არეგულირებდა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის პირობებს და წესებს. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სა-

ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლით აღიარებული საპროცესო უფლება განსხვავდებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე და 397-ე მუხლებით დადგენილი საპროცესო უფლებებისაგან. უპირველესად დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა უკავშირდებოდა პროცესუალურ შემთხვევას, ერძოდ, როდესაც მოცემული დავის რეგულირების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება არ მოიცავდა პასუხს მხარის ისეთ მოთხოვნებზე, რომელზეც სასამართლომ თავისი გადაწყვეტილების შედეგი დაუკავშირა მსჯელობის საგანს, მაგრამ გადაწყვეტილებით სამართლებრივი შედეგი აღნიშნულთან დაკავშირებით არ დადგარა, ანუ სასამართლო აქტის დადგენილებით (სარეზოლუციო) ნაწილში მსჯელობის საგნის სამართლებრივი პოზიცია არ ასახულა. სასამართლო აქტის სარეზოლუციო ნაწილი კი წარმოადგენდა იმ პრიორიტეტულ საპროცესო საშუალებას, რომელიც სადავო სამართლებრივი ურთიერთობის დარეგულირების, შემდგომი სოციალური რეალიზაციის, სამართლებრივი შედეგის აღსრულების საფუძველი იყო.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესი – დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხის შვიდი დღის ვადაში დასმის შესაძლებლობა, კანონმდებელმა დაუკავშირა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების მომენტს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარნყლდებოდა კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომელიც შეტანილი იყო საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ განუხილველი რჩებოდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 8 მაისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას აპელანტი – რ. ა-ი პირადად ესწრებოდა. სააპელაციო სასამართლომ განიხილა რ. ა-ის სააპელაციო საჩივარი, რომლითაც აპელანტი ითხოვდა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2012 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებას, საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას და სარჩელის დაკმაყოფილებას. სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 8 მაისის განჩინებით რ. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც ნიშნავდა იმას, რომ აპელანტს უარი ეთქვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქ-

მებაზე, საქმეზე ახალი გადაწყვეტილების გამოტანასა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას რ. ა-ს ჰქონდა შესაძლებლობა გაეკეთებინა დასკვნა, იმსჯელა თუ არა სააპელაციო პალატამ მისი სააპელაციო საჩივრის ყველა მოთხოვნაზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 8 მაისის განჩინებაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა რ. ა-მა 2013 წლის 13 ივნისს ანუ კანონისმიერი 7-დღიანი ვადის დარღვევით მოითხოვა, რაც განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 8 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. ა-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპალაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 20 ივნისის განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა რ. ა-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მითითება მასზედ, რომ 7-დღიანი ვადის ათვლა იწყება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების მომენტიდან შეუსაბამობაშია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მეორე ნაწილთან.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სარეზოლუციო ნაწილი არის გადაწყვეტილების შემადგენელი ნაწილი. მთელის შემადგენელი ნაწილი კი არ ნიშნავს მთელს, ანუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება არ ნიშნავს გადაწყვეტილების გამოცხადებას. ასევე, კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ თუ ცნობილი არ არის სამოტივაციო ნაწილი ანუ დასაბუთება, შეუძლებელია დამატებითი გადაწყვეტილების მოთხოვნაც.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სადავო განჩინების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა 2013 წლის 8 მაისს, დასაბუთებული განჩინება კი ჩაბარდა 2013 წლის 7 ივნისს, ანუ განჩინების შინაარსი მისთვის ცნობილი გახდა 2013 წლის 7 ივნისს. განმცხადებელმა სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილე-

ბის მიღების თაობაზე 2013 წლის 13 ივნისს მიმართა, რაც საპროცესო ვადის დარღვევას არ წარმოადგენდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 სექტემბრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული რ. ა-ის კერძო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 11 სექტემბრის განჩინებით განუხილველად დარჩა რ. ა-ის საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლი-ანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ა-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკამაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-ნარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის სწორად გამოიყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, კერძო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის შესახებ, რის გამოც არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლების შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესზე, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ: ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა; ბ) სასამართლოს, რომელ

მაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხებ უნდა შეასრულოს; გ) სასამართლოს არ გადაწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული მუხლით აღიარებული საპროცესო უფლება მნიშვნელოვნად განსხვავდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე და 397-ე მუხლებით დადგენილი საპროცესო უფლებებისაგან, კერძოდ, 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტით დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანისთვის დადგენილი პირობა უკავშირდება პროცესუალურ შემთხვევას. აღნიშნული პირობის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოტანილი, თუ ამ საქმეზე გამოტანილი ძირითადი გადაწყვეტილება არ შეიცავს პასუხს მხარის ისეთი მოთხოვნის მიმართ, რომელიც მართალა იყო განხილვის საგანი, ე.ი. მოხდა მისი განხილვა ამ კოდექსით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს რატომდაც გამორჩა მხედველობიდან მიეღო გადაწყვეტილება ამ კონკრეტული მოთხოვნის მიმართ ანუ რამდენიმე მოთხოვნიდან სასამართლომ არ იმსჯელა და გადაწყვეტილება არ გამოიტანა ერთ-ერთის მიმართ, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაისვება.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას ამ მუხლთან მიმართებაში და დამატებით აღნიშნავს, რომ მართალია დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში, მაგრამ აღნიშნული დანაწესის თანახმად, ძირითადი გადაწყვეტილების გამოცხადებას უნდა ესწრებოდეს მხარე (განცხადებელი). იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას არ ესწრებიან მხარეები ან არ ესწრება ერთ-ერთი საპროცესო სუბიექტი, მაშინ 7-დღიანი ვადის დენა ამ სუბიექტის მიმართ უნდა დაიწყოს იმ დღიდან, როდესაც მას ჩაბარდა მოტივირებული, დასაბუთებული გადაწყვეტილება/განჩინება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 8 მაისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადე-

ბას აპელანტი – რ. ა-ი პირადად ესწრებოდა. შესაბამისად, მას როგორც დაინტერესებულ მხარეს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით სასამართლოსათვის 2013 წლის 14 მაისის 24 საათამდე უნდა მიემართა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება. საქმის მასალების თანახმად, რ. ა-მა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით 2013 წლის 16 ივნისს ანუ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი, კანონისმიერი 7-დღიანი ვადის დარღვევით მიმართა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმის შესახებ, რომ თუ ცნობილი არ არის სამოტივაციო ნაწილი ანუ დასაბუთება, შეუძლებელია დამატებითი გადაწყვეტილების მოთხოვნა. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რ. ა-მა, როგორც აპელანტმა იცოდა მისი სააპელაციო/სასაჩირელო მოთხოვნა, შესაბამისად, მას ჰქონდა შესაძლებლობა სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ გაეკეთებინა დასკვნა, იმსჯელა თუ არა სააპელაციო სასამართლომ მისი სააპელაციო საჩივრის ყველა მოთხოვნაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არის გადაწყვეტილების ის ნაწილი, სადაც კონკრეტულად მოცემულია, თუ რა გადაწყვიტა სასამართლომ განსახილველ საქმესთან მიმართებით. სარეზოლუციო ნაწილი შეიცავს დასკვნას სასაჩირელო/სააპელაციო/საკასაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითი-

თებას ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე გადაწყვეტილების/განჩინების გასაჩივრების ვადასა და წესზე. სააპელაციო სასამართლომ განიხილა რ. ა-ის სააპელაციო საჩივარი, რომლითაც იგი ითხოვდა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2012 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებას, საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას და სარჩელის დაკმაყოფილებას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 8 მაისის განჩინებით რ. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; აპელანტს უარი ეთქვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებაზე, საქმეზე ახალი გადაწყვეტილების გამოტანასა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, რ. ა-ს რეალურად ჰქონდა შესაძლებლობა გაეკეთებინა ანალიზი, იმის შესახებ, სახეზე იყო თუ არა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაწესი, მაშინ როდესაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლი ეხება მხოლოდ პროცესუალურ შემთხვევას და არა კონკრეტული საქმის ვითარების სამართლებრივ შეფასებას, რომლის გაანალიზება და არგუმენტირებული გასაჩივრებაც (სააპელაციო/საკასაციო წესით) შესაძლებელია მხოლოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხის შვიდი დღის ვადაში დასმის შესაძლებლობა, კანონმდებელმა დაუკავშირა არა დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისთვის გადაცემას, არამედ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების მომენტს და მიიჩნია, რომ ვითარების ასეთი სამართლებრივი მოწესრიგება არ ზღუდავს საპროცესო სუბიექტის შესაძლებლობას, დაარეგულიროს სადაც საპროცესო ურთიერთობა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ რ. ა-მა, მოცემულ ვითარებაში დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი, რაც მისი განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რ. ა-ის კერძო საჩივარი უსაფუძლოა, არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. რ. ა-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისს საბჭელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 20 ივნისის გან-ჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა

განჩინება

№ბს-223-220(ქს-14)

10 ივლისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, პირგასამტებლოს დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

2013 წლის 10 ივნისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიას, მოპასუხის – შპს „კ-ის“ მიმართ.

მოსარჩელემ მოპასუხესთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე შპს „კ-სათვის“ მის სასარგებლოდ ძირი თანხის – 9750 ლარისა და გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველ ვა-დაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1% პირგასამ-

ტეხლოს დაკისრება მოითხოვა. მოსარჩელემ ასევე მათ მიერ განეული სასამართლო ხარჯის – 387.37 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით სისიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე შპს „კ-ს“ მოსარჩელე სისიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის სასარგებლოდ 9750 ლარის დავალიანების, 3162.25 ლარის პირგასამტებლოს, 2013 წლის 10 ივნისიდან გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის აღსრულებამდე გადასახდელი თანხის 0.1%-ის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ანაზღაურება და ასევე, სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 387.37 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა შპს „კ-მ“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის გარემოებებიდან გამომდინარე სწორი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 12 მარტის განჩინებით შპს „კ-ის“ სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება. ხოლო მე-60 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი

კალენდარული თარიღით, იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს, ან დროის მონაკვეთით. უკანასკნელ შემთხვევაში მოქმედება შეიძლება შესრულდეს დროის მთელი მონაცემთას განმავლობაში; აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წლებით გამოსათვლელი ვადა დამთავრდება ვადის უკანასკნელი წლის შესაბამის თვესა და რიცხვში. თვეებით გამოსათვლელი ვადის უკანასკნელ თვეს სათანადო რიცხვი არა აქვს, მაშინ ვადა დამთავრდებულად ჩაითვლება ამ თვის უკანასკნელ დღეს, ხოლო აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომენტი პირველი სამუშაო დღე.

საქმის მასალებით სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადასტურებულად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილების ასლი კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა შპს „კ-ს“ საქმეში მითითებულ მისამართზე. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ საქმეზე წარმოდგენილი ხელწერილით დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილების ასლი შპს „კ-ის“ წარმომადგენლს ს. მ-ეს (კანცელარიას) ჩაბარდა 2014 წლის 11 ოქტომბერვალს. სასამართლომ მიუთითა, რომ შეტყობინების დასტურზე გზავნილის მიმღები პირის სახელი და გვარი მითითებულია როგორც გარკვევით, ასევე შტრიხული სახით; გარკვევითა მითითებული გზავნილის ჩაბარების თარიღი და ჩამბარებელი პირის პირადი ნომერი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილ-სამყოფლის), აღტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის, სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. ამავე კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის

მიხედვით, სასამართლო უწყება (გზავნილი) შეიძლება გაიგზავნოს ფოსტის მეშვეობით. ხოლო 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაპბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაპბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. მოქალაქეს ან ორგანიზაციას სასამართლო უწყება შესაძლოა ასევე გადაეცეს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უწყების ჩაბარება დასტურდება მის მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „კ-ს“ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2013 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილების ასლი კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა, რაც დადასტურებულია კორესპოდენციის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ გარემოების გათვალისწინებით, თუ ვის მიერაა განსაზღვრული საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა (სასამართლოს თუ კანონის მიერ) განსხვავებენ კანონის და სასამართლოს მიერ დადგენილ საპროცესო ვადებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია ვადები ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისათვის, როგორც სასამართლოსთვის, ასევე მხარებისთვის, ასევე საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს ვადაში მოქმედების შეუსრულებლობის შედეგებს, კერძოდ, თუ მხარემ კანონისმიერ ვადაში არ შეასრულა საპროცესო მოქმედება, იგი კარგავს ამ მოქმედების შესრულების შესაძლებლობას. ამასთან, განსხვავებით სასამართლოს მიერ განსაზღვრული საპროცესო ვადისა, რომელიც შესაძლებელია გააგრძელოს სასამარ-

თლომ მხარეთა შუამდგომლობით, კანონისმიერი ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ დაიშვება. საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია არა მხოლოდ მხარეთა საპროცესო უფლებები, არამედ საპროცესო მოვალეობები. მხარის ერთ-ერთი საპროცესო უფლება, სააპელაციო წესით გაასაჩივროს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება, შეიცავს საპროცესო მოვალეობას – უფლებას რეალიზაცია მოახდინოს კანონისმიერ ვადაში. საპროცესო მოქმედების შესრულებას კანონისმიერ განსაზღვრულ დროში არსებითი მნიშვნელობა გააჩნია პირთა შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგებისათვის, კერძოდ, კანონისმიერ განსაზღვრულ დროში მოქმედების შესრულება განაპირობებს დარღვეული თუ სადაცოდ ქცეული უფლების დაცვის შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში შპს „კ-ის“ მიერ საპროცესო უფლება არ იქნა რეალიზებული კანონისმიერ ვადაში, ანუ მხარემ არ შეასრულა საპროცესო მოვალეობა კანონით დადგენილ ვადაში, რის გამოც სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია. სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილია 2014 წლის 28 თებერვალს, გასაჩივრებისათვის დაწესებული 14-დღიანი ვადის დარღვევით, რის გამოც შპს „კ-ის“ სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 12 მარტის განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა შპს „კ-მა“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, საქართველოს სამეცნიერო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად; ხოლო ამავე კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაპარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ს. მ-ე, რომელსაც ჩაბარდა გადაწყვეტილება, მართალია მუშაობს სკოლაში, მაგრამ მის მოვალე

ობაში არ შედის კანცელარიის წარმოება. ამგვარ ფუნქციას სკოლაში საქმის მწარმოებელი ასრულებს. ამგვარად, დარღვეულია კანონის მოთხოვნა – კანცელარიისთვის ან ასეთივე დანიშნულების ორგანოსთვის წერილის ჩაპარებასთან დაკავშირებით. ხოლო კანონის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ გზავნილი შესაძლოა ჩაპარდეს შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს, ხაზგასმით მიუთითებს, რომ კანონმდებლის ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ სწორედ ადრესატმა ჩაიპაროს იგი. მოცემულ შემთხვევაში კი თანამშრომლისათვის, რომლის ფუნქციაში არ შედის ფოსტის ჩაბარება, არავის განუმარტავს, რომ გზავნილი დროულად უნდა გადაეცა ადრესატისთვის. შედეგად კი 11 თებერვალს მიტანილი გზავნილი ადრესატს – შპს „კ-ის“ დირექტორს მ. ა-ას გადაეცა მხოლოდ 14 თებერვალს. მოგვიანებით, ს. მ-ემ დირექტორს განუცხადა, რომ დაავინყდა მისთვის წერილის გადაცემა, ხოლო შემდეგ მოერიდა ამის გაცხადება და დირექტორს უთხრა, რომ წერილი 14 თებერვალს ჩაიპარა. აღნიშნული ახსნა-განმარტება ს. მ-ემ წერილობითი ფორმით წარადგინა, რის საფუძველზეც მის მიმართ გამოყენებულ იქნა დისცილინარული ღონისძიება – მიეცა საყვედური (აღნიშნული დოკუმენტი თან ერთვის კერძო საჩივარს).

ამდენად, იქიდან გამომდინარე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება სკოლის დირექტორს 14 თებერვალს ჩაბარდა, ხოლო სააპელაციო საჩივარი წარდგენილია 28 თებერვალს, კერძო საჩივარის ავტორის მოსაზრებით, საპროცესო ვადა დარღვეულად არ უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 2 მაისის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული შპს „კ-ის“ კერძო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა შპს „კ-ის“ კერძო საჩივარისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ სსენებული კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ ის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კო-

დექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში; ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადების გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მოქმედიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაპბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაპბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. მოქალაქეს ან ორგანიზაციას სასამართლო უწყება შესაძლოა ასევე გადაეცეს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება მის მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილების შემცველი გზავნილი 2014 წლის 10 თებერვალს საქმეში მითითებულ მისამართზე გაეგზავნა შპს „კ-ს“ და 2014 წლის 11 თებერვალს ჩაპბარდა ორგანიზაციის წარმომადგენელს – ს. მ-ეს, რასაც იგი ჩაბარების დასტურზე ხელმოწერით ადასტურებს და მიუთითებს პირად წო-

მერს. ჩაბარების დასტურის კომენტარში კი, სადაც როგორც წესი ხელმომწერის შესახებ ინფორმაცია და ადრესატთან მისი დამოკიდებულება მიეთითება, ჩანაწერია გაკეთებული – კანცელარია.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კერძო საჩივრის ავტორმა ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ ს. მ-ე სასამართლო უწყების ჩაბარებაზე უფლებამოსილ პირს არ წარმოადგენდა. უფრო მეტიც, თავად კერძო საჩივარზე თან დართული დოკუმენტებით დასტურდება ს. მ-ის უფლებამოსილება სასამართლო უწყების ჩაბარების თაობაზე, ვინაიდან, სასამართლო უწყების დირექტორისთვის დაგვიანებით გადაცემის გამო სკოლა-ლიცეუმი „ფ-ის“ თანამშრომელს ს. მ-ეს საყვედური მასზე დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისთვის გამოცხადა და არა იმ საფუძვლით, რომ მას სასამართლო უწყების ჩაბარების უფლებამოსილება არ ჰქონდა. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს კერძო საჩივარში გადმოცემულ ინფორმაციასა და ნარმძღვენილ ახსნა-განმარტებას შორის არსებულ შეუსაბამობაზე, კერძოდ, საჩივარში შპს „კ-ის“ დირექტორი აღნიშნავს, რომ მართალია ს. მ-ე მუშაობს სკოლაში, მაგრამ მის მოვალეობაში არ შედის კანცელარიის წარმოება, ამგვარ ფუნქციას სკოლაში საქმის მწარმოებელი ასრულებს; ხოლო კერძო საჩივარზე მტკიცებულებად თანდართულ ახსნა-განმარტებაში ს. მ-ე თავს სწორედ საქმის მწარმოებლად მოიხსენიებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ ს. მ-ე მ სასამართლო უწყება ჩაიბარა როგორც კანცელარიამ, სასამართლო უწყების ჩაბარებაზე მისი არაუფლებამოსილების ფაქტი კი საქმეზე არ დადასტურებულა; თავის მხრივ ს. მ-ე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებული იყო დაუყოვნებლივ გადაეცა გზავნილი ადრესატისათვის და არა დაგვიანებით. ხოლო მასზე დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება განსაზილველ შემთხვევაში სცილდება სასამართლოს მსჯელობის საგანს და გავლენას ვერ იქონიებს კანონით იმპერატიულად განსაზღვრულ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, ხოლო ამგვერის მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის დად-

გომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი და-საწყისი. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქ-მედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძ-ლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამ-დე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ჩაპარ-და ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასუ-ლად არ ჩაითვლება.

ამდენად, გამომდინარე იქიდან, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2013 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილების ასლი შპს „კ-ს“ 2014 წლის 11 ოე-ბერვალს ჩაპარდა, სააპელაციო საჩივრის წარდგენის 14 დღი-ანი ვადის ათველა 2014 წლის 12 თებერვლიდან უნდა დაწყებუ-ლიყო და შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ად-მინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2013 წლის 6 ნოემბრის გა-დაწყვეტილებაზე შპს „კ-ს“ სააპელაციო საჩივრის წარდგენის უფლება 2014 წლის 25 თებერვლის (სამშაბათი) ჩათვლით ენი-ჭებოდა.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემო-ებას, რომ შპს „კ-მა“ სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალა-ქო სასამართლოში 2014 წლის 28 თებერვალს ანუ კანონით დად-გენილი ვადის დარღვევით წარადგინა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „კ-ის“ კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „კ-ის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 12 მარტის გან-ჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

გასაჩივრების ვალის დენის დაწყების პირობები და შეჯიბრებითობის პრიციპი

განხილვა

№ბს-806-792(ქს-14)

20 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 6 ივნისს ი. ხ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქა-
ლაქო სასამართლოში მოპასუხე სსიპ საქართველოს ადვოკატ-
თა ასოციაციის მიმართ და მოითხოვა სსიპ საქართველოს ად-
ვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2014 წლის 7 მა-
ისის №137 სხდომის ოქმის ბათოლად ცნობა და სსიპ საქართვე-
ლოს ადვოკატთა ასოციაციისთვის ახლად აღმოჩენილი გარე-
მოებების გამო ი. ხ-ის 2014 წლის 31 მარტის №4669 განცხადე-
ბის განხილვა და 2010 წლის 15 დეკემბერს ჩატარებული ადვო-
კატთა საკვალიფიკაციო გამოცდის გავლილად ჩათვლის დავა-
ლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 სექტემ-
ბრის გადაწყვეტილებით ი. ხ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივ-
რა ი. ხ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტი-
ლების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ნოემბრის განჩინებით ი. ხ-ის
სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად იმ მოტივით, რომ
აპელანტმა დაარღვია გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გა-
საჩივრების კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაა-
საჩივრა ი. ხ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩი-
ნების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა
იმ მოტივით, რომ მას კანონით დადგენილი წესით არ ჩაბარებია
გასაჩივრებული გადაწყვეტილება. ჩაბარების გზავნილზე, რო-
მელსაც ეყრდნობა სააპელაციო სასამართლო მისი სააპელაციო

საჩივრის განუხილველად დატოვების განჩინების მიღებისას, არ არის მისი ხელმოწერა. ასევე, არ არის მინდობილი პირის ხელ-მოწერა, რაც სასამართლოსათვის ადვილი შესამჩნევი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მას ხელმოწერილი აქვს სააპელაციო საჩივარი და მოსამართლის სახელზე დაწერილი განცხადება. უწყებას მის მაგივრად ხელს აწერს არაუფლებამოსილი სხვა პირი. აბსოლუტურად განსხვავებული ხელწერით არის შესრულებული მისი სახელი და გვარი, ასევე ხელმოწერა, თარიღი და მისი პირადი ნომერი. უწყება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად გადასცა სააპელაციო საჩივრის შეტანის დღეს 2014 წლის 8 ნოემბერს მისი მეზობლის, ... ქ. №17-ში მცხოვრებმა თ. ქ-ამ.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშვნა, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ იგი დაინტერესებული იყო საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარებით და არაერთხელ მიმართა სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით. სასამართლოს განცხადებით მიმართა 2014 წლის 17 ოქტომბერს, მაგრამ ამ დროისათვისაც სავარაუდოდ გადაწყვეტილება მზად არ იყო. უწყება, რომლითაც გაეგზავნა გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს განჩინება, ხელს აწერს არაუფლებამოსილი სხვა პირი, ხოლო თავად განჩინება დატოვებული იყო მისი ბინის შესასვლელთან. ხელმოწერები ასევე სხვა პირის მიერ არის შესრულებული, ხოლო პირადი ნომრის ბოლო ციფრში არის შეცდომა, კერძოდ, ნულის ნაცვლად მითითებულია ექვსი.

შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, იმის გამო, რომ მას სასამართლო გადაწყვეტილება არ ჩაბარებია კანონით დადგენილი წესის მიხედვით, ირლვევა მისი უფლებები, კერძოდ, რომ ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლებების სასამართლო წესით დაცვა, რის გამოც ითხოვს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი მასალების, კერძო საჩივრის მოტივების გაცნობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ი. ხ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ნოემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გა-

მოტანისას არ დაურღვევია სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; სასამართლომ სწორად განმარტა კანონი; საპროცესო ნორმები არ დარღვეულა; სწორი შეფასება მიეცა საქმის მასალებს და დავა გადაწყვეტილია მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.

საქმის მასალების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება ი. ხ-ს გაეგზავნა საქმეში მითითებულ მისამართზე: ქ. თბილისი, ... ქ. №19 და ჩაბარდა პირადად 2014 წლის 21 ოქტომბერს (პირადი №...), სააპელაციო საჩივარი ი. ხ-ის მიერ წარდგენილია სააპელაციო სასამართლოში 2014 წლის 10 ნოემბერს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-ნარმობებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 369.1. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად მიიჩნევა დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად.

საპროცესო კოდექსის VIII თავში, 70-78-ე მუხლებში რეგლამენტირებულია სასამართლო შეტყობინების და დაბარების წესი, რომელიც ასევე გამოიყენება დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარებასთან დაკავშირებით, რამდენადაც კანონმდებელი სსსკ-ის 369.1. მუხლი სწორედ მითითებულ წესთან აიგივებს დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის გადაცემას.

სსსკ-ის 71-ე მუხლის 1-ლი მუხლის შესაბამისად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), აღტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით, ხოლო ამავე კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას

აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, უწყების მიმღები ვალ-დებულია, უწყებს მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება, დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყება დაუყოვნებლივ ჩაბაროს ადრესატს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

საკასაციო სასამართლოს განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 12.1 მუხლის შესაბამისად, გასაჩივრების ვადის დენა იწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილე პირს სასამართლოს აქტით განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 13.2 მუხლი კი ავალდებულებს სასამართლოს ყველა გადაწყვეტილების, განჩინების, ბრძანების, დადგენილების ასლი, რომელიც ექვემდებარება იმავე ან ზემდეგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრებას გაუგზავნოს მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს. შესაბამისად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 12.1 მუხლის საფუძველზე გასაჩივრების ვადის დენის დაწყება უკავშირდება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაგზავნის კანონისმიერი ვალდებულების შესრულებას, ანუ ვადის დენა დაიწყება, თუ მხარეს გაგზავნილი გადაწყვეტილებით (განჩინებით, ბრძანებით, დადგენილებით) სწორად განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი, რაც მოცემულ შემთხვევაში დაცულია სააპელაციო სასამართლოს მიერ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია ვადები ამათუ იმ მოქმედების შესრულებისათვის, როგორც სასამართლო-სათვის, ასევე მხარეთათვის, ამსათან, დადგენილია მხარეთათვის განსაზღვრულ საპროცესო ვადაში საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის შედეგები, კერძოდ: თუ მხარემ კანონით დადგენილ საპროცესო ვადაში არ შეასრულა საპროცესო მოქმედება, იგი კარგავს ამ მოქმედების შესრულების შესაძლებლობას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ი. ხ-ს ჩაპბარდა 2014 წლის 21 ოქტომბერის

ბერს, სააპელაციო საჩივარი კი შეტანილია სააპელაციო სასამართლოში 2014 წლის 10 ნოემბერს, სსსკ-ის 369.1 მუხლით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით, რამდენადაც სსსკ-ის 60.1 მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დენადაინუ 2014 წლის 22 ოქტომბერს და ამოინურა 2014 წლის 4 ნოემბერს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოტივებს, რომ მას კანონით დადგენილი წესით არ ჩაბარებია გასაჩივრებული გადაწყვეტილება. ჩაბარების გზავნილზე, რომელსაც ეყრდნობა სააპელაციო სასამართლო, არ არის მისი ხელმოწერა. ასევე, არ არის მინდობილი პირის ხელმოწერა, რაც სასამართლოსათვის ადვილი შესამჩნევი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მას ხელმოწერილი აქვს სააპელაციო საჩივარი და მოსამართლის სახელზე დაწერილი განცხადება. გზავნილს მის მაგივრად ხელს აწერს არაუფლებამოსილი სხვა პირი. აბსოლუტურად განსხვავებული ხელწერით არის შესრულებული მისი სახელი და გვარი, ასევე ხელმოწერა, თარიღი და მისი პირადი ნომერი, რომლის ბოლო ციფრში არის შეცდომა, კერძოდ, ნულის ნაცვლად მითითებულია ექსი, ვინაიდან თბილის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება ი. ხ-ს გაეგზავნა 2014 წლის 17 ოქტომბერს საქმეში მითითებულ მისამართზე: ქ. თბილისი, ... ქ. №19. სასამართლოში დაბრუნებული უჟუგ ზავნილის თანახმად, ი. ხ-ს გადაწყვეტილება ჩაბარდა 2014 წლის 21 ოქტომბერს, პირადი ნომერი საკასაციო სასამართლოს მიერ ვიზუალური დათვალიერებით აღნიშნულ გზავნილზე მითითებული ი. ხ-ის ხელმოწერა პირობითად იდენტურია საქმეში დაცულ სხვა მასალებზე გაკეთებული ხელმოწერებისა. ასევე, სასამართლოს მიერ ვიზუალური დათვალიერებით ი. ხ-ის პირადი ნომერი გზავნილზე მითითებულია, რაც იდენტურია თავად მხარის მიერ სასარჩელო განცხადებაში მითითებული პირადი ნომრისა და არც ბოლო ციფრში სხვაობა, რომ ნულის ნაცვლად მითითებულია – 6, არ შეინიშნება ვიზუალური დათვალიერებით, ხოლო კალიგრაფიული ექსპერტიზის დასკვნა განსხვავებული შეფასებით, რაც მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარის მტკიცების ტვირთს განეკუთვნება, კერძო საჩივრის ავტორს არ ნარმოუდგენია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციზე, რაც ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სრულად გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში. მითითებული პრინციპის შესაბამისად, მხა-

რეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლები).

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი, წარადგინოს თავისი შესაგებელი და შესაბამისი მტკიცებულებები. მითითებული დებულება ადგენს მხარეთა საპროცესო მოვალეობებს ადმინისტრაციულ სამართლწარმოებაში, რაც უზრუნველყოფს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის სრულყოფილ რეალიზაციას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია არა მხოლოდ მხარეთა საპროცესო უფლებები, არამედ საპროცესო მოვალეობები. მხარის ერთ-ერთი ძირითადი უფლება – სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა შეიცავს საპროცესო ვალდებულებას, გაასაჩივროს გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში, რაც კონკრეტულ შემთხვევაში ი. ხ-ის მიერ უგულებელყოფილია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. ხ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რამდენადაც სახეზე არ არის კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური წინაპირობები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 396-ე, 414-419-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ხ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარვეზის შევსების ვალის დარღვევა

განერინება

№ბს-720-706(ქს-14)

23 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღნერილობითი ნაწილი:

2014 წლის 24 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს ად-
მინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა თ. გ-
ემ, მოპასუხე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არ-
სებული დავების განხილვის საბჭოს მიმართ და მოითხოვა სა-
ქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების
განხილვის საბჭოს 2014 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილე-
ბის ბათილდებ ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2014 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით თ. გ-
ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასა-
ჩივრა თ. გ-ემ, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწ-
ყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის
დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2014 წლის 15 აგვისტოს განჩინებით აპე-
ლანტს დაუდგინდა ხარვეზი იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო
საჩივარზე არ იყო წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახ-
დის დამადასტურებელი ქვითარი დედნის სახით. ამასთან, საა-
პელაციო საჩივარში არ იყო მითითებული თუ გადაწყვეტილე-
ბის რა ნაწილია გასაჩივრებული, რაში მდგომარეობს გადაწყვე-
ტილების უსწორობა და კონკრეტულად რას მოითხოვს სააპე-
ლაციო საჩივრის შემტანი პირი. აგრეთვე არ ყოფილა მითითება
იმ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ასაბუთე-
ბენ სააპელაციო საჩივარს. ხარვეზის შევსების ვადად განისაზ-
ღვრა 5 დღე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2014 წლის 25 სექტემბრის განჩინებით თ. გ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ად-მინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2014 წლის 26 ივნისის გა-დაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველა, იმ საფუძვლით, რომ აპელანტმა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ შეასო.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. გ-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმე-ბა, ხარვეზის შევსებულად მიჩნევა და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით 2014 წლის 15 აგ-ვისტოს განჩინება ხარვეზის შესახებ ჩაბარდა 24 აგვისტოს, რომლითაც ხარვეზის შევსების ვადად განესაზღვრა 5 დღე. ვა-დის ბოლო დღედ უნდა ჩათვლილიყო 30 აგვისტო, ხოლო ვინაი-დან 30 აგვისტო იყო არასამუშაო დღე (შაბათი) მან განცხადება ხარვეზის ჩაბარების შესახებ ჩაბარა ორშაბათს – 1 სექტემ-ბერს.

თ. გ-ის მოსაზრებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 სექტემბრის განჩინება უნდა გაუქმდეს უსაფუძვლობის გამო, ხარვეზი მიჩ-ნეულ უნდა იქნეს შევსებულად, ხოლო სააპელაციო საჩივარი უნდა იქნეს მიღებული წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერ-ძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შე-დეგად მივიღდა იმ დასკვნამდე, რომ თ. გ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილი-სის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პა-ლატის 2014 წლის 25 სექტემბრის განჩინება შემდეგ გარემოე-ბათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამარ-თლოს გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის შესა-ხებ. სააპელაციო სასამართლომ საპროცესო კანონის სწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, რის გამოც არ არსებობს სსსკ-ის 393-394-ე მუხლების შესაბამისად მისი გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2 მუხლის შესაბამისად, იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პროცესუალურ სამარ-

თლებრივ შეფასებას, რომლის საფუძვლიან კრიტიკას არ შეიცავს კერძო საჩივარი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 25.09.2014წ. განჩინებით აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო საჩივარზე არ იყო წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი დედნის სახით. ამასთანავე სააპელაციო საჩივარში არ იყო მითითებული თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული, რაში მდგომარეობს გადაწყვეტილების უსწორობა და კონკრეტულად რას მოითხოვს სააპელაციო საჩივრის შემტანი პირი. აგრეთვე არ ყოფილა მითითება იმ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ასაბუთებენ სააპელაციო საჩივარს. ხარვეზის შევსების ვადად განესაზღვრა 5 დღე. აღნიშნული განჩინება აპელანტის ნარმომადგენელს, ს. შ-ეს, ჩაბარდა 2014 წლის 23 აგვისტოს ხარვეზის შევსების ბოლო ვადა იყო 2014 წლის 28 აგვისტო. რადგან 28 აგვისტო არის მარიამობის დღესასწაული და გამოცხადებულია უქმე დღედ, შესაბამისად, ხარვეზის შევსების ბოლო დღემ გადაინია 1 დღით ანუ მხარეს ხარვეზი უნდა გამოესწორებინა 29 აგვისტოს ჩათვლით, მან კი სააპელაციო საჩივარი ფოსტას ჩააბარა 2014 წლის 1 სექტემბერს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61.3 მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესარულებლად დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას, ან ტელეგრაფს ჩაპერადა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ გარემოების გათვალისწინებით, თუ ვის მიერ არის განსაზღვრული საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა (სასამართლოსა თუ კანონის-მიერი), განასხვავებენ კანონის და სასამართლოს მიერ დადგენილ საპროცესო ვადებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია ვადები ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისათვის როგორც სასამართლოსათვის, ასევე მხარეთათვის, ასევე საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს კანონისმიერ ვადაში მოქმედების შეუსრულებლობის შედეგებს, კერძოდ, თუ მხარემ კანონისმიერ ვადაში არ შეასრულა საპროცესო მოქმედება, იგი კარგავს ამ მოქმედების შესრულების შესაძლებლობას. ამასთან, განსხვავებით სასამართლოს მიერ განსაზღვრული საპროცესო ვადისა, რომელიც შესაძლებელია გააგრძელოს სასამართლო მხარეთა შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, კანონისმიერი ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ დაიშვება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საპროცესო მოქმედების შესრულებას კანონისმიერ განსაზღვრულ დროში არსებოთი მნიშვნელობა გააჩნია პირთა შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგებისათვის, კერძოდ, კანონისმიერ განსაზღვრულ დროში მოქმედების შესრულება განპირობებს დარღვეული თუ სადაცოდ ქცეული უფლების დაცვის შესაძლებლობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59.1 მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. 59.2 მუხლის თანახმად თუ საპროცესო ვადა კანონით არ არის დადგენილი, მას განსაზღვრავს სასამართლო. საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60.2 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ თვეობით გამოსათვლელი ვადა იწყება იმ ეალენდარული თარიღის შემდგომი დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახად, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე, ხოლო საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი რჩება.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლზე, რომლის თანახმად, წარმომადგენლისთვის გაგზავნილი დოკუმენტი ჩაითვლება მხარისათვის გაგზავნილად, ხოლო მხარისათვის გაგზავნილი – წარმომადგენლისათვის გაგზავნილად. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თ. გ-ემ გაუშვა საპელაციო სასამართლოს მიერ ხარვეზის შევსების მიზნით განსაზღვრული საპროცესო ვადა, რამდენადაც სსსკ-ის 60.2 მუხლის თანახმად, საპროცესო ვადის დენა დაინტერ 2014 წლის 24 აგვისტოს, ვინაიდან, როგორც საქმის მასალებით დადგენილია თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 15 აგვისტოს განჩინება ხარვეზის შესახებ, აპელანტის – თ. გ-ის წარმომადგენელს

– ს. შ-ეს ჩაბარდა 2014 წლის 23 აგვისტოს და დამთავრდა 2014 წლის 28 აგვისტოს, ვინაიდან 28 აგვისტო იყო უქმე დღე, ხარვეზის შევსების ვადის ბოლო დღე იყო 29 აგვისტო, მაშინ როცა მხარემ საპროცესო უფლების რეალიზაცია მოახდინა 2014 წლის 1 სექტემბერს, ხოლო საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულება კერძო საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია არა მხოლოდ მხარეთა საპროცესო უფლებები, არამედ, საპროცესო მოვალეობები. მხარის ერთ-ერთი საპროცესო უფლება – სააპელაციო წესით გაასაჩივროს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება, შეიცავს საპროცესო მოვალეობას – უფლების რეალიზაცია მოახდინოს კანონისმიერ ვადაში. მოცემულ შემთხვევაში თ. გ-ის მიერ საპროცესო უფლება რეალიზებული არ იქნა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, ანუ მხარემ არ შეასრულა საპროცესო მოვალეობა კანონით დადგენილ ვადაში, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მიერ სწორად იქნა დატოვებული განუხილველად თ. გ-ის სააპელაციო საჩივარი საპროცესო ვადაში წარუდგენლობის გამო.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. გ-ეს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ შეუვესია. საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულება კერძო საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია. ხარვეზის დადგენილ ვადაში შეუვესებლობა წარმოადგენს აპელაციის განუხილველად დატოვების პროცესუალურ საფუძველს, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მხარის საპროცესო უმოქმედობას სწორად შეუფარდა საპროცესო სამართლის ნორმა, კერძოდ, სსსკ-ის 368-ე მუხლი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ თ. გ-ს კერძო საჩივარი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას, რამდენადაც სახეზე არ არის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 419, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

- თ. გ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 სექტემბრის განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დამატებითი გადაცვეტილების გამოტანის შესახებ მოთხოვნის ვალი

განხილვა

№ბს-718-704(ქ-7ქს-14) 6 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: უსწორობის გასწორება და დამატებითი გადაწყვეტილების მიღება

აღნერილობითი ნაწილი:

2014 წლის 23 იანვარს შ. ი-მა, ი. ჭ-მა, შ. კ-მა, მ. ფ-მა და მ. კ-მა სარჩელი აღძრეს მცხეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში დუშეთის მუნიციპალიტეტში მოპასუხე-ების: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საქონეურსო-საა-ტესტაციო კომისიის მიმართ და მოითხოვეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება.

მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 28 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექ-სის 16.1 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირებად ჩაეგ-ნენ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეები: მი. კ-ი, გ. წ-ი, ა. კ-ი, ხ. კ-ი, ვ. კ-ე.

მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის სარ-

ჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №86 ბრძანება; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №11 ბრძანება და მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადაც საკითხთან დაკავშირებით; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №2 ბრძანება, რომლის გამოცემის თარიღად მითითებულია ასევე 2014 წლის 6 იანვარიც და მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადაც საკითხთან დაკავშირებით; სადაც საკითხთან დაკავშირებით ბათილად იქნა ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 23 იანვრის №9 ოქმი, იმ ნაწილში, რომლითაც არ იქნა გაზიარებული შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ის, მ. კ-ის მიმართ მიღებული საპრეტენზიო კომისიის დასკვნა და მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიას დაევალა, შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად, სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადაც საკითხთან დაკავშირებით; სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელის შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის ნარმომადგენელმა ი. პ-მა და მოითხოვა მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელე შ. ი-თან დაკავშირებით მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტს დაევალა შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად სასამართლოს ამ გადაწყვე-

ტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №12 ბრძანებასთან მიმართებაში, ი. ჭ-თან დაკავშირებით მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტს დაევალა შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №11 ბრძანებასთან მიმართებაში, შ. კ-თან დაკავშირებით მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტს დაევალა შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №2 ბრძანებასთან მიმართებაში, რომლის გამოცემის თარიღად ბათოლად ცნობილ ამავე აქტში ასევე მითითებულია 2014 წლის 6 იანვარიც. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიას დაევალა შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად, სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ბათოლად ცნობილ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 23 იანვრის №9 ოქმთან დაკავშირებით (რომლითაც არ იქნა გაზიარებული შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის მიმართ მიღებული საპრეტენზიო კომისიის დასკვნა). აპელანტი ასევე ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნები, ასევე მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივარი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შუამდგომლობის არ დაკმაყოფილების ნაწილში წარმოადგენს ასევე კერძო საჩივარსაც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის განჩინებით შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტი 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება ნაწილობრივ; კერძოდ, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 10 მარტის №47 წერილის ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და დავის ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება განჩინების სახით; მოსარჩელების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხების – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის, მესამე პირების – მი. კ-ის, გ. წ-ის, ა. კ-ის, ხ. კ-ისა და ვ. კ-ის მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნებით აღძრული ადმინისტრაციული საქმის ნარმოება შეწყდა ნაწილობრივ; დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 10 მარტის №47 წერილის ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში, სარჩელის დაუშვებლობის გამო არ დაკამაყოფილდა კერძო საჩივრის ავტორების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის კერძო საჩივარი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ შუამდგომლობის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკამაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება ნაწილობრივ; კერძოდ, მოსარჩელების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის და შ. კ-ის დაკამატული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სრულად ბათილად ცნობაზე, ასევე სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის, ასევე აპელანტების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის ნაწილში დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილებების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და დავის ამ ნაწილში საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის სარჩე-

ლი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ძალაში შესვლის დღიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 3 იანვრის №12 ბრძანება მოსარჩელე შ. ი-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; შ. ი-ი აღდგენილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე; დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა მოსარჩელე – შ. ი-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზაღაურების სახით სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. ბათილად იქნა ცნობილი ძალაში შესვლის დღიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 3 იანვრის №11 ბრძანება მოსარჩელე ი. ჭ-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ი. ჭ-ი აღდგენილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა ი. ჭ-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სახით სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. ბათილად იქნა ცნობილი ძალაში შესვლის დღიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას 2014 წლის 3 იანვრის (2014 წლის 6 იანვრის) ბრძანება მოსარჩელე შ. კ-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; შ. კ-ი აღდგენილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე; დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა შ. კ-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სახით სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის თანახმად, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი აპელანტების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის ნაწილში მოპასუხის – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დაევალა მოსარჩელეების საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამსართლებრივი აქტების გამოცემა. მცხოვრის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება დანარჩენ ნა-

წილში დარჩა უცვლელად.

2014 წლის 28 ივლისს შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის ნარმომადგენელმა ი. პ-მა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის განჩინებაში უსწორობის გასწორება.

2014 წლის 28 ივლისს შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის ნარმომადგენელმა ი. პ-მა კვლავ მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა – შ. ი-ის, ი. ჭ-ისა და შ. კ-ისათვის თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის ნარმომადგენელმა ი. პ-მა კვლავ მიმართა შუამდგომლობით და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 10 ივნისისა და 2014 წლის 17 ივლისის შემაჯამებელ გადაწყვეტილებაში და ამავე თარიღის განჩინებაში უსწორობის გასწორება, კერძოდ, ერთ-ერთი მოსარჩელის (აპელანტის) მ. ფ-ის ნაცვლად მითითებულია მ. ფ-ი.

2014 წლის 28 ივლისს შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის ნარმომადგენელმა ი. პ-მა სააპელაციო სასამართლოში ნარმოადგინა განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისის სხდომის ოქმში შენიშვნების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 1 აგვისტოს განჩინებით დაკმაყოფილდა აპელანტების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის ნარმომადგენლის ი. პ-ის შუამდგომლობა სასამართლოს საპროცესო აქტებში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე. გასწორდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის №3ბ/764-14 გადაწყვეტილების, ასევე 2014 წლის 17 ივლისის №3ბ/764-14 განჩინების სარეზოლუციო ნანილებში დაშვებული შეცდომა იმგვარად, რომ ყველან ნაცვლად გვარ-სახელისა „მ. ფ-ი“, მიეთითა გვარ-სახელი „მ. ფ-ი“; გასწორდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის განჩინების სარეზოლუციო ნანილებში დაშვებული შეცდომა იმგვარად, რომ განჩინების სარეზოლუციო ნანილის მე-5 პუნქტში მიეთითა იმავე სარეზოლუციო ნანილის მე-3 პუნქტი (ნაცვლად 1-ლი პუნქტისა), ხოლო მე-6 პუნქტში – მე-4 პუნქტი (ნაცვლად მე-2 პუნქტისა). აპელანტებს – შ. ი-ს, ი. ჭ-ს და შ. კ-ს

(წარმომადგენელი ი. პ-ი), უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილების ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე; აპელანტებს (წარმომადგენელი ი. პ-ი) უარი ეთქვათ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისის სასამართლო სხდომის ოქმის სისწორისა და სისრულის დადასტურებაზე. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განჩინება სასამართლოს საპროცესო აქტებში დაშვებული უსწორობების გასწორების ასევე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე უარის თქმის ნაწილში შეიძლება გასაჩივრდეს უზენაეს სასამართლოში კერძო საჩივრით.

2014 წლის 25 აგვისტოს შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის წარმომადგენელმა ი. პ-მა კვლავ მიმართა შუამდგომლობით სააპელაციო სასამართლოს და მიუთითა, რომ 2014 წლის 17 ივლის მიღებულ იქნა შემაჯამებელი გადაწყვეტილებები, რომლის სარეზოლუციო ნაწილები გადაეცა 2014 წლის 24 ივლისს, ხოლო დასაბუთებული გადაწყვეტილებები – 2014 წლის 19 აგვისტოს. ამავე დღეს გადაეცა უსწორობის გასწორებისა და სხვა საპროცესო მოქმედებების თაობაზე 2014 წლის 1 აგვისტოს მიღებული განჩინებაც. შუამდგომლობის ავტორის აზრით მათი ნაწილი საჭიროებს დამატებითი გადაწყვეტილების მიღებითა და უსწორობის გასწორების საპროცესო მექანიზმებით მოწესრიგებას შემდეგ გარემოებათა გამო:

კონკრეტულ საქმეზე სააპელაციო საჩივრით ერთ-ერთ სააპელაციო პრეტენზიას წარმოადგენდა ის, რომ უსაფუძვლო იყო მცხეთის რაიონული სასამართლოს დუშეთის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც მობასუხები – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელთა საკონკურსო-საატესტაციო კომისია გათავისუფლდნენ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ვინაიდან, ამ მიმართებით გადაწყვეტილების წინააღმდეგობა დგინდებოდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილთან და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „უქვეპუნქტთან.“

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯე-

ბი (სასამართლო და სასამართლოს გარეშე ხარჯები) მის სასამართლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც“, ხოლო „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებინა მხოლოდ დაწესებულებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან – ყველა საქმეზე“ და არა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებები და ორგანიზაციები, რაც არ იყო მოპასუხების სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლდების საფუძველი.

შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, საქართველოში ბიუჯეტი იყოფა 3 ჯგუფად – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი და ისინი არ მოიცავენ ერთმანეთს. ამდენად, ცალსახაა კანონმდებლის ნება, რომ საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან მხოლოდ დაწესებულებები (ორგანიზაციები) და არა თვითმმართველი ერთეული ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებები და ორგანიზაციები. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა აღნიშნულზე.

ამასთან, იმ პირობებში, როდესაც თავად სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის საფუძვლით მოწესრიგდა ერთ-ერთი საკითხი, თავად სააპელაციო პალატაც როგორც ახალი გადაწყვეტილების მიმღები სასამართლო ვალდებული იყო ამ მიმართებით დამატებით მოეწესრიგებინა საპროცესო ხარჯების საკითხი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის ჭრილში, ვინაიდან, სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების მიღებით დადასტურდა, რომ მოპასუხე – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიას 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილებები მიღებული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, რაც დასახელებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად (ცნობის საფუძველი გახდა სადაც საკითხის გადაუწყვეტლად და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი აქტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 1 აგვისტოს განჩინებით დაკმაყოფილდა უსწორობის გასწორების მოთხოვნით წარდგენილი შუამდგომლობა, რის შედეგადაც უნდა გასწორებულიყო 2014 წლის 17 ივლისს განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 და მე-6 პუნქტებში არსებულ ტექსტში სხვა პუნქტებზე მითითება, მაგრამ რეალურად ის არ გასწორდა და 2014 წლის 1 აგვისტოს განჩინებით კვლავ დარჩა პირვანდელი რედაქციით. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის ძალით მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებში დაშვებული უსწორობანი“, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლი, თავის მხრივ, ითვალისწინებს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანას, რომლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, „გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებები და შისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა, ასევე მაშინაც, როდესაც სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება“. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, აღნიშნულ მუხლში „დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში“ არ გულისხმობს სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებით დამსწრე პირის მხრიდან 7 დღის განმავლობაში ასეთი საპროცესო უფლების რეალიზებას, ვინაიდან, ასეთ დანაწესს არ შეიცავს დასახელებული ნორმის საკანონმდებლო შინაარსი. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, იქ სადაც კანონმდებელი გარკვეული საპროცესო მოქმედების ან მოვლენის ათვლის საწყის წერტილს უკავშირებს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, ამას სწორად ხსენებული ფრაზებით უთითებს კიდევაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებში, მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257.2 და 284.6 მუხლებში. საპროცესო კანონი დამატებითი გადაწყვეტილების მისაღებად შუ

ამდგომლობის სასამართლოში წარდგენის უფლებას, რომ ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში, აღნიშნულს კანონმდებელი ამ სიტყვის დართვით ჩამოაყალიბებდა 261-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსში, ხოლო იმ პირობებში, როდესაც ამავე კოდექსშივე მისთვის მიღებული საკანონმდებლო სტილია გარევეულ საკითხებზე გადაწყვეტილების მითითება, არა მისი დასაბუთებული ვერსიის მნიშვნელობით, არამედ გადაწყვეტილება, როგორც მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი, ის ასეთად უთითებს კიდევაც ცალკეულ ნორმებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსი გულისხმობს სხდომაზე დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7-დღიანი ვადის ათვლას. ვინაიდან, აღნიშნულ ნორმაში კანონმდებელი არ მიუთითებს, ასეთი უფლების წარმოშობას გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების მომენტიდან. საგულისხმოა, რომ მითითებულ საკითხზე დამატებითი გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს სასამართლომაც მიუხედავად 7-დღიანი ვადისა, ამდენად, მხარის მხრიდან ასეთი ვადის გაშვების შემთხვევაშიც, კეთილსინდისიერი და კვალიფიციური მართლმასწულების პირობებში თავად სასამართლო, საკუთარი ინიცირებითაც კი უფლებამოსილია მოაწესრიგოს ის საკითხი, რომლის მოწესრიგება მას გამორჩა შემაჯამებელი გადაწყვეტილების მსჯელობის დროს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდომლობის ავტორი ითხოვდა უსწორობის გასწორებას მართებული ფორმულირებით და ასევე დამატებითი გადაწყვეტილების მიღებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის განჩინებით აპელანტების შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის წარმომადგენლის – ი. პ-ის შუამდგომლობა საქმეზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ დარჩა განუხილველად; აპელანტების შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის წარმომადგენლის – ი. პ-ის შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის №3ბ/764-14 განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის სააპელაციო საჩივრის გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს გა-

დაწყვეტილებისა და განჩინების სარეზოლუციო ნაწილები გამოცხადდა 2014 წლის 17 ივნისის სასამართლო სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ აპელანტები – შ. ი-ი, ი. ჭ-ი, შ. კ-ი, მ. ფ-ი, მ. ქ-ი და მათი ნარმომადგენელი – ი. პ-ი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ მოთხოვნა აპელანტებს სასამართლოსთვის უნდა წარმოედგინათ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების დღიდან – 2014 წლის 17 ივნისიდან 7 დღის ვადაში, რაც მათ არ გაუკეთებითა. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტების მტკიცება იმის შესახებ, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის წარმოადგენის შვიდდღიანი ვადის ათვლა უნდა დაიწყოს მხარეების თანდასწრებით დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების დღიდან, ასეთი განმარტება ეწინააღმდეგება არა მარტო 261-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსს (წორმა არ არის ორაზროვანი/ბუნდოვანი, დაუშვებელია იგი განიმარტოს თავისი ნამდვილი შინაარსის საწინააღმდეგო მინშვნელობით), არამედ საპროცესო ინსტიტუტის – დამატებითი გადაწყვეტილების მიზნებს ზოგადად, კერძოდ, სსს კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ანალიზი ცხადყოფს, რომ დამატებითი გადაწყვეტილების საგანი შეიძლება იყოს კონკრეტული შინაარსის სასარჩელო (სააპელაციო საჩივრის) მოთხოვნა („ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები) ან სასამართლო ხარჯების საკითხი („გ“ პუნქტი) და არა სარჩელის (სააპელაციო საჩივრის) მოთხოვნასთან დაკავშირებით მოსარჩელის, ამ შემთხვევაში, აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული რომელიმე ფაქტორივი გარემოების სასამართლოს მიერ არ გამოკვლევა, რაიმე მტკიცებულების შეუფასებლობა, აგრეთვე ამა თუ იმ სამართლებრივი საკითხის გამო სასამართლოს მხრიდან განმარტებების არ გაკეთება; აღნიშნული საკითხები შესაძლოა იყოს სხვა სახის საპროცესო აქტივობის – სააპელაციო/საკასაციო საჩივრის, მაგრამ არა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ შუამდგომლობის საგანი; კონკრეტულ სადაცო შემთხვევაში შეუამდგომლობის ავტორის პრეტენზის არსი მდგომარე

ობს არა იმაში, რომ სასამართლომ საერთოდ არ გადაწყვიტა სახელმწიფო ბაჟის საკითხი, არამედ ის, რომ სასამართლომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არ იმსჯელა სახელმწიფო ბაჟის შესახებ საკითხზე უშუალოდ იმ სამართლებრივ ნორმათა ჭრილში, რომელც მიუთითებდნენ აპელანტები სააპელაციო საჩივარში; დაინტერესებული მხარის მიერ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნის საპროცესო უფლების რეალიზება უკავშირდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის მოსმენის/გაცნობის მომენტს, რადგან სწორედ ამ დროიდან უნდა გახდეს ცნობილი მხარისთვის იმ ხარვეზის შესახებ, რომელიც დაუშევა სასამართლომ საქმის გადაწყვეტისას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). აღსანიშნავია, რომ აპელანტები სადაც არ ხდია 17.07.2014 წლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის სისრულეს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ზემოხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის, ასევე, 63-ე მუხლის საფუძველზე აპელანტების შუამდგომლობა დამატებით გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე უნდა დარჩეს განუხილველად. კერძოდ, 63-ე მუხლით დადგენილია, რომ საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

რაც შეეხება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის №3ბ/764-14 განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობების გასწორების შესახებ შუამდგომლობას, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ეს უკანასკნელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 1 აგვისტოს განჩინებით დაკმაყოფილდა აპელანტების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის წარმომადგენლის – ი. პ-ის შუამდგომლობა სასამართლოს საპროცესო აქტებში დაშვებული უსწორობების გასწორების თაობაზე; გასწორდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის №3ბ/764-14 გადაწყვეტილების, ასევე, 2014 წლის 17 ივლისის №3ბ/764-14 განჩინების სარეზოლუციო ნაწილებში დაშვებული შეცდომა იმგვარად, რომ ყველან ნაცვლად გვარ-სახელისა „მ. ფ-ი“, მიეთითა

გვარ-სახელი „მ. ფ-ი“; გასწორდა თბილისის სააპელაციო სასა-მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული შეც-დომა იმგვარად, რომ განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტში მიეთითა იმავე სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი (ნაცვლად 1-ლი პუნქტისა), ხოლო მე-6 პუნქტში მე-4 პუნქტი (ნაცვლად მე-2 პუნქტისა).

ამდენად, სააპელაციო პალატამ 2014 წლის 1 აგვისტოს გან-ჩინებით ერთხელ უკვე იმსჯელა და გადაწყვიტა პალატის 2014 წლის 17 ივლისის №3ბ/764-14 განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ საკითხი ისე, რომ გაასწორა პალატის 2014 წლის 17 ივლისის განჩინების სარეზო-ლუციო ნაწილში დაშვებული შეცდომა – განჩინების სარეზოლუ-ციო ნაწილის მე-5 პუნქტში მიეთითა იმავე სარეზოლუციო ნაწი-ლის მე-3 პუნქტზე (ნაცვლად 1-ლი პუნქტისა), ხოლო მე-6 პუნ-ქტში – მე-4 პუნქტზე (ნაცვლად მე-2 პუნქტისა); აქედან გამომ-დინარე, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტების წარ-მომადგენლის მტკიცებას მასზედ, რომ საქმეზე მიღებული 2014 წლის 1 აგვისტოს განჩინებით რეალურად არ გამოსწორებულა 17.07.2014 წლის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებუ-ლი უსწორობები (იხ. 25.08.2014 წლის შუამდგომლობა); სამოქა-ლაქო საპროცესო კოდექსის 260. 1 მუხლის დებულებების სა-ფუძველზე მიიჩნია, რომ არ არსებობს უსწორობის გასწორების შესახებ შუამდგომლობის დაკამაყოფილების ფაქტობრივი და მი-სი შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლები, რაც მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის წარმომადგენელმა ი. პ-მა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და დამატებითი გა-დაწყვეტილების გამოტანისა და განჩინებაში დაშვებული უს-წორობის გასწორების თაობაზე უარის თქმის შესახებ შუამ-დგომლობის დაკამაყოფილებისათვის საქმის სააპელაციო პალა-ტისათვის დაპრუნება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი კერძო საჩივრში მიუთითებდა, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია კანონმდებლობა-თა უხეში დარღვევით და განმარტა, რომ საქართველოს ადმი-ნისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-წილის ძალით მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თა-ვისი ინიციატივით გაასწორს გადაწყვეტილებაში დაშვებული

უსწორობანი“, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლი, თავის მხრივ, ითვალისწინებს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანას, რომლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, „გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებები და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა და ასევე მაშინაც, როდესაც სასამართლოს არ გადაწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება“. აღნიშნულ მუხლში „დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში“ არ გულისხმობს სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან სხდომაზე დამსწრე პირის მხრიდან 7 დღის განმავლობაში ასეთი საპროცესო უფლების რეალიზებას, ვინაიდან, ასეთ დანაწესს არ შეიცავს დასახელებული ნორმის საკანონმდებლო შინაარსი. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, იქ სადაც კანონმდებელი გარკვეული საპროცესო მოქმედების ან მოვლენის ათვლის საწყის წერტილს უკავშირებს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, ამას სწორედ ხსენებული ფრაზებით უთითებს კიდევაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებში, მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257.2 და 284.6 მუხლებში. საპროცესო კანონი დამატებითი გადაწყვეტილების მისაღებად შუამდგომლობის სასამართლოში წარდგენის უფლებას, რომ ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში, აღნიშნულს კანონმდებელი ამ სიტყვის დართვით ჩამოაყალიბებდა 261-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსში, ხოლო იმ პირობებში, როდესაც ამავე კოდექსშივე მისთვის მიღებული საკანონმდებლო სტილია გარკვეულ საკითხებზე გადაწყვეტილების მითითება, არა მისი დასაბუთებული ვერსიის მნიშვნელობით, არამედ გადაწყვეტილება, როგორც მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი, ის ასეთად უთითებს კიდევაც ცალკეულ ნორმებში.

ამდენად პროცესუალურად მცდარია მოსაზრება იმის შესხებ, რომ თითქოს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას დამსწრე პირის მიერ 7 საპროცესო

დღის განმავლობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსი გულისხმობს სხდომაზე დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7-დღიანი ვადის ათვლის. ვინაიდან, აღნიშნულ ნორმაში კანონმდებელი არ მიუთითებს, ასეთი უფლების წარმოშობას გადაწყვეტილების სარეზოლუციი ნაწილის გამოცხადების მომენტიდან. საგულისხმოა, რომ მითითებულ საკითხზე დამატებითი გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს სასამართლომაც მიუხედავად 7-დღიანი ვადისა, ამდენად, მხარის მხრიდან ასეთი ვადის გაშვების შემთხვევაშიც, კეთილსინდისიერი და კვალიფიციური მართლმსაჯულების პირობებში თავად სასამართლო, საკუთარი ინიცირებითაც კი უფლებამოსილია მოაწესრიგოს ის საკითხი, რომლის მოწესრიგება მას გამორჩა შემაჯამებელი გადაწყვეტილების მსჯელობის დროს. ამდენად, აღნიშნული არგუმენტების ანალიზით კერძო საჩივრის ავტორს, მიაჩნია, რომ დასახელებული უფლების – დამატებითი გადაწყვეტილების მისაღებად შუამდგომლობის სასამართლოსათვის წარდგენის უფლება წარმოიშობა დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის გადაცემის მომენტიდან და არა სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციი ნაწილის გამოცხადების მომენტიდან. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო პალატამ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყნებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი.

გარდა აღნიშნულისა, საქმეზე მიღებული 2014 წლის 1 აგვისტოს განჩინებით დაკმაყოფილდა უსწორობის გასწორების მოთხოვნით წარდგენილი შუამდგომლობა, რის შედეგადაც უნდა გასწორებულიყო 2014 წლის 17 ივლისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 და მე-6 პუნქტებში არსებულ ტექსტში სხვა პუნქტებზე მითითება, მაგრამ რეალურად ის არ გასწორდა და 2014 წლის 1 აგვისტოს განჩინებით კვლავ დარჩა პირვანდელი რედაქციით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე და ამ კოდექსის VII³ თავით გათვალისწინებულ საქმეებზე“, ხოლო შრომის უფლება სოციალურ უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება. „სახელმწიფო ბაჟის მესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა ქვეპუნქტის თანახმად, „საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავი-

სუფლდებიან ფიზიკური პირები – სარჩელზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან“. ამდენად, წარმოდგენილ საქმეზე როგორც სარჩელი, ასევე კერძო საჩივარი კანონის საფუძველზე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადასახადი-საგან, რის გამოც კერძო საჩივარი წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და წარმოდგენილი კერძო საჩივრის მოტივების გაცნობის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შ. ი-ის, ი. ჭ-ის, მ. ფ-ის, შ. კ-ისა და მ. კ-ის წარმომადგენლის ი. პ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 12 სექტემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, „გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ: ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა; ბ) სასამართლოს, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს; გ) სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი“, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება“.

აღნიშნული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში, ე.ი. ვადის ათვლა ითვლება გამოცხადებიდან, ამასთანავე, საყურადღებოა ის საკითხი, რომ ძირითადი გადაწყვეტილების გამოცხადებას უნდა ესწრებოდეს მხარე (განმცხადებელი) და მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიწყება 7-დღიანი ვადის დენა გამოცხადების დღიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას არ ესწრებიან მხარეები ან არ ესწრება ერთ-ერთი საპროცესო სუბიექტი, მაშინ 7-დღიანი ვადის დენა ამ სუბიექტის მიმართ უნდა დაიწყოს იმ დღიდან, როდესაც მას ჩაბარდა მოტივირებული, დასაბუთებული გადაწყვეტილება/ განჩინება. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, როდესაც გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება მხარე, მისთვის ცნობილია სარეზოლუციო ნაწილი და ცნობილია იმის შესახებ რაიმე საკითხზე ხომ არ გამორჩა სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანა, სრულყოფილად არის თუ არა ყველა საკითხზე გამოტანილი გადაწყვეტილება, სარეზოლუციო ნაწილში ყველა მოთხოვნაზე დასკვნის არარსებობა ადასტურებს საქმის არასრულყოფილად გადაწყვეტას.

კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდნენ აპელანტები – შ. ი-ი, ი. ჭ-ი, შ. კ-ი, მ. კ-ი და მათი წარმომადგენელი – ი. პ-ი, შესაბამისად, მათ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით სასამართლოსათვის უნდა მიემართათ 2014 წლის 24 ივლისის 24 საათამდე. აქვე საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მართალია, სხდომას არ ესწრებოდა აპელანტი – მ. ფ-ი, მაგრამ როგორც აღნიშნეთ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდა მისი წარმომადგენელი – ი. პ-ი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას შ. ი-ის, ი. ჭ-ის, მ. ფ-ის, შ. კ-ისა და მ. კ-ის წარმომადგენლის ი. პ-ის შუამდგომლობის დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე განუხილველად დატოვების შესახებ. აქვე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დად-

გენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება. საქმის მასალების თანახმად, შ. ი-ის, ი. ჭ-ის, მ. ფ-ის, შ. კ-ისა და მ. კ-ის წარმომადგენელმა ი. პ-მა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით 2014 წლის 25 აგვისტოს ანუ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი, კანონისმიერი 7-დღიანი ვადის დარღვევით მიმართა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

აქვე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შუამდგომლობის ავტორი დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანას ითხოვდა არა იმ საფუძვლით, რომ სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავდა რაიმე საკითხე დასკვნას, არამედ არ იზიარებდა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე, საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან მიმართებაში განმარტავს, რომ 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი პირობა უკავშირდება პროცესუალურ შემთხვევას. აღნიშნული პირობის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოტანილი, თუ ამ საქმეზე გამოტანილი ძირითადი გადაწყვეტილება არ შეიცავს პასუხს მხარის ისეთი მოთხოვნის მიმართ, რომელიც მართალია იყო განხილვის საგანი, ე.ი. მოხდა მისი განხილვა ამ კოდექსით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს რატომლაც გამორჩა მხედველობიდან მიეღო გადაწყვეტილება ამ კონკრეტული მოთხოვნის მიმართ ანუ რამდენიმე მოთხოვნიდან სასამართლომ არ იმსჯელა და გადაწყვეტილება არ გამოიტანა ერთ-ერთის მიმართ, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მეორე მოთხოვნას რომლითაც უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 12 სექტემბრის

განჩინების, უსწორობის გასწორებაზე უარის თქმის ნაწილში, ამ ნაწილშიც საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას და დამატებით მიუთითებს, რომ სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი და აშკარა არითმეტიკული შეცდომები, ანიშნულით გათვალისწინებულია ისეთი შეცდომების გამოსწორება, რომლიც არ ცვლის სასამართლო გადაწყვეტილების არსა. უსწორობა შეიძლება ეხებოდეს მხარეების დასახელებას, მექანიკურ არითმეტიკულ შეცდომას წერის დროს და ა.შ. დაუშვებელია ისეთი შესწორების შეტანა, რომელიც არ-სებითად ცვლის გადაწყვეტილებას, მის აზრსა და შინაარს.

საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ 2014 წლის 28 ივლისს შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის ნარმომადგენელმა ი. პ-მა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის განჩინებაში უსწორობის გასწორება, კერძოდ, შუამდგომლობის ავტორს მიაჩინა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის განჩინებას სარეზოლუციო ნაწილის მე-5 და მე-6 პუნქტების ტექსტებში ამავე სარეზოლუციო ნაწილის სხვა პუნქტების ნუმერაციაზე არასწორად იქნა მითითებული. შემდგომ შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის ნარმომადგენელმა ი. პ-მა კვლავ მიმართა სააპელაციო სასამართლოს და კვლავ მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 ივლისის შემაჯამებელ გადაწყვეტილებაში და ამავე თარიღის განჩინებაში უსწორობის გასწორება, კერძოდ, ერთ-ერთი მოსარჩელის (აპელანტის) მ. ფ-ის ნაცვლად მითითებულია მ. ფ-ი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 1 აგვისტოს განჩინებით დაკმაყოფილდა აპელანტების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის ნარმომადგენლის ი. პ-ის შუამდგომლობა სასამართლოს საპროცესო აქტებში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე. გასწორდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის №3ბ/764-14 გადაწყვეტილების, ასევე 2014 წლის 17 ივლისის №3ბ/764-14 განჩინების სარეზოლუციო ნაწილებში დაშვებული შეცდომა იმგვარად, რომ ყველაზე ნაცვლად გვარ-სახელისა „მ. ფ-ი“, მიეთითა გვარ-სახელი „მ. ფ-ი“; გასწორდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17

ივლისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული შეც-დომა იმგვარად, რომ განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტში მიეთითა იმავე სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი (ნაცვლად 1-ლი პუნქტისა), ხოლო მე-6 პუნქტში – მე-4 პუნქტი (ნაცვლად მე-2 პუნქტისა). აპელანტებს – შ. ი-ს, ი. ჭ-ს და შ. კ-ს (წარმომადგენელი ი. პ-ი), უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილების ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღ-სასრულებლად მიქცევაზე; აპელანტებს (წარმომადგენელი ი. პ-ი) უარი ეთქვათ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისის სასამართლო სხდომის ოქმის სისწორისა და სის-რულის დადასტურებაზე. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განჩინება სასამართლოს საპროცესო აქტებში დაშვებული უსწორობების გასწორების ასევე გადაწყვეტილების დაუყოვ-ნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე უარის თქმის ნაწილში შე-იძლება გასაჩივრდეს უზენაეს სასამართლოში კერძო საჩივრით.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ სააპელა-ციო სასამართლომ კანონის მართებულად გამოყენებისა და გან-მარტების შედეგად სწორად უთხრა უარი დამატებითი გადაწ-ყვეტილების გამოტანისა და უსწორობის გასწორებაზე და წარ-მოდგენილი კერძო საჩივარი არ შეიცავს საფუძვლიან არგუმენ-ტაციას გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისათვის, რის გამოც კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაცი-ულ საქმეთა პალატის 2014 წლის 12 სექტემბრის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმი-ნისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის წარმომადგენლის – ი. პ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 12 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

საპირელი

1. სარჩელისა და საჩივრის დასაშვებობა	
სარჩელის მატერიალური დასაშვებობა	3
აქტის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე	
სარჩელის დასაშვებობა	16
საკასაციო საჩივრის დასაშვებობა	42
კერძო საჩივარი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე	50
საკასაციო საჩივრის დასაშვებობა	55
ქმედების განხორციელების თაობაზე	
სარჩელის დასაშვებობა	71
პერიტენციურ დაწესებულებაში დისციპლინურ	
ღონისძიებათა გამოყენების თაობაზე	
სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა	77
დავის საგნის შეცვლის ან გაზრდის დაუშვებლობა	
სააპელაციო სასამართლოში	82
2. გადაწყვეტილების განმარტება	
სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანების გამო	
გადაწყვეტილების განმარტების საფუძველი	87
გადაწყვეტილების განმარტების	
პროცესუალური ფარგლები	92
გადაწყვეტილების განმარტება	
აღსრულების ხელშეწყობის მიზნით	103
გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე	
განცხადების განსჯადობა	112
გადაწყვეტილების განმარტება ყოველთვიურ	
სარჩოს გადახდასთან დაკავშირებით	117
გადაწყვეტილების განმარტება შინაარსის შეუცვლელად	125
გადაწყვეტილების განმარტების ნინაპირობები	139
3. მესამე პირის ჩართვა ადმინისტრაციულ პროცესში	
მესამე პირად მარტივი ფორმით ჩაბმა	149; 166
სავალდებულო მოწვევის მესამე პირად ჩაბმა	160
მესამე პირის ჩაბმის საკითხი	175
4. საპროცესო ვადები	
გასაჩივრების ვადის დენის დაწყების პირობები	180

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის	
მოთხოვნის ვადა	185; 213
საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა	193
გასაჩივრების ვადის დენის დაწყების პირობები	
და შეჯიბრებითობის პრინციპი	202
სარვეზის შევსების ვადის დარღვევა	208